

პროფესორები სასამართლოში

A2



ლიბანის სამხრეთი რაიონები - ისრაელის მორიგი დარტყმის სამიზნე

A2



სალვადორ დალი

A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 31 ივლისი, 2006 წელი. №170 (1322) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### სოხუმში ღელავენ

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომაზე კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელეს.

A2

## ამბები

### ყოფილი მაღალჩინოსანი თავს იმართლებს

ნარკოდანაშაულის ბრალდებით ორი დღის წინ დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსანი, პოლიციის გენერალ-მაიორი ბორის ივანოვი, რომელსაც საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა, ირწმუნება, რომ სპეცოპერაციის დროს უამრავი ადამიანის თვალწინ, "სოდის ბიჭებმა ნარკოტიკი პერანგის ჯიბეში ძალით ჩაუდეს".

A2

## სამართალი

### სანქციები შეიარაღებული მეამბოხეების მხარდამჭერი პოლიტიკოსებისთვის

პოლიტიკოსების მიერ გამოცხადებულ მხარდაჭერას შეიარაღებული მეამბოხეების ან იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებას შეიარაღებულ საფრთხეს შეუქმნიან, სამართლებრივი შეფასება მიეცემა - პოლიტიკოსების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება.

A5

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 31/07 | 1/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 35 |
| ბათუმი | 33 | 31 |
| სოხუმი | 32 | 32 |
| ქუთაისი | 35 | 36 |
| გორი | 28 | 31 |
| ონი | 24 | 27 |
| ახმეტა | 31 | 35 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2400 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2806 |
| რუბლი | 0.0657 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სტატისტიკა | A 4 |
| სამართალი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# იმედის ნაპერწკალი

## სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის

### ევროკავშირი გაითვალისწინებს ევროპულ მისწრაფებებს

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები შეთანხმდნენ გაფართოებისადმი მზადყოფნის მიმანიშნებელი სიტყვები ჩაესვათ ე.წ. სამოქმედო გეგმებში, რომლებიც მომავალში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების განმსაზღვრელი გახდება.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმები, სავარაუდოდ, ოქტომბერში დამტკიცდება და, შესაძლოა, შეიცავდეს ფრაზას: "ევროკავშირი ითვალისწინებს, რომ (ამ ქვეყნებმა) გამოხატეს თავიანთი ევროპული მისწრაფებები," - წერდა ევროკავშირის არაოფიციალური ანალიტიკური ინტერნეტ-გამოცემა "euobserver.com". ამავე გამოცემის თანახმად, ევროპელმა დიპლომატებმა ასეთი გადაწყვეტილება გასულ ხუთშაბათს მიიღეს.

აღნიშნული ფრაზა შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს გაგებული. მაგალითად: მოქმედი თავმჯდომარე-ქვეყანა ფინეთი ამბობს, რომ იგი სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ. "ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვლაპარაკობთ გაფართოებაზე. ეს უბრალოდ სემანტიკაა. ეს მისწრაფებები, შესაძლოა, გამოხატავდეს ევროკავშირში გაწევრიანების სურვილსაც და, უფრო ფართო გაგებით, ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულებასაც," - აღნიშნულია ფინეთის ოფიციალურ განცხადებაში.

თუმცა, სამხრეთკავკასიელი დიპლომატები ევროპელთა ფორმულირებებს აშკარად პირველი გაგებით (გაფართოების იმედით) აღიქვამენ. ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ევროინტეგრაციაში, რომლის საბოლოო მიზანი 10-15 წლის შემდეგ ამ გაერთიანებაში გაწევრიანება იქნება, - აცხადებენ ისინი.

**"ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს, რომ სომხეთი პატივს სცემს ევროპულ ღირებულებებს, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროში,** - ამბობს სომეხი დიპლომატი, - **მაგრამ იმასაც, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი გაწევრიანებაა".**

სხვათა შორის, ამჟამად უკრაინაც ახორციელებს სერიოზულ მცდელობებს, რათა მის უკვე დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში ჩაიწეროს ფრაზა - "ევროკავშირი ცნობს (კიევის) ევროპულ მისწრაფებებს".

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ჭიათურმანგანუმს" ვალის დაფარვა გადაუვადდა

### რა ხდება ერთხელ უკვე გაყიდულ სახელმწიფო საწარმოში?

B

*მძიმე ფინანსური პრობლემების გამო, სს "ჭიათურმანგანუმს" მთავრობამ თითქმის 1-მილიონიანი ვალი 2007 წლის თებერვლამდე გადაუვადა. არ არის გამორიცხული, რომ ამ დროისთვის საწარმო კერძო ინვესტორის საკუთრებაში იყოს გადასული, მით უმეტეს, თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ გაკოტრების მმართველი ამ ეტაპზე "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზაციის საკითხს აქტიურად განიხილავს და საწარმოთი დაინტერესებული პირებისგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელის. სავარაუდოდ, საწარმო აუქციონის წესით გაიყიდება.*



# შაბათი რაიკონენის იყო, კვირა - შუმახერის

C




# რუსეთის აღორძინება

მაშა ლიპმანი

ვლადიმირ პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთის ნაციონალური აღორძინება და თვითდაჯერებულობის ხელახლა შეძენა მხოლოდ შიდა ფაქტორებით არ არის განპირობებული - იგი უფრო მეტად უაღრესად სახარბიელო საერთაშორისო ვითარების შედეგია. ნავთობსა და გაზზე ფასები "ცამდე" ავარდა; აშშ დაკავებულია სერიოზული პრობლემებით ერაყსა და ახლო აღმოსავლეთში; ხოლო დასავლეთში მოსაზრებები აშკარად იყოფა იმის შესახებ, თუ რა პოზიცია დაიკავონ რუსეთთან მიმართებაში.

ბუნებრივია, პუტინის ადმინისტრაციამ ამ სახარბიელო ვითარების გამოყენება სცადა. თუმცა, თუ კრემლის ზოგიერთი ქმედება გასაგები და გონივრული ჩანს, დანარჩენებს ძნელად თუ დაარქმევ რაციონალურსა დ შორსმჭვრეტელურს.

მაგალითად, რუსეთის სურვილი შეიძინოს წილი ევროპის გაზგამანაწილებელ ბაზარზე, საკმაოდ გონივრულია და კარგად არის დასაბუთებული, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებსა და მილსადენების გამტარუნარიანობას. ისევე როგორც რუსეთის მისწრაფება - გაავრცელოს თავისი გავლენა ენერგორესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიაზე, მიმართულია რუსეთის, როგორც ენერგორესურსების მსხვილი მიმწოდებლის სტატუსის გაძლიერებისკენ. მთავარ მოთამაშედ დამკვიდრებით დასავლეთის გავლენის ფარგლებს გარეთ, რუსეთმა, ამავდროულად, წინა პლანზე წამოსწია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის როლი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ჩინეთი და შუა აზიის ქვეყნების უმეტესობა. მართლაც, რუსეთი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჩინეთთან თანამშრომლობას, რაც თავის მხრივ საგარეოპოლიტიკაში სტრატეგიულ ცვლილებას ნიშნავს - მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით უცნობია რამდენად დაუახლოვდება რუსეთი ჩინეთს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტის დავალება: კონტრდაზვერვა უნდა გაძლიერდეს

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის მეორე ეტაპი ერთი კვირა გაგრძელდება და ხეობაში სამინისტროს კონტინგენტის გარკვეული რაოდენობა დარჩება, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერებისა და წესრიგის დაცვას. კოდორის ხეობიდან თბილისში დაბრუნებულმა ვანო მერაბიშვილმა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა, რომ **"ხეობაში დაკავებულია სამართალდამცველების მიერ ძებნილი 11 პირი. კოდორში დამყარებულია კონსტიტუციური წესრიგი და ხეობა საქართველოს სრულფასოვანი ნაწილი გახდა".**

ვანო მერაბიშვილი ირწმუნება, რომ პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პრეზიდენტისგან მიიღო დავალება, გაამკაცროს კონტრდაზვერვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**"ქვეყანაში სერიოზულად მოქმედებენ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები. ბოლო უნდა მოეღოს მათ თავგასულობასა და პროვოკაციულ გეგმებს,"** - აცხადებს პრეზიდენტი.

მან გუშინ კოდორის ხეობაში დაჭრილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ვალერი მუჯირიშვილი და მიხეილ ქოქაშვილი ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის პრეზიდენტმა ის ექიმებიც დააჯილდოვა, რომლებმაც დაჭრილი ჯარისკაცები ხეობიდან გამოიყვანეს.

*24 საათი*

# კვიციანის ამბოხის პირველი "მსხვერპლი"

*ირაკლი ბათიაშვილი პირველი აღმოჩნდა ცნობილ სახეთაგან, ვინც "კვიციანის ამბოხის" გამო გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკააშვილი კოდორის ხეობიდან დაბრუნებული შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილისგან ანგარიშს იბარებს და კმაყოფილია, რასაც ვერანაირად ვერ ვიტყვით ოპოზიციურ პარტიათა გარკვეულ ნაწილზე. საზოგადოებრივი მოძრაობა "წინ საქართველო", ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, "მემარჯვენეები" და "ლეიბორისტები" აღშფოთებას გამოხატავენ ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრების გამო და მას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მიიჩნევენ.*

ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, კვიციანი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. საქართველოს პრეზიდენტი გაკვირვებულია და ვერ გაუგია, თუ რაში სჭირდება რუსეთს "გვამების ბრიგადის" წარმომადგენლები - ტარიელ ონიანი, ასლან აბაშიძე, ჯემალ გოგიტიძე, რომელთაც ემზარ კვიციანიც შეუერთდა.

მიხეილ სააკაშვილს შაბათს შინაგან საქმეთა მინისტრთან ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ტრანსლირებულ შეხვედრაზე უყურადღებოდ არ დაუტოვებია ოპოზიციური ძალების მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული სატელევიზიო კომენტარები. პრეზიდენტის თქმით, ერს ამ ხალხის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ისინი, ვისაც სააკაშვილი "ამ ხალხში" გულისხმობს, პირიქით, პრეზიდენტის და მისი გუნდის მიერ წარმოებულ პოლიტიკას გმობენ. ოპოზიციის გარკვეული სპექტრი აღშფოთებას ვერ მალავს "კვიციანის საქმის" პირველი მსხვერპლის, ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრების გამო.

"მემარჯვენეებმა" და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ ფაქტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებები გაავრცელეს.

"მემარჯვენეების" განცხადებაში ნათქვამია, რომ პოლიტიკოსისათვის ბრალის წასაყენებლად დამონტაჟებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერი სამართლებრივად არასაკმარისი არის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ბათიაშვილის დაპატიმრებას პოლიტიკურ რეპრესიად და ტერორად მიიჩნევს. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანის უფლებები. ხელისუფლება საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, უარს ამბობს დემოკრატიულ ღირებულებებზე.

"ლეიბორისტები", რომელთა განმარტებით, ბათიაშვილი რეჟიმის მსხვერპლია, "სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ გამოსვლას, საკუთარი თანამემამულეების გარდა, მსოფლიო საზოგადოებასაც მოუწოდებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის დროებით რწმუნებულს კოდორის ხეობაში არსებული ვითარება გააცნეს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, ვალერი ჩეჩელაშვილმა მიიღო საქართველოში რუსეთის ფედერაციის საქმეთა დროებითი რწმუნებული ი. ვოლინკინი.

ჩეჩელაშვილმა რუსეთის მხარეს გააცნო ინფორმაცია კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღინიშნა, რომ ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალური საპოლიციო ღონისძიების ძირითადი ეტაპი დასრულებულია, მიმდინარეობს ცალკეული კრიმინალების ძებნა და დაწყებულია სპეცდანიშნულების რაზმების გამოყვანა რეგიონიდან. აღინიშნა ასევე, რომ ოპერაციის დასრულების შემდეგ ხეობაში დარჩება მხოლოდ პოლიციის ქვედანაყოფები მართლწესრიგის დასაცავად და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

რუსეთის მხარეს მიეწოდა ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება განახორციელებს კოდორის ხეობის სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის მიზნით. ვალერი ჩეჩელაშვილმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კოდორის ხეობაში წესრიგის დამყარება და კანონიერების აღდგენა შედის არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ინტერესებშიც და ხელს შეუწყობს აფხაზეთში, საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

*მედიანიუსი*

# სოხუმში ღელავენ

"აფხაზეთში მოდის ინფორმაციები მთელი ჩრდილოეთ კავკასიიდან - ყაბარდო-ბალკარეთიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან, ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან. მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები გამოთქვამენ მზადყოფნას, ნებისმიერ მომენტში გაუწიონ დახმარება და მხარდაჭერა გამოხატონ აფხაზი ერის მიმართ," - ამის შესახებ თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ განაცხადა.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს სხდომაზე კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე იმსჯელეს. აფხაზურ საინფორმაციო სააგენტოებზე დაყრდნობით, რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ უშიშროების მდივნის სტანისლავ ლაკობას ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭოს წევრებმა, აფხაზეთის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, მთელი რიგი ღონისძიებები დაგეგმეს.

ლაკობა ასევე იუწყება, რომ "საერთაშორისო ორგანიზაციებმა და კოლექტიურმა სამშვიდობო ძალებმა აღიარეს ქართული მხარის მიერ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევა და კოდორის ხეობაში მონიტორინგის ჩატარება მოითხოვეს".

ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზეთში ამ მომენტისთვის არსებულ ვითარებას ლაკობა მშვიდს უწოდებს.

*ინტერპრესნიუსი*

# კრისტიან ბჟანია ვარაუდობს

თვითაღიარებული აფხაზეთის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში კრისტიან ბჟანია საქართველოს ხელისუფლების მიერ, კოდორის ხეობის შემდეგ, გალის რაიონში მორიგი სპეცოპერაციის ჩატარებას არ გამორიცხავს. როგორც სააგენტო "რეგნუმს" ბჟანიამ განუცხადა, მას ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები აძლევს. "არ გამოვრიცხავ, რომ ე.წ. კრიმინალთან ბრძოლის მორიგ რეგიონად გალის რაიონი დასახელდება", - აცხადებს იგი.

ბჟანია აფრთხილებს "თბილისელ სტრატეგებს", რომ გალის რაიონში მათი "პოლიციური ოპერაცია" კრახით დასრულდება".

მისი თქმით, აფხაზეთის ხელისუფლებას ქართული მხარის ყველა ნაბიჯი კარგად ესმის.

"ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიაში ეს გამოიწვევს აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველი მოსახლეობის ახალ და უკვე საბოლოო გასვლას", - აცხადებს დე ფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი და დასძენს, რომ სამწუხარო იქნება, თუ "აფხაზეთში დაბრუნებული ქართველი დევნილები შიდაქართული პოლიტიკური ბრძოლის ტყვეებად იქცევიან".

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### რუსი სამშვიდობოები კოდორიდან ქართული სამხედრო ძალების გაყვანას ითხოვენ

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობო ძალების სარდალი სერგეი ჩაბანი კოდორის ხეობიდან "საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების" გაყვანას მოითხოვს და აცხადებს, რომ ქართველი სამხედროების კოდორის ხეობაში დარჩენით, კონფლიქტის ზონაში სიტუაცია დაიძაბება. ჩაბანის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც ქართველი სამხედროები დატოვებენ კოდორის ხეობას, სამშვიდობოებს მანდატით დაკისრებული ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება შეეძლებათ. სამშვიდობო ძალების სარდლის ინფორმაციით, კოდორის ხეობაში, 112 ქართული სამხედრო მანქანა იმყოფება.

*მედიანიუსი*

### უბედური შემთხვევა ინდონეზიაში

ინდონეზიის კუნძულ იავას აღმოსავლეთით, ქალაქ ბოჯონეგროში, ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში მომხდარი აფეთქების შედეგად, 900-მდე ადამიანი დაიღუპა. ისინი გაზით მოიწამლნენ. თავდაპირველად, ქარხანაში მოხდა შხამიანი გაზის გაჟონვა, რისი აღმოფხვრაც ხელოვნური ხანძრით სცადეს. თუმცა, მალე მოხდა აფეთქება, რამაც მომწამვლელ ნივთიერებათა მეტი გადმოფრქვევა გამოიწვია. მიმდებარე ათი სოფლიდან 7 000-მდე მცხოვრებია ევაკუირებული.

*ინტერპრესნიუსი*

### მიწისძვრა ტაჯიკეთში

სამი ადამიანი დაიღუპა და 19 დაშავდა ტაჯიკეთის სამხრეთით მომხდარი მიწისძვრის შედეგად. სამივე დაღუპული ბავშვია. მიწისძვრის სიმძლავრე რიხტერის სკალით 5 ბალს შეადგენდა. მისი ეპიცენტრი დუშანბედან 135 კილომეტრში მდებარეობდა. თავად დუშანბეში მიწისქვეშა ბიძგის სიმძლავრემ 2 ბალი შეადგინა. შემთხვევის ადგილზე მუშაობს სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ზარალის ოდენობას ითვლის.

*ინტერპრესნიუსი*

### საპრეზიდენტო არჩევნები კონგოში

პირველად ისტორიაში, კონგოში თავისუფალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ტარდება. პრეზიდენტობისთვის 32 კანდიდატი იბრძვის, 500 საპარლამენტო ადგილზე კი დაახლოებით 10 ათასი ადამიანი აცხადებს პრეტენზიას. არჩევნების პროცესზე 47 ადგილობრივი და დაახლოებით 1 500 უცხოელი დამკვირვებელი აწარმოებს მონიტორინგს. წესრიგს 80 ათასი პოლიციელი, გაერო-ს 17 500 "ცისფერჩაფხუტიანი" და ევროკავშირის ათასი ჯარისკაცი უზრუნველყოფს. არჩევნები კონგოში გაერო-ს ეგიდით ტარდება. ეს არის 1998-2003 წლების ომის შემდეგ გარდამავალი პერიოდის ერთგვარი დასასრული. იმ პერიოდში ქვეყანაში 4 მილიონი ადამიანი დაიღუპა, ძირითადად, შიმშილისა და ავადმყოფობისგან. ამბოხებულთა ნაწილს იარაღი კვლავაც არ დაუყრია. საპრეზიდენტო არჩევნებში ფავორიტ კანდიდატად სახელმწიფოს ახლანდელი მეთაური ჟოზეფ კაბილა ითვლება.

*ინტერპრესნიუსი*

# პროფესორები სასამართლოში

ეკა ჯანაშია

*გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბოხებული პროფესორ-მასწავლებლები ჯემალ მებონია, გოგი გოგოლაშვილი, თენგიზ სანაძე, მაია ნათაძე, გელა დოლიძე ავთანდილ არაბული, ვახტანგ ტუსკია და მედეა სიხარულიძე ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოში დაიბარეს. მათ ბრალი პოლიციისადმი დაუმორჩილებლობასა და წინააღმდეგობის გაწევაში ედებათ.*



*უნივერსიტეტის პროფესორებს ბრალი პოლიციისადმი დაუმორჩილებლობასა და წინააღმდეგობის გაწევაში ედებათ.*

სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის ფაქტზე ერთი თვის წინ აღიძრა, როდესაც ამბოხებული პროფესორ-მასწავლებლები რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კაბინეტში შევარდნენ და მას, ე.წ. დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, კაბინეტის დატოვება მოსთხოვეს. მაშინ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში დაკითხავზე გელა დოლიძე, ავთანდილ არაბული, თენგიზ სანაძე, ჯემალ მებონია და გოგი გოგოლაშვილი დაიბარეს. დაკითხვას მაია ნათაძეც ითხოვდა, მაგრამ შს სამმართველოში უარი თქვეს. **"თურმე ჩემზე წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და ეს დღეს გაარკვიეს. ასეთი რამ მსოფლიოში არსად არ ხდება," -** განაცხადა გუშინ მაია ნათაძემ.

სასამართლოში ექვსი პროფესორ-მასწავლებელი - ჯემალ მებონია, თენგიზ სანაძე, მაია ნათაძე, მედეა სიხარულიძე, ვახტანგ ტუსკია და გელა დოლიძე გამოცხადდნენ. ავთანდილ არაბული, გოგი გოგოლაშვილი და დემურ ბახტაძე თბილისში არ იმყოფებიან. ვინაიდან სასამართლო უწყისები ადრესატებს გუშინწინ გვიან ღამით გადაეცათ და ამ მოკლე დროში მათ პროკურატურის დადგენილების გაცნობა და ადვოკატების აყვანა ვერ მოახერხეს, სასამართლო სხდომა 3 აგვისტოსთვის გადაიდო.

გუშინ გამართულ პროცესზე მოსარჩელე მხარეს ქალაქის პროკურატურის გამომძიებელი დავით ხიზანაიძე წარმოადგენდა, რომელმაც მოწმის სახით საპატრულო პოლიციის თანამშრომლების დაკითხვა მოითხოვა.

პროფესორ-მასწავლებლებმა მოთხოვნას მხარი არ დაუჭირეს და განაცხადეს, რომ იმ პოლიციელთა დაკითხვა, რომლებიც უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენების შემდეგ გამოცხადდნენ და, აქედან გამომდინარე, რექტორის კაბინეტში მომხდარი ინციდენტის შესახებ საინტერესოს ვერაფერს იტყვიან, საჭირო არ არის. თუმცა, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, სასამართლომ პროკურორის მოთხოვნა დააკმაყოფილა. 3 აგვისტოს დანიშნულ სასამართლო პროცესზე საპატრულო პოლიციის სამი თანამშრომელი სამართალდამცველთათვის წინააღმდეგობის გაწევის ეპიზოდზე დაიკითხება.

სასამართლო პროცესზე ჯემალ მებონია დაინტერესდა, რატომ გადაეცა უწყება გუშინ ღამის პირველ საათზე და რატომ გაიმართა ეს პროცესი არასამუშაო დღეს.

**"კიდევ ერთი რამ არის ჩემთვის გაუგებარი: როდესაც პოლიციისთვის დაუმორჩილებლობას მედავებიან, მე მაინტერესებს, რა მომთხოვეს ასეთი პოლიციელებმა და რას არ დავემორჩილე?"** - განაცხადა ჯემალ მებონიამ.

როგორც მოსამართლემ განმარტა, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას დავა უნდა განიხილებოდეს საქმის სასამართლოში გადაცემიდან 24 საათში და საქმე სასამართლოს გუშინ გადაეცა, შესაბამისად სხდომა მეორე დღეს დაინიშნა.

გუშინდელ პროცესზე მისული პროფესორ-მასწავლებლები იმითაც დაინტერესდნენ, რატომ არ ესწრება პროცესს და ვინ არის ის დაზარალებული, რომელსაც პროფესორ-მასწავლებლების "უკანონო ქმედებით" ზიანი მიადგა. სასამართლოს დასრულების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ გია ხუბუა, რომელიც ამ საქმეში დაზარალებულის სტატუსით გადის, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას ვერ ბედავს.

# ლიბანის სამხრეთი რაიონები - ისრაელის მორიგი დარტყმის სამიზნე

ისრაელის მორიგ საჰაერო იერიშს ლიბანის სამხრეთში მდებარე სოფლებში 50-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, რომელთა შორის 23 ბავშვი იყო. ეს ისრაელ-ლიბანის ომის 19 დღის მანძილზე ყველაზე სისხლიანი მონაკვეთია. ლიბანის სოფელ კანში ღამით განხორციელებული იერიშის დროს ისრაელის სამხედრო-საჰარეო ძალებმა ერთ-ერთ სახლს დაარტყეს, რომელსაც თავს რამდენიმე ლტოლვილი ოჯახი აფარებდა. მაშველთა თქმით, მსხვერპლის რაოდენობა შეიძლება კიდევ გაიზარდოს, რადგან მათ მხოლოდ ნანგრევების ზედა ფენაში მოყოლილი ხალხი იპოვეს.

მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის გამო მწუხარება გამოთქვეს ისრაელელმა მაღალჩინოსნებმა. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კანში დარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობას აუცილებლად გაუგზავნიან ჰუმანიტარულ დახმარებას.

სასტიკ იერიშს ისრაელის მხარე თავისი არგუმენტებით ხსნის. მათი თქმით, "ჰეზბოლას" ბოევიკები ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილს, სწორედ, ამ სოფლიდან ბომბავდნენ რაკეტებით. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, სამხედრო-საჰაერო რეიდამდე 48 საათით ადრე გააფრთხილეს, რომ დაეტოვებინათ ეს ტერიტორია. მფრინავები კი აცხადებენ, რომ ზემოდან სოფელი უკაცრიელი ჩანდა. ისრაელის არმიამ დაიწყო გამოძიება, მაგრამ მთელ პასუხისმგებლობას მაინც "ჰეზბოლას" აკისრებს.

მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვამ მძაფრი რეაქცია როგორც არაბულ სამყაროში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც გამოიწვია.

ბეირუთში დაახლოებით 500 დემონსტრანტი გაერო-ს მისიის შენობაში შეიჭრა. მათი შეკავება ვერ შეძლეს ლიბანელმა პოლიციელებმა. დემონსტრანტებს ხელში "ჰეზბოლას" დროშები ეკავათ. მათ ისრაელის, აშშ-სა და სხვა დასავლური ქვეყნების დროშები დაწვეს, ჩაამსხვრიეს მინები და დაარბიეს კაბინეტები. მათი თქმით, აშშ-ს დიპლომატიური მცდელობა - მშვიდობის დამყარებისა და ისრაელისთვის დახმარების გაწევისთვის ლიბანზე პირდაპირი ზეწოლაა, რათა მას მისთვის არამომგებიანი პირობები მოახვიოს თავზე.

ლიბანის პრემიერ-მინისტრი კი ღიად უწოდებს ისრაელელებს "სისხლისმსმელ დამნაშავეებს". ფუად სინიორამ მთელ არაბულ სამყაროს "ისრაელის დამნაშავეობრიობის" წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდა და სასწრაფოდ ცეცხლის შეწყვეტა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის ჩატარება მოითხოვა.

რეგიონში აშშ-ს უახლოესმა მოკავშირემ იორდანიის მეფე აბდულამ კანის დაბომბვას "საზარელი დანაშაული და ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევა" უწოდა.

სასწრაფოდ შერიგების მოწოდებით გამოდის საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი. თუმცა, ეს უცხო თემაა დაპირისპირებული მხარეებისთვის და მისი მხარდაჭერის დიდი ენთუზიაზმით არც აშშ გამოირჩევა.

კანში მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვის გამო სასტიკი შურისძიებით ისრაელს "ჰეზბოლა" უკვე დაემუქრა. რადიკალური დაჯგუფების წარმომადგენელთა თქმით, ამის გამო ისრაელს პასუხის გაცემა სისხლითვე მოუწევს, როდესაც უფრო მეტი სისასტიკით დაიბომბება მისი ქალაქები. ისრაელს "ჰამას"-იც ემუქრება.

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი კი აცხადებს, რომ სამშვიდობო შეთანხმებაზე საუბარი ნაადრევია მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღწეული სამხედრო მიზნები, კერძოდ, ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ისევ სამხედრო გზით, "ჰეზბოლა"-ს მხრიდან საფრთხის მთლიანად აღმოფხვრა და გატაცებული ორი ისრაელელი ჯარისკაცის დაბრუნება.

მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის გამო მწუხარება გამოხატა ისრაელში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, მხოლოდ სასწრაფოდ შერიგების აუცილებლობის შესახებ განცხადება არ გაუკეთებია. ისრაელის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ლიბანში ჩასვლას გეგმავდა, რასაც ოფიციალური ბეირუთის მხრიდან უარი მოჰყვა.

ლიბანის განცხადებით, კონდოლიზა რაისის ჩასვლა ბეირუთში არასასურველია მანამდე, ვიდრე იგი არ მოუწოდებს ისრაელს დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტისკენ.

გაერო-ს მონაცემებით, ისრაელის დარტყმებს ლიბანში უკვე 600-მდე ადამიანი ემსხვერპლა.

*ბი-ბი-სი*




## მოკლედ

### ყოფილი მაღალჩინოსანი თავს იმართლებს

ნარკოდანაშაულის ბრალდებით ორი დღის წინ დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსანი, პოლიციის გენერალ-მაიორი ბორის ივანოვი, რომელსაც საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა, ირწმუნება, რომ სპეცოპერაციის დროს უამრავი ადამიანის თვალწინ, "სოდის ბიჭებმა ნარკოტიკი პერანგის ჯიბეში ძალით ჩაუდეს". ბორის ივანოვის ინტერესების დამცველი იასონ ბესელია არ გამორიცხავს, რომ სამართალდამცველების მიერ ივანოვისთვის ნარკოტიკის ჩადება მისი სახლიდან ემზარ კვიციანთან განხორციელებულ სატელეფონო ზარს უკავშირდებოდეს. ივანოვი აცხადებს, რომ დაკავების პროცესში გამომძიებელმა მას რამდენჯერმე მოსთხოვა მობილური ტელეფონი. "მობილური ტელეფონი არ მქონდა, ვინაიდან მოსკოვში ვმოღვაწეობ და ტელეფონი აქ არ ჩამომიტანია. გამომძიებელი მაინც დაჟინებით მთხოვდა ტელეფონს, ალბათ გამავალი და შემომავალი ზარების დასაფიქსირებლად", - განაცხადა ივანოვმა. გამომძიებლის მოთხოვნა მან თავადვე ახსნა. "ეს დაჟინებული მოთხოვნა ჩემი სახლიდან ემზარ კვიციანის ტელეფონზე განხორციელებულ ზარს უკავშირდებოდა. ვაცხადებ - მიუხედავად იმისა, რომ ემზარ კვიციანთან სატელეფონო ზარი ჩემი სახლიდან მართლაც განხორციელდა, მე მისთვის არ დამირეკავს. კოდორის ამბები რომ დაიწყო, იმ დროს მეგობრებთან ერთად სახლში ვიყავი და საინფორმაციო გამოშვებებს ვუყურებდით. კოდორის ხეობასთან დაკავშირებით რომ გავრცელდა ინფორმაციები, ჩემმა მეგობარმა შსს-ს ყოფილმა თანამშრომელმა ავთო ჯოხაძემ ჩემი სახლის ტელეფონიდან ემზარ კვიციანთან სატელეფონო ზარი განახორციელა, თუმცა კვიციანის ტელეფონი გამორთული იყო და ამიტომ კავშირი არ შედგა", - ამბობს ბორის ივანოვი. მისივე თქმით, ის საქართველოში 10 წლის უნახავ დასთან ჩამოვიდა და უკან გამგზავრებას რამდენიმე დღეში გეგმავდა.

*24 საათი*

### გვიჩიანის ადვოკატები მკვლელობის სავარაუდო დამკვეთებზე საუბრობენ

"თელასის" კომერციული მენეჯერის ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთაში ბრალდებულის გიორგი გვიჩიანის სასამართლო პროცესი დასასრულს უახლოვდება. გვიჩიანის ადვოკატები მოითხოვენ გვიჩიანის მიმართ მკვლელობის ბრალდების მოხსნას და იმ ექსპერტების პასუხისმგებლობის დაყენებას, რომლებმაც საბუღალტრო დოკუმენტაციის ექსპერტიზა ჩაატარეს. განსასჯელის ინტერესების დამცველები.

მკვლელობის სხვა სავარაუდო დამკვეთებს ასახელებენ. მათი განცხადებით, მკვლელობის დამკვეთები შესაძლოა, იყვნენ ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების მაღალჩინოსნები. "საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების ხელმძღვანელობის მხრიდან განხორციელებულია ფინანსური მაქინაცია, რომლის თანახმადაც, დაჯგუფების ბიუჯეტიდან 2001 წელს გადარიცხულია დაახლოებით 4 მილიონი ლარი შპს "ორლანდი ჰოლდინგ კორპორაციის" ანგარიშზე. თუმცა, ეს გადარიცხვა რეალურად გაყალბებული საბუთების საფუძველზე მოხდა და აღნიშნული 4 მილიონი ლარი ისევ რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების დაინტერესებული პირების ხელში აღმოჩნდა. ამ გადარიცხვას დაჯგუფების ხელმძღვანელობა იმით ხსნის, თითქოს, მათ ეს თანხა შპს-ს გადაურიცხეს "თელასის" მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად", - აცხადებენ გვიჩიანის ადვოკატები. მათივე განმარტებით, ამ ფინანსური მაქინაციის თაობაზე ნიკა ლომინაძე, როგორც "თელასის" კომერციული ექსპერტი, აპირებდა საქმის კურსში ჩაეყენებინა რუსეთის პროკურატურა და ადვოკატების ვარაუდით, შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით ნიკა ლომინაძის მკვლელობის შეკვეთა რუსეთის ფედერაციის ჯარების დაჯგუფების მაღალჩინოსნების მხრიდან მოდიოდეს. "საქმეში არის ერთი მნიშვნელოვანი, საეჭვო საკითხი, რომელიც მკვლელობის ადგილზე აღმოჩენილ ნივთმტკიცებებს ეხება. ნივთმტკიცებების ანალიზი ამერიკაში ჩატარდა. ამ ანალიზის თანახმად, დადასტურებულია, რომ ნივთმტკიცებებზე დაფიქსირებულია ნიკა ლომინაძის გარდა, კიდევ ერთი პიროვნების დნმ, რომლის ვინაობას გამოძიება მალავს და არ ამჟღავნებს, თუმცა, ეს პიროვნება არ არის გიორგი გვიჩიანი, რადგან მისი დნმ ანალიზის პასუხს არ ემთხვევა", - ირწმუნებიან გიორგი გვიჩიანის ადვოკატები.

*24 საათი*

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რუსეთის აღორძინება

პირველი გვერდიდან

მაგრამ საქართველოსა და მოლდოვას დაშინებისას, "ჰამასისთვის" მხარდაჭერის დემონსტრირებისას ან ჩრდილოეთ კორეისთვის ხელის შეწყობისას, რუსეთის ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ ხელმძღვანელობს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე რაიმე სტრატეგიული ხედვით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ქმედებები გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ არაკეთილგანწყობით. რუსეთის ძლიერი ზეწოლა საქართველოზე და სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერა დესტაბილიზაციის საშიშროებას ქმნის ისედაც სიტუაციადაძაბულ ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ დესტაბილიზაცია ღია საომარ ქმედებებში გადაიზრდება, რუსეთი გვერდს ვერ აუვლის მისით გამოწვეულ სერიოზულ შედეგებს.

რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დრო და დრო თავზეხელაღებით და ქედმაღლურად იქცევა. მაგრამ თუ მის მიმართ რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოში მოვლენების განვითარებას კონტროლიდან გამოიყვანს, ამისთვის პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრება. რამდენადაც რუსეთს ზესახელმწიფოს სტატუსზე აქვს პრეტენზია, მისგან თავისთავის ხელში აყვანას და პასუხიმგებლობით სავსე დამოკიდებულებას ელიან.

თუმცა, დღეს კრემლი, როგორც ჩანს, შეპყრობილია სურვილით, მოახდინოს თავისი ძალის დემონსტრირება. ეს სურვილი განპირობებულია საბჭოთა კავშირის დაშლის წლებში (როდესაც დასავლეთი ახდენდა რუსეთის შეხედულებებისა და ინტერესების იგნორირებას) განცდილი დამცირების კომპენსირებით.



"დიდი რვიანის" სამიტზე პუტინი ყველაზე თავდაჯერებული ჩანდა.

წყენის ამ განცდით შეიძლება აიხსნას პუტინის ზოგიერთი უპატივცემულო ქმედება და საეჭვო ხუმრობები დასავლელ კოლეგებთან შეხვედრების დროს. შესაძლოა, სწორედ ეს დგას რუსეთის არარაციონალური გადაწყვეტილების უკან, რომ არ შეასრულოს პოლონეთისთვის მიცემული დაპირება მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში, სტალინის ბრძანებით, კატინის მახლობლად ტყეში ათასი პოლონელი ოფიცრის დახვრეტის შესახებ დოკუმენტაციის გადაცემის თაობაზე. რა ხეირს მოუტანს რუსეთს თავისი დანაპირების არშესრულება? ამ შემთხვევაში მოტივი საკმაოდ მარტივია: "მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ასე გსურთ, დოკუმენტებს არ მოგცემთ. ჩვენ ისე მოვიქცევით, როგორც გვინდა, რადგან ისევ ძლიერები ვართ".

მაგრამ რუსეთმა მხოლოდ ცოტა ხნის წინათ შეიძინა ისეთი ძალა, რომ აბსოლუტური თავდაჯერება ეგრძნო. პუტინის გადაულახავი სურვილი, შეახსენოს ყველას, რომ რუსეთი კვლავ ძლიერია, მის შინაგან არადამაჯერებლობაზე მეტყველებს. "ნიუ-იორკ თაიმს"-ის ამასწინანდელი სტატიის მიხედვით, ერთ-ერთი არაფორმალური შეხვედრის დროს, პუტინმა ბუშს თავის ლაბრადორი უჩვენა სიტყვებით: "უფრო დიდი, ძლიერი და სწრაფია, ვიდრე ბარნი" (ბუშის ძაღლი). თუმცა, საეჭვოა, თითქოს, ამით პუტინს იმის თქმა უნდოდა, რომ მისი ძაღლის უპირატესობა ამერიკაზე რუსეთის დომინირების მაჩვენებელია. ეს გამონათქვამი უფრო გზავნილი იყო: არ გაბედო ჩვენი მაღალი სტატუსის ეჭვის ქვეშ დაყენება.

რუსეთი არ ისწრაფვის დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებისკენ. რუსეთს ამერიკა და დასავლეთი იმისთვის სჭირდება, რომ ხორცი შეასხას თავის ამბიციურ იდეას ურანის გამამდიდრებელი საერთაშორისო ცენტრების შექმნის შესახებ, მისთვის აგრეთვე აუცილებელია დასავლეთის ბაზარი, რომელიც რუსეთის ნავთობისა და გაზის მთავარ მომხმარებელს წარმოადგენს. მეტიც, სწორედ დასავლეთში უყვარს დასასვენებლად და საყიდლებზე წასვლა, აგრეთვე სასწავლებლად შვილების გაგზავნა მდიდარ და ძლევამოსილ რუსულ ელიტას.

მაგრამ რუსეთის მხრიდან კუნთების თამაში დასავლელ ლიდერებს საგონებელში აგდებს და აშფოთებს, რაც რუსეთის ახალი სტატუსის დამკვიდრებას საეჭვოს ხდის. საკამათო საგარეო პოლიტიკა კონტაქტების დამყარებას და შეთანხმებების მიღწევას ართულებს. ის ანგრევს მხარეთა შორის ნდობას, რაც აუცილებელია სავაჭრო ურთიერთობების განსამტკიცებლად. როგორც იანვარში გაზის ფასთან დაკავშირებით უკრაინასთან წარმოშობილმა კონფლიქტმა აჩვენა, რუსეთი ხისტ თამაშს ეწევა, რაც დასვლეთის შეშფოთებასა და ეჭვებს იწვევს და მას უფრო დამთმობს სულაც არ ხდის.

რა მოხდება, თუ უხეში ძალა და მკაცრი გამონათქვამები რუსეთის ნაციონალური ინტერესების არაადეკვატური აღმოჩნდება? ამის თქმა ძნელია, მაგრამ რუსეთის ისტორია ამ მხრივ იმედის მომცემი ვერ იქნება.

*ავტორი გახლავთ მოსკოვის კარნეგის ცენტრთან არსებული ჟურნალის "Pro & Contra" რედაქტორი.*

# იმედის ნაპერწკალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის

პირველი გვერდიდან

ზემოაღნიშნული საკითხის კომენტირებისას ერთ-ერთი ევროპელი დიპლომატი აღნიშნავს, რომ "ეს არ არის რაიმე სახის ვალდებულება, მაგრამ ეს ის მინიმუმია, რაც ევროკავშირს შეუძლია გააკეთოს".

თუმცა, სამოქმედო გეგმებში ეს ბუნდოვანი ფორმულირებაც კი, საქართველოსა და სომხეთს შესაძლებობას მისცემს, მომავალში ოფიციალურად დაუჭირონ მხარი ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების შესახებ "ზოგიერთ" განცხადებას - მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლის თქმით, იგი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხებში თანმიმდევრულობას შეამცირებს.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ არის საუბარი მხოლოდ საქართველოსა დ სომხეთზე? ევროპელი ექსპერტების აზრით, ის, რომ "ევროპული მისწრაფებების" შესახებ ფორმულირება ამჯერად არ არის გათვალისწინებული აზერბაიჯანისთვის, თავად ამ ქვეყნის ხელისუფლების ბრალია. იგივე წყაროს ცნობით, აზერბაიჯანელებს თავიდანვე არ მოუთხოვიათ მსგავსი ფორმულირების დაფიქსირება სამოქმედო გეგმაში.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი ინტერესი ევროკავშირში განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ევროპა ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემის წინაშე დადგა. წლის დასაწყისში უკრაინა-რუსეთის "გაზის ომის" შედეგად საფრთხის წინაშე აღმოჩენლმა ევროპელებმა სრულად გააცნობიერეს, რომ ევროპის შეუფერხებელი ენერგომომარაგება მხოლოდ რესურსების მიწოდების გზების დივერსიფიცირების საშუალებითაა შესაძლებელი. სწორედ ამის შემდეგ იწყება ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებების გახშირება სამხრეთ კავკასიის რეგიონზე ყურადღების გაძლიერების შესახებ.

მოკლედ, ევროპა სამხრეთ კავკასიაში გააქტიურებას აპირებს. ამის შესახებ, ჯერ კიდევ მაისში გერმანიის (2007 წლის პირველ ნახევარში ევროკავშირის მორიგი თავმჯდომარე-ქვეყანა) კანცლერის გამოსვლაშიც იყო ნათქვამი. ბუნდესტაგის წინაშე მომავალი თავმჯდომარეობის დროს პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ საუბრისას, ანგელა მერკელმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ხელმძღვანელობით ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართულებით აუცილებლად მკვეთრად გააქტიურდება.

# კვიციანის ამბოხის პირველი "მსხვერპლი"

პირველი გვერდიდან

იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი საქართველოში პოლიტიკური რეპრესიების დაწყების თაობაზე იუწყება. სარიშვილი ბათიაშვილის დაპატიმრებას იმ "სამარცხვინო ოპერაციის" გაგრძელებად მიიჩნევს, რომელიც, მისივე თქმით, კოდორის ხეობაში თავად ხელისუფლებამ "დადგა".

სარიშვილის მსგავსად, პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისსა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე თავად ბათიაშვილის "თანამებრძოლები, "წინ საქართველოს" წარმომადგენლებიც საუბრობენ. გია კობახიძის შეფასებით, ხელისუფლება მხოლოდ ბათიაშვილის დაპატიმრებას არ დასჯერდება და ოპოზიციონერების დაკავება მომავალშიც გაგრძელდება. კობახიძე საქართველოს პრეზიდენტს ლუკაშენკოს ადარებს. მისი თქმით, ბათიაშვილის დაპატიმრებისას გამოძიებამ "ქართველი ლუკაშენკოს" პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა.

როგორც გიორგი კობახიძე აღნიშნავს, პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის სატელევიზიო გამოსვლა წარმოადგენდა პირდაპირ მითითებას ბათიაშვილის დაპატიმრების თაობაზე. კობახიძის თქმით, თარგამაძემ ბათიაშვილს სატელევიზიო ეთერიდან წაუყენა ბრალი, რითაც უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია.

მოძრაობა "წინ საქართველომ" სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტი შექმნა. კომიტეტი საპროტესტო ღონისძიებებს გეგმავს. კომიტეტის წევრები ირაკლი ბათიაშვილის სასამრთლო პროცესის დასრულების შემდეგ მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები" ადამიანის უფლებისათვის" თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე ბათიაშვილის დაპატიმრების გამო საზოგადოებისგან ადეკვატურ რეაგირებას ითხოვს. იგივეს მოუწოდებს საზოგადოებას ირინა სარიშვილიც. სარიშვილი, პირველ რიგში, იმ ოპოზიციურ "შვიდეულს" მიმართავს, რომელმაც, გიორგაძის საქველმოქმედო ფონდის თავმჯდომარის აზრით, სახელმწიფოს კოდორის გაწმენდის ოპერაცია მოუწონა.

ერთადერთი, ვინც აღნიშნული შვიდი ოპოზიციური პარტიიდან ბათიაშვილის დაპატიმრების ფაქტზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა, რეპუბლიკური პარტიის წევრი თინა ხიდაშელი იყო. როგორც ირკვევა, ხიდაშელი სარიშვილის (ისევე როგორც დანარჩენი ოპოზიციური გამომსვლელების) სრულიად საპირისპირო პოზიციაზე დგას. ბათიაშვილი-კვიციანის სატელეფონო საუბარი, შენიშნავს თინა ხიდაშელი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დამონტაჟებული, ადასტურებს ბათიაშვილის ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას. "საუბრის დასაწყისში ბათიაშვილი ამბობს: "გამაგრდით ბიჭებო", რაც ნათლად წარმოაჩენს მის ანტისახელმწიფოებრივ პოზიციას", - აცხადებს ხიდაშელი.

*24 საათი*

# მსჯელობა კოდორის ხეობაში გადასვლის შესახებ

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია განაგრძობს კოდორის ხეობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ ადმინისტრაციული ცენტრის განლაგების შესახებ საკითხის განხილვას.

სესიაზე ეს საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც საქართველოს პრეზიდენტმა გააკეთა პოლიტიკური განცხადება კოდორის ხეობის აფხაზეთის პოლიტიკურ ცენტრად გამოცხადების შესახებ.

საკითხი სესიაზე მომზადებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიული საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის ანზორ წოწონავასა და აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების საინფორმაციო უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარის ჯემალ გამახარიას მიერ.

სავარაუდოდ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო მიიღებს დადგენილებას, რომელიც ერთი კვირის ვადაში დაავალებს აფხაზეთის მთავრობას კოდორის ხეობაში ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკურ ადმინისტრაციული ცენტრის განლაგების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული გეგმის წარმოდგენას.

როგორც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები აცხადებენ, მედიამ არასწორად გადასცა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები ეწინააღმდეგებოდნენ კოდორის ხეობაში აფხაზეთის ხელისუფლების გადასვლას.

დეპუტატ თამაზ ხუბუას თქმით, გენო კალანდიას განცხადება სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ იგი წინააღმდეგი იყო აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების კოდორის ხეობაში გადასვლის.

დადებითად აფასებენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას კოდორის ხეობაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების გადასვლასთან დაკავშირებით ადა მარშანია და ჯემალ გამახარია.

ადა მარშანიას მტკიცებით, კოდორის ხეობაში გადასვლის შემდეგ დევნილ ხელისუფლებას პოლიტიკურ პროცესებში რეალურად ჩართვის საშუალება მიეცემა და იგი ამას სერიოზულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებად აფასებს.

ჯემალ გამახარიას განცხადებით, იგი ეთანხმება ადა მარშანიას მოსაზრებას. "აფხაზეთის დევნილობაში მყოფ ხელისუფლებას რეალურ ფუნქციებს შესძენს კოდორში გადასვლა, მას დევნილის სტატუსი მოეხსნება და აქტიურად ჩაერთვება კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ეს ეხება, როგორც დიალოგს საკუთრივ აფხაზეთთან, ასევე კონფლიქტში ჩართულ სხვა მხარეებთანაც. მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან", - აღნიშნავს გამახარია.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გუშინდელი სხდომა ჟურნალისტებისთვის დახურულ რეჟიმში წარიმართა.

*ინტერპრესნიუსი*


Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |



## შ.პ.ს. "ელიტელექტრონიკსი" აცხადებს კონკურსს ქ. ბათუმში სავაჭრო-საქმიანი შენობის ესკიზურ პროექტზე

კონკურსის მიზანია, ქ. ბათუმის ცენტრში (ყოფილი უნივერმაღის ადგილას) ახალი თანამედროვე სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად საუკეთესო არქიტექტურული წინადადების შერჩევა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის გათვალიწინებულია (ექვივალენთი ლარებში) :

ერთი პირველი პრემია 5000 აშშ
ერთი მეორე პრემია 3000 აშშ
ერთი მესამე პრემია 1000 აშშ

საკონკურსო პირობების გაცემა 01.08.06 - 15.08.06
საკონკურსო მასალების ჩაბარება 20.10.06 18სთ-მდე
მისამართი - "დიზაინცენტრი" ირ. აბაშიძის ქ. 41 თბილისი
"ელიტელექტრონიქსი" გამსახურდიას ქ, 47 ბათუმი
დამატებითი ინფორმაციისთვის
საკონტაქტო ტელ: **25-10-22 877 40-60-99**
ელ-ფოსტა: designcenter@mail.ru


# აფხაზური დეზინფორმაცია

აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ზაკან ნანბას მიერ "ინტერფაქსისითვის" მიცემულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ქართული მხარე კოდორის ხეობის ზედა ნაწილში აწარმოებს სპეციალური საჯარისო დანაყოფების გადასროლას და სოფელში გაიხსნა სამხედრო კომენდანტურები, არ ადასტურებს დსთ-ის სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწე ვლადიმერ ანკინი.

მისი თქმით, ქართულ მხარეს, კოდორის ხეობიდან გამოჰყავს ტექნიკა და პირადი შემადგენლობა. "რაც შეეხება ხეობაში არსებულ ვითარებას, სტაბილური და მშვიდია", - აღნიშნავს ანკინი. "ინტერფაქსი" აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ზაკან ნანბას ინფორმაციაზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც კოდორის ხეობიდან პოლიციელების გაყვანის ნაცვლად, ქართული მხარე კოდორის ხეობის ზედა ნაწილში აწარმოებს სპაციალური საჯარისო დანაყოფების გადასროლას.

"ჯი-ეიჩ-ენს" აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს შს სამინისტროში და თავდაცვის სამინისტროში არ დაუდასტურეს.

არ დასტურდება ინფორმაცია ხეობაში საინჟინრო-სასანგრე დანაყოფების ყოფნის შესახებაც. "ჯი-ეიჩ-ენის" მიერ მოპოვებული დაზუსტებული ინფორმაციით, ხეობაში იმყოფება გამნამღველთა მცირე ჯგუფი, რომლებიც ტყის მასივებში დანაღმული ტერიტორიების განაღმვით სამუშაოებს აწარმოებენ.

რაც შეეხება ხეობის სოფლებში სამხედრო კომენდანტურების გახსნას, ამ ინფიორმაციას შს სამინისტროს წარმომადგენლებმა სისულელე და დეზინფორმაცია უწოდეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# აფხაზეთის სამხედრო მზადყოფნა ძალაში რჩება

თვითაღიარებული აფხაზეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის ანატოლი ზაიცევის განცხადებით, კოდორის ხეობაში გადასროლილი აფხაზეთის შეიარაღებული ფორმირებები საკუთარ პოზიციებზე რჩებიან, თუმცა საბრძოლო მზადყოფნა ჯერ კიდევ ძალაშია. ზაიცევის მტკიცებით, ქართული ძალოვანი სტრუქტურების მიერ კოდორის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის მანძილზე ფართომასშტაბიან საბრძოლო შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია. გენერლის თქმით, კვიციანის მომხრეებს, პრაქტიკულად არც ერთი ძლიერი შეიარაღებული წინააღმდეგობა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებისთვის არ გაუწევიათ. მისი ინფორმაციით, კოდორის ხეობის ზედა ნაწილში 500 ქართველი პოლიციელი კვლავაც რჩება.

*ინტერპრესნიუსი*

# სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდების სტატისტიკა თვალსაჩინოდ მატულობს



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი

**გირაოს გამოყენების ტენდენცია დღითი დღე იზრდება. აღკვეთის ღონისძიების ეს სახე სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. ამით ქართული მართლმსაჯულება ცივილიზებული ქვეყნების სტანდარტს უახლოვდება.**

**გირაოს შეფარდების სტატისტიკაც ყოველთვიურად მატულობს, თუ წინა წლებში გირაოს შეფარდების ერთეული შემთხვევები იყო, 2005-2006 წლებში გირაო უკვე ასეულობით ბრალდებულს შეუფარდეს. სასამართლოებში უკვე გირაოს შეფარდების ზრდის ტენდენციაც გამოიკვეთა.**

**გირაოს გამოყენების კანონმდებლობის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ზაზა მეიშვილი გვესაუბრება**

გირაო არის აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე, რომელიც აქამდე პასიურად გამოყენებოდა, მაგრამ ბოლო დროს ხდება მისი უფრო აქტიურად გამოყენება.

უპირველეს ყოვლისა, გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება, ენაცვლება ყველაზე მკაცრ აღკვეთ ღონისძიებას - დაპატიმრებას ანუ ადამიანი ფაქტობრივად თავისი ქმედების და თავისი წესიერების გარანტად დებს თანხას. ამ დროს არ ხდება მისი სრული იზოლაცია - დაპატიმრება, მის მიმართ გამოიყენება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - გირაო.

**- ნებისმიერ დანაშაულზე შეიძლება გირაოს გამოყენება?**

- კანონმდებელი ამბობს: გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვისაც ბრალი ედება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში. მაგრამ სიტყვები "როგორც წესი" პრაქტიკაში განმარტებულია არა აკრძალვად, არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე უფრო მეტად დაფიქრდეს, როცა იღებს ამ გადაწყვეტილებას. პრაქტიკამ დაადგინა, რომ "როგორც წესი" ეს არის გამოყენების შესაძლებლობა და არა - არგამოყენების ვალდებულება. წინასწარი გამოძიებისას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ შერჩეულ ამ აღკვეთის ღონისძიების საკითხის გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომლის გადაწყვეტილება გირაოს გამოყენება-არგამოყენების საკითხთან დაკავშირებით საბოლოოა.

ნებისმიერ შემთხვევაში გირაოს გამოყენების დროს მოსამართლე უნდა დაფიქრდეს, საჭიროა თუ არა ამ პირის საზოგადოებისგან სრული იზოლაცია, მისი არდაპატიმრება ხომ არ შეუშლის ხელს წინასწარ გამოძიებას და ა.შ.

გირაოს გამოყენების დროს შუამდგომლობის ავტორმა უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, შესაძლებელია თუ არა ამ ადამიანის საზოგადეობაში დარჩენა, ხომ არ შეუშლის იგი ხელს გამოძიებას, ხომ არ მოხდება მოწმეთა შეგულიანება, დაზარალებულის დაშინება - ყველა ეს ფაქტორი, ერთად აღებული, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას უნდა გაითვალისწინოს ჯერ შუამდგომლობის ავტორმა და საბოლოოდ - მოსამართლემ.

**- ვინ განსაზღვრავს გირაოს ოდენობას?**

- გირაოს ოდენობას განსაზღვრავს შუამდგომლობის ავტორი ანუ პროკურორი. მოსამართლე იხილავს ამ შუამდგომლობას, უსმენს პროკურორს, დამცველს, ისმენს მათ მოტივაციას და იღებს გადაწყვეტილებას გირაოს გამოყენების თაობაზე.

არ არის აუცილებელი, რომ მოსამართლე იხილავდეს მაინცდამაინც პროკურორის შუამდგომლობას გირაოს გამოყენების თაობაზე და მხოლოდ ამ შემთხვევაში იღებდეს გადაწყვეტილებას. მოსამართლე უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების მოთხოვნის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობა და თავისი გადაწყვეტილებით შეუფარდოს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება - გირაო. ამის მაგალითებიც არის პრაქტიკაში.

მოსამართლეს შეუძლია, გამოიყენოს ე.წ. საგირავნო პატიმრობა. მართალია, ამ დროს აღკვეთის ღონისძიების სახით უფარდებენ გირაოს, მაგრამ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ საგირავნო თანხის გარკვეული ოდენობის, მაგალითად 50-70%-ის ან სრული ოდენობის გადახდამდე ამ პირის მიმართ გამოყენებულ იქნეს საგირავნო პატიმრობა, ანუ, სანამ არ იქნება გადახდილი მითითებული თანხა, მანამდე ეს პირი რჩება პატიმრობაში.

**- რა კრიტერიუმით განისაზღვრება გირაოს თანხა?**

- ზოგადად, გირაოს თანხა განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმიდან და ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. თანხის ოდენობა უნდა გადაწყდეს კერძო, კონკრეტული შემთხვევისა და კერძო, კონკრეტულ ბრალდებულ პირთან მიმართებით. გირაოს თანხის მოთხოვნის უფლება აქვს პროკურორს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე.

გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 2000 ლარზე ნაკლები. ბრალდებული არ არის შეზღუდული იმით, რომ მაინცდამაინც ფულადი თანხა, ფულის ნომინალი შეიტანოს მითითებულ დეპოზიტზე. ბრალდებულს უფლება აქვს, ან ფულადი თანხა შეიტანოს, ან, ნაცვლად ფულადი თანხისა, გირაოში ჩადოს უძრავი ქონება. მაგრამ ამისთვის განსახორციელებელია რამდენიმე პროცედურა: პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ ეს უძრავი ქონება არის მისი ან იმ ადამიანის საკუთრება, რომელიც მისი სახელით უზრუნველყოფს ამ ქონების გირაოში ჩადებას. ადამიანთა წრე, ვინც შეიძლება თავისი ქონება ჩადოს გირაოში, შეზღუდული არ არის. ეს შეიძლება იყოს როგორც ოჯახის წევრი, ასევე ნათესავი, მეგობარი, ახლობელი და ასე შემდეგ. ასევე უნდა გაირკვეს და დადგინდეს, რომ ქონება, რომელიც გირაოში იდება, არ არის სადავო, არ არის დატვირთული სხვა ვალდებულებებით, და ასევე ის, რომ ეს ქონება არის ეკვივალენტი იმ თანხისა, რომლითაც განსაზღვრულია გირაო. როგორც წესი, ამის დადგენა ხდება აუდიტის დასკვნით, თუ საჭიროა - ექსპერტიზის დასკვნითაც. როგორც კი პროკურორი დარწმუნდება დოკუმენტების სისწორეში, იგი შედის სასამართლოში შუამდგომლობით, რომ ამ ქონებას დაედოს ყადაღა, როგორც კი მოსამართლე ამ ქონებას დაადებს ყადაღას, უკვე ითვლება, რომ გირაოს მოთხოვნა შესრულებულია, ანუ ფულადი თანხის ნაცვლად ჩადებულია დაყადაღებული უძრავი ქონება, რომელიც გირაოს თანხის ეკვივალენტია.

**- რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს გირაოში ჩადებული თანხის ან უძრავი ქონების მიმართ?**

- გირაოს ბედი დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთ ადამიანზე - ბრალდებულზე. თუ იგი თავის ვალდებულებას არ დაარღვევს, ცხადდება გამოძიების ორგანოში, თუ საქმეს სასამართლო იხილავს, ცხადდება პროცესზე, არ დაიმალა, არ დაარღვია თავისი სხვა მოვალეობები, როგორც კი მოხდება განაჩენის აღსრულება, ერთი თვის ვადაში მას უბრუნდება ეს გირაო, იქნება ეს ფულადი თანხა თუ უძრავი ქონება, ჩადებული გირაოში. არანაირი პროცენტი მას არ ექვითება, მეტიც, თანხა ბრუნდება გირაოს შეტანის მომენტში არსებული კურსის გათვალისწინებით.

ხოლო თუ ბრალდებულმა არასაპატიო მიზეზით არ შეასრულა თავისი მოვალეობა, დაემალა გამოძიებას, მოახდინა მოწმეზე ან პროცესის მონაწილეზე ზეწოლა, მაშინ პროკურორი შედის შუამდგომლობით გირაოს უფრო მკაცრი აღმკვეთი ღონისძიებით, ანუ პატიმრობით შეცვლის შესახებ. ხოლო განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო თუ გირაო უძრავი ქონებითაა უზრუნველყოფილი, მაშინ ეს ქონება გადაეცემა სახელმწიფოს.

**- თუნდაც ეს ქონება მსჯავრდებულის პირადი საკუთრება არ იყოს და მისი გირაოში ჩადების უზრუნველყოფა ოჯახის ნათესავის მიერ მოხდა?**

- როდესაც გირაო ბრალდებულის სახელით სხვას, მაგალითად, მეგობარს, ახლობელს ან თუნდაც ოჯახის წევრს შეაქვს, მას განემარტება ის სამართლებრივი შედეგიც, რომელიც შეიძლება ამ ქონებასთან მიმართებით დადგეს. ეს მისი რისკია.

კანონმდებელი ბრალდებულის სახელით გირაოს შემტან პირს დაუცველად არ ტოვებს. თუკი ამ პირს ეჭვი შეეპარება, რომ ბრალდებულმა შეიძლება არ შეასრულოს თავისი ვალდებულება, მას აქვს უფლება, ნებისმიერ ეტაპზე მიმართოს წერილობით პროცესის მწარმოებელ ორგანოს და მოითხოვოს, რომ იგი გირაოთი ველარ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას, მას ერთი თვის ვადაში სრულად უბრუნდება გირაოში ჩადებული თანხა ან უძრავი ქონება.

**- გირაოში ჩადებული თანხის ან ქონების მიქცევა თუ შეიძლება სასამართლოს მიერ განსასჯელისთვის დაკისრებული ჯარიმის ამოსაღებად?**

- გირაო და ჯარიმა არის სხვადასხვა ღონისძიება. გირაო არის აღკვეთის ღონისძიება, ხოლო ჯარიმა - სასჯელის სახე. აღკვეთის ღონისძიება მოქმედებს მანამ, სანამ სასამართლოს განაჩენი შევა კანონიერი ძალაში,

ხოლო ჯარიმა გადახდილ უნდა იქნეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ეს არ ნიშნავს, რომ ერთი მეორეს იდენტურია და ავტომატურ რეჟიმში გირაო გახდება ჯარიმა.

გირაო უბრუნდება ან არ უბრუნდება ბრალდებულს, თუ იგი შეასრულებს თავის ვალდებულებას, გირაო უბრუნდება, ხოლო თუU არ შეასრულებს, არ უბრუნდება. თუ მას მოსამართლე განაჩენით დააკისრებს ჯარიმის გადახდას, იგი იხდის ამ ჯარიმასაც.

მაგალითად: თუ გირაოს თანხა შეადგენს 5000 ლარს, ხოლო მოსამართლემ მსჯავრდებულს 6000 ლარის ჯარიმის გადახდა დააკისრა, მსჯავრდებულმა ჯერ ეს ჯარიმა უნდა გადაიხადოს, ანუ განაჩენი უნდა აღსრულდეს, ხოლო ამის შემდეგ, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, მას უბრუნდება გირაოში ჩადებული თანხა. მაგრამ კანონმდებელმა გაამარტივა ეს ვითარება და სპეციალური ცვლილება შეიტანა სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონში, რომლის მიხედვითაც, როგორც კი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, თუკი არსებობს მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობა, მას შეუძლია, გირაოში ჩადებული თანხით მოახდინოს ჯარიმის აღსრულება, ანუ თავად მსჯავრდებულის გადასაწყვეტია, როგორ მოიქცეს: ჯერ ჯარიმა გადაიხადოს და შემდეგ აიღოს გირაო, თუ გირაოში ჩადებული თანხა გამოიყენოს ჯარიმის გადასახდელად.

**- რომელი ორგანოს ანგარიშზე ხდება გირაოში ჩადებული თანხის ჩარიცხვა?**

- როდესაც გირაოს შეფარდება ხდება წინასწარი გამოძიების ეტაპზე, მაშინ გირაოს თანხა შედის საქმის მწარმოებელი ორგანოს, ანუ პროკურატურის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო როდესაც საქმე უკვე სასამართლოშია, მაშინ თანხა იდება სასამართლოს დეპოზიტზე.

**-რა სტატისტიკური მონაცემები არსებობს გირაოს გამოყენების თაობაზე?**

-2006 წლის პირველი ნახევრის სტატისტიკური მონაცემების განხილვა ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვნად მცირდება დაპატიმრების ხვედრითი წილი აღკვეთის ღონსიძიების გამოყენებაში და მის ნაცვლად, შესაბამისად იცვლება გირაოს შეფარდების რიცხვი. ეს ტენდენცია უკვე ცალსახად შეიმჩნევა ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემების შედარებისას.







მონაცემები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ
2006 წლის I ნახევარი

| საანგარიშო პერიოდი | სულ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიება | მათ შორის | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაპატიმრება | | არასაპატიმრო | | მ.შ. გირაო | | |
| | | სულ | % | სულ | % | სულ | % (გრ7:გრ5) | % (გრ7:გრ2) |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 2006 წლის I კვარტალი | 4159 | 2695 | 64.8 | 1464 | 35.2 | 1166 | 79.6 | 28.0 |
| აპრილი | 1274 | 772 | 60.6 | 502 | 39.4 | 426 | 84.9 | 33.4 |
| მაისი | 1333 | 784 | 58.8 | 549 | 41.2 | 479 | 87.2 | 35.9 |
| ივნისი | 1651 | 909 | 55.1 | 742 | 44.9 | 669 | 90.2 | 40.5 |
| 2006 წლის I ნახევარი | 8417 | 5160 | 61.3 | 3257 | 38.7 | 2740 | 84.1 | 32.6 |

## გირაოს ინსტიტუტის გაძლიერებას დადებითად აფასებენ ადვოკატებიც.

**ზვიად კორძაძე:**

პრაქტიკის კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა იმ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რომელიც დაპატიმრების გარდა არსებობს. მნიშვნელოვანია თავად ბრალდების და მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირთა მხრიდან იმის გაგება, რომ აღკვეთის ღონისძიება არ არის სასჯელის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიება ისეთი ღონისძიებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პირის შესაბამისი ქცევა - ხელი არ შეუშალოს გამოძიებას, ვინაიდან, სანამ პირის ქმედებას სასამართლო არ შეაფასებს როგორც დანაშაულს, იგი ითვლება უდანაშაულოდ. ამიტომ დაპატიმრება უნდა რჩებოდეს ყველაზე კრიტიკულ ღონისძიებად, რომლის გარეშეც შეუძლებელია გამოძიების წარმართვა.

გირაოს ინსტიტუტის წამოწევას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ერთი მხრივ, ეს არის ჩვენთვის ახალი ინსტიტუტი და მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია საჭიროა და, მეორე მხრივ, ამ ღონისძიების გამოყენება ეფექტურია თავად იმ მიზნის მისაღწევად, რასაც ითვალისწინებს აღკევთის ღონისძიება.

მისასალმებელია გირაოს გამოყენების მატების ტენდენცია, რაც თანდათან კანონზომიერი უნდა გახდეს და გირაოს გამოყენება უნდა იქცეს კანონზომიერად, ხოლო დაპატიმრება - გამონაკლისად. ეს, რა თქმა უნდა, რთული საქმეა, მაგრამ დროთა განმავლობაში გირაოს გამოყენება მართლმსაჯულებას ჩვევად უნდა ექცეს. აქამდე ჩვევა იყო დაპატიმრება, ხოლო გირაო ეგზოტიკად იყო ქცეული: როცა მართლმსაჯულებას გირაოს გამოყენება ჩვევაში გადაუვა, იგი მხოლოდ ამის შემდეგ დაიმკვიდრებს თავს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ ჩვევის დამკვიდრებისთვის ბრძოლა.

როცა გირაოს გამოყენების მოთხოვნა წესად და ჩვევად იქცევა, ამას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაც მოჰყვება, ანუ იარსებებს ინსტიტუტები, რომლებიც ადამიანს ხელს შეუწყობენ გირაოს უზრუნველყოფაში.

**მამუკა ჭაბაშვილი:**

ის ტენდენცია, რომ ბრალდების მხრიდან გახშირდა გირაოს მოთხოვნა და უკვე ამ მოთხოვნით პროკურორები სასამართლოში შედიან, ძალიან კარგია. წინა წლებში ფაქტობრივად პროკურატურის მხრიდან არ ხდებოდა გირაოს მოთხოვნა, თუმცა მაშინაც იყო და ახლაც არის ბევრი ისეთი კატეგორიის დანაშაული, რომლის დროსაც ნამდვილად არ არის იმისი აუცილებლობა, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდოს. ასევე მისასალმებელია, თუკი მოსამართლეები, კანონში გაკეთებულ ჩანაწერს, რომ გირაო, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვისაც ჩადენილი აქვს მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული, სიტყვებს "როგორც წესი" აკრძალვად არ მიიჩნევენ. მე მხოლოდ მივესალმები ასეთ მიდგომას.

შეიძლება დანაშაული მძიმე იყოს და უკავშირდებოდეს ფინანსურ დარღვევებს, ეკონომიკურ დანაშაულს (მაგალითად, მითვისება, გაფლანგვა). ამ დროს შესაძლებელია, რომ ბრალდებულმა გირაოში გადაიხადოს ფულადი თანხა და იგი სასამართლომ არ დატოვოს პატიმრობაში. ასეთ მიდგომას ორი დადებითი მხარე აქვს: პირველი - მოხდება საპატიმრო ადგილების განტვირთვა და სახელმწიფოს აღარ მოუწევს პატიმრის შენახვა და მეორე - პიროვნება, რომელსაც სასამართლო გირაოს უფარდებს და გარეთ ტოვებს, მას ამით მეტი შესაძლებლობა ეძლევა, რომ ზიანის ანაზღაურებაზე იმუშაოს.

რაც შეეხება იმ სტატისტიკას, რომელიც უკვე პროკურატურის მოთხოვნისგან დამოუკიდებლად სასამართლოს მიერ შეფარდებულ გირაოს ეხება, კარგია, თუ ამ ციფრების გაზრდის ტენდენცია კიდევ უფრო მოიმატებს. კარგია, თუ ამ მხრივ სასამართლო უფრო თამამად მიიღებს გადაწყვეტილებას გირაოს შეფარდების შესახებ.

აქვე აღვნიშნავ, რომ არის ისეთი კატეგორიის დანაშაულები, მაგალითად, დანაშაული, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, ან როცა ბრალდებული მრავალგზის არის ნასამართლევი, ამ დროს, რა თქმა უნდა, მოსამართლე სავსებით სამართლიანად გამორიცხავს გირაოს გამოყენას, მაგრამ როცა ადამიანი პირველად სჩადის დანაშაულს, ამასთან, მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის მძიმე კატეგორიის და დანაშაული, მაგალითად, ფინანსურ დარღვევებს შეეხება, სასამართლომ თავისუფლად შეიძლება უფრო თამამად გამოიყენოს გირაო.

გირაოს შეფარდების დროს მთავარია, რომ პიროვნება არ დაიმალოს, ხოლო მაშინ, როცა ბრალდებულ პიროვნებას აქვს ბიზნესი და მას ედავებიან კონკრეტული თანხის მითვისებას, ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს ინტერესში არ უნდა იყოს ამ ადამიანის მაინცდამაინც წინასწარ პატიმრობაში ყოფნა. არა მგონია, ასეთ ბრალდებულთან დაკავშირებით იყოს იმის საშიშროება, რომ იგი დაემალება გამოძიებას.

ამ გზით ურთიერთობა სახელმწიფოსა და განსასჯელს შორის უფრო ცივილიზებული გახდება.

# სანქციები შეიარაღებული მეამბოხეების მხარდამჭერი პოლიტიკოსებისთვის

პოლიტიკოსების მიერ გამოცხადებულ მხარდაჭერას შეიარაღებული მეამბოხეების ან იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და უსაფრთხოებას შეიარაღებულ საფრთხეს შეუქმნიან, სამართლებრივი შეფასება მიეცემა - პოლიტიკოსების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყება. დეპუტატ ნიკა გვარამიას ამ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობას საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი სექტემბრიდან შეუდგება. სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების მომზადებისას ნიკა გვარამია ირლანდიის, ესპანეთის, ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებელთა გამოცდილებას გაიზიარებს.

მანამდე, სანამ კანონში მორიგი ცვლილება შევა, შეიარაღებული მემაბოხეებისადმი გამოხატული მხარდაჭერისთვის უკვე დააკავეს პირველი პოლიტიკოსი, "წინ საქართველოს" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი.



*ეს ხელისუფლება გისოსებს მიღმა მალე აღმოჩნდება, - აცხადებს ირაკლი ბათიაშვილი.*

შეიარაღებული ამბოხის ინტელექტუალური მხარდაჭერა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დაფარვა - ეს ის ბრალდებებია, რომელიც ირაკლი ბათიაშვილს სოდ-ის გამომძიებლებმა წაუყენეს და რომლის საფუძველზეც თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი ორთვიანი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის თქმით, **"ირაკლი ბათიაშვილმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: ბრალდების თანახმად, ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ემზარ კვიციანმა თავის ნათესავ ირაკლი არღვლიანთან, ბატალიონ "მონადირეს" წევრებთან და სხვა პირებთან ერთად შექმნა უკანონო შეიარაღებული ფორმირება და 22 ივლისს ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა ხელისუფლების დამხობას. ირაკლი ბათიაშვილმა გადაწყვიტა მითითებების, რჩევების მიცემით, საჭირო ინფორმაციის მიწოდებით მათთვის ინტელექტუალური დახმარება გაეწია. ამბოხების მიზნის მიღწევისთვის აუცილებელი იყო ფართო საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებაც. ბათიაშვილი კვიციანს დაჰპირდა, რომ თავისი და პარტიების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში დაეხმარებოდა."**

კახა კობერიძის განმარტებით, ირაკლი ბათიაშვილისთვის ცნობილი იყო, რომ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება აპირებდა ამბოხებულთა დახმარებას. კერძოდ, სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბამ ემზარ კვიციანს მხარდაჭერა აღუთქვა, რაც ბათიაშვილისთვის ცნობილი იყო, მაგრამ საქართველოს შესაბამის ძალოვან სტრუქტურებს არ განუცხადა.

შეიარაღებული ამბოხების ინტელექტუალური მხარდაჭერის ბრალდებით დაკავებული ირაკლი ბათიაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებას იყენებს. იგი ეჭვობს, რომ სოდ-მა პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა.

**"საქართველოში არის სააკაშვილის სამარცხვინო და დიქტატორული რეჟიმი და ძალიან მალე ის და მისი ბანდის წევრები თავად აღმოჩნდებიან გისოსებს მიღმა. ამოიღეთ ის ვიდეოჩანაწერები, რის საფუძველზეც დამაკავეს. მე მხოლოდ იმას მოვითხოვდი, რომ მშვიდობიანად დასრულებულიყო კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენები. ვურეკავდი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს შალვა ჯანაშვილს იმისათვის, რომ საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისთვის შემეწყო ხელი. ვურეკავდი არა მხოლოდ კვიციანს, არამედ კოდორის მცხოვრებლებსაც, რომ გამეგო, რეალურად რა ხდებოდა კოდორის ხეობაში. ეს თუ სახელმწიფოში ამბოხების მოწყობაში ინტელექტუალურ დახმარებად ითვლება, ჩემთვის გაუგებარია,"** - განაცხადა სასამართლო პროცესზე ირაკლი ბათიაშვილმა. მისი ადვოკატის, სოსო ბარათაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც ის და მისი დაცვის ქვეშ მყოფი საგამოძიებო მასალებს გაეცნენ, აღმოჩნდა, რომ საქმეში არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვება.

**"ინტელექტუალური დახმარება იქნებოდა ის, რომ ბათიაშვილს კვიციანისთვის ერჩია ისეთი რამ, რაც სამხედრო სტრატეგიას, შეიარაღებას და მის გადაადგილებას, თავდაცვას ან თავდასხმას შეეხებოდა. ასეთი რამ მათ შორის შემდგარ სატელეფონო საუბარში არ ჩანს,"** - განაცხადა სოსო ბარათაშვილმა.

ადვოკატის განცხადებით, ბათიაშვილისთვის წაყენებული რამდენიმე მუხლიდან ყველაზე დიდ სასჯელს - 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას - სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლი ითვალისწინებს, თუმცა, რადგან ის არ არის უშუალო განმახორციელებელი, ბათიაშვილს 20-წლიანი სასჯელი არ ემუქრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც ბათიაშვილს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა, ადვოკატი თბილისის სააპელაციო სასამართლოში 48 საათის განმავლობაში გაასაჩივრებს.

*24 საათი*

# ნორა კვიციანი დაპატიმრებულია

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი სოფელ ჩხალთაში, მისი საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკის შემდეგ დააკავეს.

გენერალური პროკურატურის განცხადებით, მას ბრალი ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებაში.

ყოფილი რწმუნებულის და ე. წ. მოდულის შენობაში იმყოფება. ადვოკატ პაატა ბუჩუკურის განცხადებით, ნორა კვიციანი პროტესტის ნიშნად დუმილის უფლებას იყენებს და ჩვენებებს არ იძლევა. მისი თქმით, კვიციანი კოდორის ხეობის სოფელ ჩხალთაში მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შემდეგ, სახლის მახლობლად დააკავეს. ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს.

**"უცნაურია, რატომ ფიქრობს გამოძიება, რომ ეს იარაღი ქალბატონ ნორას ეკუთვნოდა, მაშინ, როცა იმ სახლში მამაკაცებიც ცხოვრობენ. გარდა ამისა, კოდორის ხეობაში პრაქტიკულად ყველა მთავრობის დროს იარაღი შედიოდა. კოდორში იარაღი ყველა ოჯახში ინახებოდა და სწორედ ამით მოხერხდა ხეობის დაცვა,"** - განაცხადა ადვოკატმა.

პაატა ბუჩუკურის თქმით, ნორა კვიციანისთვის წაყენებული მუხლი 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*24 საათი*

DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

## განცხადება

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანთა უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2006 წლის 30 სექტემბრიდან 14 ოქტომბრამდე თბილისში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 22 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

www.cabir.org/applications

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ალი არბიას ელექტრონული ფოსტით:

applications@cabir.org.



Getz

ქალაქური რომანი

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

www.hyundai.ge

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან;
Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან;
Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

HYUNDAI
Drive your way™
იარე შენი გზით

27 ივლისი, 2006

## საქართველოს ოპოზიციური პარტიების განცხადება კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

უკანონობა შობს უკანონობას. სამწუხაროდ, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ვერ გაითავისა კაცობრიობისა და საქართველოს ბოლო თხუთმეტწლიანი ისტორიის ეს მთავარი გაკვეთილი. ხელისუფლების მიერ დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფამ, ძალადობის კულტის დანერგვამ, კანონის უზენაესობის იგნორირებამ და საკუთარი მოქალაქეების ღირსების განუწყვეტელმა შელახვამ შექმნა ნოყიერი ნიადაგი ქართული სახელმწიფოებრიობის მტრების მიერ შეიარაღებული ავანტურისტების ასპარეზზე გამოსაყვანად. სააკაშვილის უუნარო და უპასუხისმგებლო ხელისუფლება მომავალშიც არაერთი საფრთხის წინაშე დააყენებს ქვეყანას. მაგრამ ქვეყანას ყველაზე დიდი საფრთხე იმ გარე თუ შიდა ძალებისაგან ემუქრება, ვინც ახალი შეიარაღებული დაპირისპირებით გეგმავს პოლიტიკური მიზნის მიღწევას.

საქართველოს ოპოზიციური პარტიები ადასტურებენ თავიანთ ერთმნიშვნელოვან და უპირობო პოზიციას - ყველა პრობლემა გადაწყდეს კონსტიტუციური გზით. სხვაგვარად პოლიტიკური პრობლემები კი არ გვარდება, არამედ მწვავდება, ღრმავდება და დროში იწელება.

ჩვენი აზრით, კოდორის ხეობაში განხორციელებული ავანტიურის ორგანიზატორთა ერთ-ერთი მთავარი ჩანაფიქრი იყო გაუაზრებელი და იმპულსური ქმედებებით გამორჩეული საქართველოს ხელისუფლების პროვოცირება ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ოპერაციის წამოწყებაზე სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან და მგრძნობიარე რეგიონში. სამწუხაროდ, ეს მიზანი მიღწეული იქნა და საქართველომ კოდორის ხეობაში უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პლაცდარმის ნაცვლად შეიძლება მიიღოს დესტაბილიზაციის კიდევ ერთი კერა, რომელიც ემზარ კვიციანის გაუვნებელყოფის შემდეგაც შესაძლოა იქცეს უფრო მასშტაბური პრობლემების კატალიზატორად.

კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენები ქვეყანაში არსებული იმ უმწვავესი კრიზისის კიდევ ერთი გამოვლინებაა, რისი უმთავრესი მიზეზიც სააკაშვილის ხელისუფლების უგუნური პოლიტიკაა. ასეთი პოლიტიკის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია გირგვლიანისა და რობაქიძის მკვლელობებთან დაკავშირებული მოვლენები, რის შემდეგაც შსს-ს მინისტრად მერაბიშვილის დამტკიცებამ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა მკვლელების დაუფარავ მხარდამჭერად და მფარველებად აქცია, ხოლო საზოგადოებას საბოლოოდ გადაუწურა ქვეყანაში სიმართლისა და სამართლიანობის პოვნის იმედი.

ჩვენ, საქართველოს ოპოზიციური პარტიები ვიღებთ პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე და არ დავუშვებთ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დაწერილი სცენარებით მოვლენების განვითარებას. რაც არ უნდა ეცადონ ძალაუფლებით თუ ძალაუფლების წყურვილით გაბრუებული უცხო ქვეყნების ინტერესების მსახური პოლიტიკური თუ ფინანსური ჯგუფები, ჩვენ, საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინტერესების გამომხატველი პარტიები, მოვახერხებთ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად პოლიტიკური პროცესების წარმართვას და კონსტიტუციური გზით ხელისუფლების ცვლილების ტრადიციის დამკვიდრებას საქართველოში. ამიტომ, საქართველოს ოპოზიციური პარტიები მთელს ჩვენს ძალისხმევას მივმართავთ საზოგადოების კონსოლიდაციისკენ სააკაშვილის ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შესაცვლელად.

**პ/გ "ახალი მემარჯვენეები"**
**რესპუბლიკური პარტია**
**პ/მ "თავისუფლება"**
**კონსერვატიული პარტია**
**ლეიბორისტული პარტია**
**პ/მ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"**
**სახალხო ფორუმი**

28 ივლისი, 2006

## საქართველოს ოპოზიციური პარტიების განცხადება კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

პირველ რიგში, გვსურს თანაგრძნობა გამოუცხადოთ კოდორის ხეობაში სპეცოპერაციის დროს დაღუპული მოქალაქის ოჯახს. ამასთან ერთად, საქართველოს ოპოზიციური პარტიები კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, ქართული საზოგადოებისა და ჩვენი საერთო ძალისხმევით კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების პირველ ეტაპზე თავიდან იქნა აცილებული სისხლისღვრა და ძმათამკვლელი ომი. სწორედ საზოგადოების ყველა ფენის ადექვატურმა რეაქციამ აიძულა ხელისუფლება თავი შეეკავებინა შეიარაღებული დაუმორჩილებლობის მონაწილეებზე ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან, რის პროპაგანდასაც ბოლო დღეების განმავლობაში პრეზიდენტი და მისი გუნდი მასმედიის საშუალებებით აქტიურად ეწეოდა. საზოგადოების რეაქციით ემზარ კვიციანმა დაინახა, რომ მის შეიარაღებულ ავანტიურას მხარი არ დაუჭირა პოლიტიკური სპექტრის და ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, ხოლო ხელისუფლება დარწმუნდა, რომ კოდორის ხეობაში ფართომასშტაბიან სისხლისღვრას საზოგადოების მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვებოდა.

განსაკუთრებულად გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ, ჩვენი ინფორმაციით, სპეცოპერაციის მიმდინარეობისას მებრძოლების უმრავლესობა დიდ სიფრთხილეს იჩენდა, რითაც მინიმუმამდე იქნა დაყვანილი ყოვლად უაზრო მსხვერპლი როგორც მოსახლეობაში, ასევე მეამბოხეებსა და სამთავრობო ძალებში.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული საზოგადოება მომავალშიც შეძლებს დროულ და ადექვატურ რეაგირებას მიმდინარე მოვლენებზე და არავის მისცემს უფლებას - შელახოს საქართველოს მოქალაქეებისა და ქვეყნის ინტერესები. მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ძირითადი დრო და ყურადღება დაუთმოს არა ეიფორიულ პიარ-კამპანიებს, არამედ ყველა იმ რეალური პრობლემის გააზრებას და გადაჭრას, რომელიც დგას კოდორის ხეობაში და მთლიანად კონფლიქტის ზონაში.

**პ/გ "ახალი მემარჯვენეები"**
**რესპუბლიკური პარტია**
**ლეიბორისტული პარტია**
**პ/მ "თავისუფლება"**
**კონსერვატიული პარტია**
**პ/მ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"**
**სახალხო ფორუმი**

# ვაკანსია
# უშიშროების საველე ოფიცერი

კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს უშიშროების საველე ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. სამუშაოს შესრულების ადგილია BP-ს ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენები **აღმოსავლეთ საქართველოში.** უშიშროების საველე ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობა იქნება საველე უშიშროების საკითხების კონტროლი და ამ საკითხებში სათანადო გარანტიების შექმნა და რჩევების მიცემა BP-ს ხელმძღვანელობისათვის. მითითებისამებრ, იგი კოორდინირებას გაუწევს უშიშროების დაცვის ღონისძიებებს ამ მიზნით გამოყოფილი *მოქმედების არეალის* ფარგლებში. მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები გავრცელდება კომპანია "BP-საქართველოს" და კონტრაქტორების ყველანაირ საქმიანობაზე უშიშროების სფეროში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

უშიშროების საველე ოფიცრის მოვალეობებში შედის:

- ყოველკვირეული კავშირი იქონიოს ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან, უშიშროების მხრივ შექმნილი მდგომარეობის გარკვევის მიზნით, და შედეგები ასახოს ყოველდღიურ მოხსენებებში. გააღრმავოს ურთიერთობა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ყველა სამსახურთან, მათგან სათანადო დახმარების მიღების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- დაამყაროს და მუდმივად იქონიოს მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა სტრატეგიული მილსადენების დაცვის ადგილობრივ სამმართველოსთან, საზღვრის დაცვის სამსახურთან და *მოქმედების არეალში* არსებული სამხედრო ნაწილების მხედრობასთან.
- *მოქმედების არეალში* მოიპოვოს და დაამუშავოს სიტუაციური ინფორმაცია და ანალიზის შედეგები აცნობოს "BP-საქართველოს" უშიშროების სფეროს ხელმძღვანელებს და შესაბამის საველე თანამშრომლებს. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ტერორისტულ საქმიანობასა და დამნაშავეობაზე.
- მოთხოვნის შემთხვევაში, მოახდინოს უშიშროების საფრთხეების შეფასება, საკუთარი *მოქმედების არეალის* ფარგლებში.
- იქონიოს კავშირი, უხელმძღვანელოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი *მოქმედების არეალში* კონტრაქტით მომუშავე უშიშროების სამსახურების თანამშრომლებს, რათა მათი მოქმედებები შესაბამისობაში იყოს BP-ს უშიშროების სტანდარტებთან და პროცედურებთან.
- იქონიოს მჭიდრო კავშირი "BP-საქართველოს" საველე კონტიგენტთან, მათ შორის, ექსპლუატაციის ტექნიკოსებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის ოფიცრებთან და მიწის საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან. საჭიროებისამებრ მიაწოდოს მათ ინფორმაცია უშიშროების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ.
- შესაბამისი მითითების მიღების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციებში, *ინციდენტის მართვის ჯგუფს* და საველე თანამშრომლებს მიაწოდოს რჩევები და აღმოუჩინოს დახმარება.
- იმოქმედოს "BP-საქართველოს" უშიშროების სამსახურის სახელით, საპროტესტო აქციების და სხვა სამოქალაქო არეულობების დარეგულირების დროს.
- დადგენილი პროცედურების შესაბამისად, შეადგინოს ყოველდღიური საქმიანობის ამსახველი წერილობითი ანგარიშები.
- უზრუნველყოს პირველადი რეაგირება უშიშროების კუთხით "BP-საქართველოს" საქმიანობის პროცესში მომხდარ საავტომობილო ავარიებზე.
- ჩაატაროს გამოძიება და/ან დახმარება აღმოუჩინოს გამოძიების ჩატარების პროცესში, ხელმძღვანელობიდან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.
- ზედამხედველობა და კონტროლი გაუწიოს დიზელის/საწვავის მოხმარების კონტროლს.
- დაიცვას და გაატაროს BP-ს ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის პოლიტიკა.
- უზრუნველყოს რეგულარული კოორდინაცია *მოქმედების არეალში* მომუშავე ქვეკონტრაქტორის უშიშროების პერსონალთან.
- საჭიროებისამებრ შეასრულოს სხვა დავალებები და მითითებები, ექსპლუატაციის ნაწილის და პროექტის საქმიანობაში დახმარების მიზნით.

**მოთხოვნები:**

კანდიდატს მოეთხოვება:

- სამხედრო, უშიშროების სამსახურში ყოფნის ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება;
- ცოდნა და გამოცდილება რისკის ანალიზის და რისკის მენეჯმენტის სფეროებში;
- ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური და უშიშროების მდგომარეობის შესახებ კომპეტენტური ინფორმაციის ფლობა;
- ავტომობილის მართვის მოქმედი მოწმობა;
- ქართული, ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook - გამართული ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარი და გამორჩეული ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, დაკვირვების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, მინიმალური ზედამხედველობის ქვეშ, რთული კლიმატის და რელიეფის პირობებში, მათ შორის, ქალაქგარეთ, მოშორებულ და დაუსახლებელ ადგილებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2006 წლის 9 აგვისტო, ოთხშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შეთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
BP Georgia
საქართველო, თბილისი,
საბურთალოს ქუჩა N38

---

სესფ GNSF

# სსიპ საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
# აცხადებს საგრანტო კონკურსს

**გრანტები ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად**

**1. საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი 2006 წლის 31 ივლისს აცხადებს კონკურსს გრანტებზე ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად**

**1.** საგრანტო კონკურსი "გრანტები ბიბლიოთეკებისთვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შესაძენად" მიზნად ისახავს ს.ს.ი.პ. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებისათვის თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენის დაფინანსებას.

**2.** ბიბლიოთეკებისათვის სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. კონკურსის ბიუჯეტია 500 000 ლარი. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (სესფ).

**2. კონკურსის პირობები**

**1.** საგრანტო კონკურსი ღიაა ყველა აკრედიტებულ ს.ს.ი.პ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**2.** გრანტის ფარგლებში შეძენილი სამეცნიერო ლიტერატურა და პერიოდული გამოცემები რჩება დაწესებულების საკუთრებაში.

**3**. გრანტის ფარგლებში სამეცნიერო პერიოდული გამოცემების შეძენა დაფინანსდება ერთი წლის მანძილზე.

**4.** სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების ნუსხის შედგენასა და შეძენას ახორციელებს გრანტის მიმღები დაწესებულება.

**5.** კონკურსის ფარგლებში პრიორიტეტი მიენიჭებათ ავტორიტეტულ, წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებულ სამეცნიერო გამოცემებს.

**6.** კონკურსზე წარმოდგენილი ლიტერატურის ნუსხა უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სასწავლო და კვლევით პროგრამებს.

**7.** კონკურსის ფარგლებში, ფონდი უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკება გრანტის მაძიებელ დაწესებულებასთან სამეცნიერო ლიტერატურის წარმოდგენილი ნუსხისა და ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით.

**8.** შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურის შეძენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონით ***"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (20.04.05)*** დადგენილი პირობებით

**9.** დასაფინანსებლად შერჩეულმა დაწესებულებამ ფონდს უნდა წარმოუდგინოს მომწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რის შემდეგ ფონდი გააფორმებს დაწესებულებასთან ხელშეკრულებას და გადაურიცხავს თანხას ერთჯერადად.

**10**. გრანტის მიმღები დაწესებულება ფონდს წარუდგენს საბოლოო ანგარიშს სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში დაფიქსირების შემდგომ.

**11.** ფონდი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს საგრანტო ხელშეკრულება გრანტის სახსრების არამიზნობრივი განკარგვის, ყალბი მონაცემების აღმოჩენის და აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისიწნებულ სხვა შემთხვევებში.

**3. დაფინანსება**

**1.** კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი თითოეული პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 100 000 ლარს.

**2.** გრანტის ფარგლებში ფინანსდება მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული გამოცემების შეძენა და ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე.

**3.** გრანტის მაძიებელი დაწესებულება ფონდს წარუდგენს ლიტერატურის ნუსხას, რაოდენობისა და ფასის მითითებით და, აგრეთვე, მომწოდებელი ორგანიზაციისგან მიღებული წინასწარი ფასის შეთანხმების ოქმს - წინასწარ ანგარიშ-ფაქტურას. აღნიშნული დოკუმენტის უცხო ენაზე არსებობის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მისი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

**3.4.** დასაფინანსებლად შერჩეულმა ორგანიზაციამ სამეცნიერო ლიტერატურა დაწესებულებაში უნდა შემოიტანოს ფონდიდან თანხის გადარიცხვიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში; პერიოდული გამოცემების შემთხვევაში - არაუგვიანეს 1 წლის ვადაში.

**3.5.** გრანტის მიმღები დაწესებულება ფონდს წარუდგენს გრანტის სახსრების ათვისებასთან დაკავშირებულ ფინანსურ დოკუმენტაციას.

**4. კონკურსში მონაწილეობის მიღება**

**4.1.** კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ს.ს.ი.პ. აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

**4.2.** თითოეულმა დაწესებულებამ კონკურსის ფარგლებში უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

**4.3.** კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდში განაცხადი შემოაქვს დაწესებულების დირექტორს, ან მის სხვა უფლებამოსილ პირს. პროექტის დაფინანსების შემთხვევაში, გრანტის მიმღები ორგანიზაცია პასუხისმებელი და ანგარიშვალდებულია ფონდის წინაშე.

**5. კონკურზე წარსადგენი მასალები**

**1.** კონკურსში მონაწილეობისათვის ორგანიზაციამ ფონდში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

**ა) წერილი (თავფურცელი), ორგანიზაციის რეკვიზიტებითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით;**

**ბ) შევსებული განაცხადის ფორმა;**

**გ) პროექტის ბიუჯეტი;**

**დ) შესაძენი მასალების ნუსხა;**

**ე) მომწოდებელი ორგანიზაციისგან მიღებული წინასწარი ფასის შეთანხმების ოქმი - წინასწარი ანგარიშ-ფაქტურა. აღნიშნული დოკუმენტის უცხო ენაზე არსებობის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოთ მისი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.**

**5.2.** საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ-დისკზე. ამავე თავის პირველი პუნქტის ა) და ე) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

**5.3.** ფაქსით, ფოსტითა და ელექტრონული ფოსტით წარმოდგენილი მასალები კონკურზე არ მიიღება.

**5.4.** არასრული დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი კონკურსში მონაწილეობისთვის არ განიხილება.

**6. საკონკურსო მასალების წარდგენის, შეფასებისა და განხილვის ვადები**

**6.1.** საკონკურსო მასალის ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 25 ოქტომბერი, 18:00 საათი. აღნიშნული ვადის შემდგომ წარმოდგენილი პროექტები საკონკურსოდ არ განიხილება.

**6.2.** საკონკურსო მასალებს აფასებს საკონკურსო კომისია, რომელიც დასაფინანსებლად შეარჩევს პროექტებს.

**6.3.** კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდება არაუგვიანეს 2006 წლის 30 ნოემბრისა.

**კონკურსის პროგრამა და პირობები და საკონკურსო განაცხადის ფორმები განთავსებულია ფონდის ვებ-გვერდზე: www.gnsf.ge**

**დეტალური ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი**
**დ. უზნაძის ქ. N68, IV სართული**
**0102, თბილისი, საქართველო**
**ტელ: 95 74 16;**
**ფაქსი: 95 62 05**
**ელ-ფოსტა: office@gnsf.ge**
**ვებ-გვერდი: www.gnsf.ge**
**საკონტაქტო პირი: მაკა იაშვილი, ნინო დემეტრაშვილი**

---

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK Piti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხვა სახის ზეთების (ან მისი ანალოგიის) **შესყიდვაზე.**

2. მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა :

**მათ შორის:**

**I ლოტი**
- ინდუსტრიული ზეთი И-20 - 4000კგ;
- ტრანსფორმატორის ზეთი ТКП - 6500კგ;

**II ლოტი**
- ზეთი დიზელის ძრავისათვის API CC : CD SAE 10W30 - 3000კგ;
- ზეთი დიზელის ძრავისათვის API CC : CD SAE 15W40 - 3600კგ;
- დიზელის ზეთი M-14 - 10 000კგ;
- დიზელის ზეთი M-16 - 16 000კგ;

**III ლოტი**
- ჰიდრავლიკური ზეთი TELUS-68 - 400კგ;
- ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-46 - 6000კგ;
- ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-68 - 2000კგ;
- ჰიდრავლიკური ზეთი BARTRAN HV-32 - 500კგ;

**IV ლოტი**
- ძრავის ზეთი BP VANELUS C5 - 12000კგ;
- ENERGOL - QE-HT 30 -200კგ;
- ENERGOL- GR-XP 100- 100კგ;
- ENERGOL- GR-XP 220- 300კგ;
- ENERGEAL - 85W140-200კგ;
- ENERSYN - MPS32-100კგ;
- ATF DEXSROIV-III 500კგ;
- Mobil DTE 27 ENERGOL OE HT - 600კგ

**V ლოტი**
- ავტომობილის ზეთი НД-40 - 1000კგ;

**3.** საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის ოქტომბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

**5.1 იურდიული პირებისათვის;**

5.1.1.ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2.ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**5.2 ფიზიკური პირისათვის:**

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

5.2.2 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

6. ტენდერში მონაწილე იურიდიული და ფიზიკური პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენენ მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდრში მონაწილეობის მსურველ პირებმა სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) პრეტენდენტის მოთხოვნისამებრ განხორციელდება 2006 წლის 1 აგვისტოს 12.00 საათიდან 2006 წლის 22 აგვისტოს 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 23 აგვისტოს 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ გენადი კაჭაროვსკისაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს ჰიდროტექნიკური და საინჟინრო ნაგებობათა განყოფილების უფროსი ტელ: 8(99) 50-42-64.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა (დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ N21) აცხადებს ტენდერს ხელვაჩაურის რაიონში (შარაბიძეების, მაჭახლისა და სარფის თემის საკრებულოებში) წყალმომარაგების სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა იურდიულ და ფიზიკურ პირს.

ლოტი N1 წყალმომარაგების ჭაბურღილების სისტემით მოწყობა დაბა ხელვაჩაურში, სოფ. ზანაქიძეებში და სოფ. მეჯინისწყალში.

ლოტი N2 წყალმომარაგების მილების შეცვლა სოფ. სარფის ზედა უბანში და სოფ. სარფის ცენტრში.

ლოტი N3 წყალმომარაგების სისტემის შეკეთება სოფ. გემურაულში, სათავე ნაგებობის შეკეთება სოფ. ჯოჭოს მეორე ხაზზე. ჭყალმომარაგების სისტემის აღდგენა სოფ. ჭანივრში და სოფ. ქვ/ჩხუტუნეთში.

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 აგვისტოს 10 საათიდან 2006 წლის 22 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. N21. III-ე სართული, სატენდერო კომისიის აპარატი**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისათვის:**

- ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (რეგისტრაციის მოწმობის ასლი);
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საგადასახადო ინპექციიდან)
- ცნობას, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის, ლიკვიდაცია, გაკოტრების და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან)
- ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);
- ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს რაიონული სასამართლოდან).
- ცნობას საქართველოს შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ (სამუშაოების მითითებით, რომელიც შესრულებული იქნა მონაწილეობის მსურველი პირის მიერ);
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

**5.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2006 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშსზე: მიმღები- ს.ს. სახალხო ბანკის ხელვაჩაურის ფილიალი, ბანკის კოდი 220101457, ხელვაჩაურის რაიონის საფინანსო სამსახურის სპეც ანგარიში, ანგარიშის N33060001, საიდენტიფიკაციო კოდი 248385117.

6. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - მანუჩარ მანველიძე ტ. 4 10 30, 7 62 93, 8(93) 35 72 14 მისამართზე: დაბა ხელვაჩაური დ. აღმაშენებლის ქ. N21.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა (დაბა ხელვაჩაური დ. აღშენებლის ქ. N21) იწვევს სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერებს ( 10 სამშენებლო ხელშეკრულებისათვის) ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამშენებლო-სარემონტო და წყალმომარაგების სიტემების აღდგენა რეაბილიტაციის სამუშაოებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერმა უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

1. გამგეობის წარმონადგენლის სახით გამგეობასა (როგორც შემსყიდველს) და მშენებლის (როგორც მიმწოდებლს) შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა და სამუშაოთა წარმოების პროცესზე ზედამხედველობისა და მართვის განხორციელება.

2. მშენებლობის პროცესში მონაწილე მხარეებს შორის საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და შესაბამისი დოკუმენტაციის (ოქმის) მომზადება.

3. მშენებელთან საპროექტო განხილვა და წარმოებაში დაშვება.

4. სამუშაოთა წარმოებაზე ზედამხედველობის პროცესში განსაკუთრებული კონტროლის დაწესება სამუშაოთა წარმოების შესაბამისობაზე მოქმედ ნორმებთან, სტანდარტებთან და ცალკეულ სახეობებში-ტექნიკურ პირობებთან.

5. საზედამხედველო ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების ჟურნალების დანერგვა მათში ყოველდღიური ჩანაწერების საწარმოებლად, შესასრულებელ სამუშაოებზე კონტროლის განსახორციელებლად და ფარულ სამუშაოთა აქტების შესადგენად.

6. სამშენებლო სამუშაოთა შეთანხმებული გრაფიკის კონტროლის წარმოება, გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში გამგეობის წერილობითი ინფორმირება.

7. წარმოებაში ჩადებულ სამშენებლო მასალებზე და სამონტაჟო ნაკეთობებზესისტემატიური კონტროლის დაწესება (არ დაუშვას წარმოებაში საპროექტო სპეციფიკაციებისაგან განსხვავებული ან არასერთიფიცირებული მასალების გამოყენება).

8. დადგენილი ფორმით სამუშაოთა შუალედური მიღების წარმოება და დოკუმენტირება.

9. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმოების აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ გამგეობის ნებართვის მიღება.

10. სამუშაოთა მსვლელობაში შექმნილ პრობლემებზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება. სხვა შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ გამგეობის ნებართვის მიღება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ინჟინრის (სასურველია მშენებელ-ინჟინრის) - დიპლომი;
- მინიმუმ 2 წლის გამოცდილება;
- გამოცდილება სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის დარგში;

ხელშეკრულებები გაფორმდება 10 საუკეთესო კანდიდატთან. სამუშაოთა ხანგძლივობა 2006 წლის 31 დეკემბრამდე. სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2006 წლის 10 აგვისტოდან.

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. განაცხადის წერილს თან უნდა დაერთოს:

1. დიპლომის ასლი;
2. კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა;
3. მსგავსი განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალი;
4. სასურველია სარეკომენდაციო წერილი.

განაცხადი უნდა წარმოადგინოთ 2006 წლის 7 აგვისტოს 17 საათამდე. კონკურსის ჩატარების დღე 8 აგვისტო 15 საათი. შემდეგ მისამართზე:

დაბა ხელვაჩაური, დ. აღმაშენებლის ქ. N21. (ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა, ხელვაჩაურის რაიონის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური)

საკონტაქტო პირი: ნუგზარ ძნელაძე. ტ. 8(99) 17 02 31.

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

| 8.5 | ზარალში ჩამოწერილი სხვა აქტივები | 2,539,228 | 329,722 | 2,868,950 | 2,575,607 | 166,901 | 2,742,508 |
| 9 | სხვა ფასეულობა და დოკუმენტები | 1,408,064 | 0 | 1,408,064 | 871,171 | 0 | 871,171 |
| 9.1 | გაურკვეველი ფულადი ამანათები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9.2 | მცირეფასიანი ინვენტარი | 1,236,194 | 0 | 1,236,194 | 865,091 | 0 | 865,091 |
| 9.3 | მკაცრი აღრიცხვის ბლანკები | 171,870 | 0 | 171,870 | 6,080 | 0 | 6,080 |
| 9.4 | [illegible] | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 10 | სულ | 498,155,416 | 1,018,728,811 | 1,516,884,227 | 374,960,171 | 475,900,773 | 850,860,944 |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 6/30/06

ცხრილი N4

ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | საანგარიშო პერიოდი | წინა წლის შესაბამისი პერიოდი |
|---|---|---|---|
| | კაპიტალი | | |
| 1 | პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი • 8% | 8.86% | 9.46% |
| 2 | საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი • 12% | 9.13% | 10.07% |
| 3 | რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები / მთლიან აქტივებთან | 137% | 131% |
| 4 | ფულადი დივიდენდები / წმინდა მოგებასთან | 0 | 0 |
| | მოგება | | |
| 5 | მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 11.43% | 12.90% |
| 6 | მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან | 4.02% | 3.49% |
| 7 | საოპერაციო მოგება / საშუალო წლიურ აქტივებთან | 3.32% | 3.12% |
| 8 | წმინდა საპროცენტო მარჟა | 7.41% | 9.41% |
| 9 | უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA) | 2.72% | 3.25% |
| 10 | უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE) | 16.68% | 18.89% |
| | აქტივების ხარისხი | | |
| 11 | უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან | 7.89% | 10.88% |
| 12 | სშდრ / მთლიან სესხებთან | 8.41% | 9.64% |
| 13 | უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან | 70.09% | 80.16% |
| 14 | უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან | 53.78% | 57.43% |
| 15 | მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი | 58.02% | 42.00% |
| | ლიკვიდობა | | |
| 16 | ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან | 20.27% | 23.83% |
| 17 | უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან | 68.03% | 74.90% |
| 18 | მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან | 37.64% | 40.43% |

ბანკი: საქართველოს ბანკი
თარიღი: 6/30/06

ინფორმაცია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და აქციონერთა შესახებ

ცხრილი N5

| | |
|---|---|
| | სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა |
| 1 | ვლადიმერ გურგენიძე |
| 2 | [illegible] |
| 3 | [illegible] |
| 4 | იან ჰეგი |
| 5 | [illegible] |
| 6 | [illegible] |
| | |
| | |
| | დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა |
| 1 | ირაკლი გილაური |
| 2 | [illegible] |
| 3 | [illegible] |

| საწესდებო კაპიტალის 1% და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი წილების მითითებით | |
|---|---|
| ბანკი "Austria Creditanstalt" | 22.89% |
| ფონდი "Firebird Avrora" | 8.73% |
| ფონდი "Firebird Republics | 8.73% |
| [illegible] | 8.37% |
| East Capital Holding | 5.45% |
| ფონდი "East Capital Bering Russia" | 4.96% |
| Koncentra Limited | 4.31% |
| ფონდი "Firebird Global Master | 4.11% |
| East Capital Financial Institutions | 2.69% |
| Bryum Limited | 2.40% |
| გურგენიძე ვლადიმერი | 2.38% |
| SEB Vilniaus Bankas | 2.04% |
| [illegible] | 1.66% |
| [illegible] | 1.53% |
| [illegible] | 1.05% |
| [illegible] | 1.00% |

## რუსეთში ნავთობის ექსპორტის მოსაკრებელი იზრდება

რუსეთის ფედერაციის ფინანსთა სამინისტროს საბაჟო გადასახადების განყოფილების უფროსის მოადგილის ალექსანდრ საკოვიჩის განცხადებით, ნავთობის ექსპორტის მოსაკრებელი 2006 წლის პირველი აგვისტოდან 16,6 დოლარით გაიზრდება და რეკორდულ მაჩვენებელს - ტონაზე 216,4 დოლარს - მიაღწევს.

ამჟამად ნავთობის ექსპორტის მოსაკრებელი, რომელიც პირველი ივნისიდან მოქმედებს, ტონაზე 199,8 დოლარს შეადგენს. მოსაკრებელი თვეში ორჯერ მსოფლიო ბაზრებზე რუსული ურალს-ის მარკის ნავთობის ფასის მონიტორინგის მიხედვით დგინდება.

საკოვიჩის განცხადებით, ურალს-ის მარკის ნავთობის საშუალო ფასმა 2006 წლის მაის-ივნისში მონიტორინგის პერიოდში ბარელზე 64,46 დოლარი შეადგინა. აქედან გამომდინარე, მოსაკრებლის ზღვრული ნიშნული მოცემულ ფასის პირობებში ტონაზე 216,44 დოლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აზერბაიჯანის ნავთობკომპანიამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით საკუთარი ნავთობის ექსპორტირების საკითხი განიხილა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ საკუთარი ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ექსპორტირების შესაძლებლობის საკითხი განიხილა. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიის წარმომადგენელმა განუცხადა.

ამ ეტაპზე, აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია საკუთარ პროდუქციას აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციების კომპანიის (ამ   კ) მეშვეობით თურქეთიდან - ჯეიჰანის პორტიდან, საქართველოდან - ბათუმისა და სუფსას პორტებიდან და ნოვოროსიისკიდან ყიდის. საკუთარი საბადოდან სახნავთობკომპანია ნავთობს ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენით ქაჩავს.

მისი თქმით, აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიამ ამ   კ-ს შესთავაზა, რომ თუ კონსორციუმი დაინტერესდება და მხარს დაუჭერს "აღმოსავლეთ" მარშრუტის ქმედითუნარიანობას, აღნიშნული მილსადენით "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის" საბადოდან მსუბუქი ნავთობის ექსპორტირება განხორციელდება, რათა მარშრუტის ალტერნატივას მხარი დაუჭირონ ამ   კ-ის წევრებმა და არა აზერბაიჯანის სახნავთობკომპანიამ. **"ამ შემთხვევაში ამ კ-ი ბაქო-ნოვოროსიისკის მარშრუტით იმ მოცულობის ნავთობს გადაქაჩავს, რომელიც მისი ოპტიმალური მუშაობისთვისაა აუცილებელი. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია კი ბაქო-ჯეიჰანის საშუალებით ექსპორტირებისთვის მზადაა,"** - განაცხადეს სახნავთობკომპანიაში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## Bank of New York-ი მაფიას გაუწორდა

ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საბანკო სკანდალი - "რუსული მაფიის" მიერ Bank of New York-ის დახმარებით განხორციელებული ფულის გათეთრება, დასასრულს უახლოვდება.

ლენინგრადელმა ლუსი ედვარდსი, სინამდვილეში ლუდმილა პრიცკერმა და მისმა მეუღლემ პიტერ ბერლინმა ფულის გათეთრების მიზნით გაჩაღებულ შეთქმულებაში მონაწილეობა აღიარეს. ლუსი ედვარდსი bank of New York-ის ჩრდილოევროპული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი იყო. მისი წყალობითაც 7 მილიარდი დოლარის ოდენობის "ჭუჭყიანი" ფული დატრიალდა.

ლუსი ედვარდმა და მისმა მეუღლემ ორი რუსული ბანკის მიერ ამაერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ არალეგალურ ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობაც აღიარეს.

ედვარდს -ბერლინის საოჯახო წყვილის შეთქმულებას ზალიან რბილი სასჯელი მოჰყვა. ნახევარ წლიანი პატიმრობა და 7 ათას დოლარიანი ჯარიმა.

თვითონ ბანკი ფედერალურ გამოძიებას ჩატარებული კვლევების საფასურისთვის კომპენსაციის სახით 38 მილიონ დოლარს გადაიხდის. აქედან 26 მილიონი სახელმწიფოს და 12 მილიონი დოლარი სხვა ბანკებს გადაერიცხებათ.

# ნავთობის ჩე გევარები



ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური ვითარება ნავთობის ფასზე მოქმედებს.

პირველი გვერდიდან

### ლიბანიდან "ჩელსიმდე"

მოყოლებული იქიდან, ნავთობი თითქმის ექვსჯერ გაძვირდა. რამ გამოიწვია ასეთი ზრდა? ცხადია, რომ საწვავის მოხმარება მსოფლიოში ექვსჯერ არ გაზრდილა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მზარდი ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტ ენერგორესურსს მოიხმარს. ზრდის მიზეზები უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა და მის უკან ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური ვითარება (რომელსაც ერაყში ომით ჩაეყარა საფუძველი) და, აქედან გამომდინარე, ბირჟებზე არსებული პანიკა დგას. რაც უფრო გაღრმავდება ეს არასტაბილურობა, მით უფრო გაღრმავდება პანიკა. პანიკის ფონზე საკმარისი იქნება ერთი ნაპერწკალი - მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების ისეთი განვითარება, რომ ისინი, რაღაც სახით, რომელიმე ნავთობმომპოვებელ ქვეყანას შეეხონ, ანდა ქარიშხალი სპარსეთის ან მექსიკის ყურეში, რომელიც ნავთობმოპოვებას დროებით დაამუხრუჭებს - რომ ბარელ ნავთობზე ფასი დაახლოებით 50 დოლარით გაიზრდება.

მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ქვეყნები, ასე თუ ისე, იოლად იტანენ დღეს გამეფებულ ფასებს. იაპონია, რომელიც ენერგორესურსების მოხმარების მხრივ მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული, ეკონომიკური რეცესიიდან გამოვიდა. გასულ დღეებში იაპონიაში ფასების ზრდაც დაფიქსირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლების განმავლობაში მიმდინარე დეფლაცია წარსულს ბარდება. ჩინეთი, მიუხედავად იმისა, რომ ასევე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ენერგორესურსების იმპორტზე და რომელსაც ეკონომიკურ ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო მეტი ნავთობი ესაჭიროება, გაძვირებას, პრაქტიკულად, ვერ გრძნობს. ქვეყანაში ეკონომიკა 10-11%-იანი ტემპით იზრდება და მთავრობა ზრდის დასამუხრუჭებლად ათასგვარ ზომას მიმართავს. ბოლო ასეთი ზომა ექსპორტზე შეღავათების შემცირებას გულისხმობს. იქამდე კი ზომები მოიცავდა კომერციული ბანკებისათვის გაზრდილი სარეზერვო ნორმის დაწესებას (რამაც უნდა შეამციროს გაცემული კრედიტების მოცულობა) და უცხოური კომპანიებისა და ინდივიდებისათვის უძრავი ქონების შესყიდვაზე შეზღუდვების შემოღება (რამაც უცხოური ინვესტიციების მოცულობა უნდა შეზღუდოს).

რაც შეეხება მსოფლიოს უდიდეს ეკონომიკას - აშშ-ს, მასზე ნავთობის გაძვირება სავაჭრო დეფიციტის ზრდით აისახება, რადგან ეს ქვეყანაც მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული იმპორტზე. თუმცა, ამის მიუხედავად, ამერიკის ეკონომიკა მაინც კარგი ტემპით იზრდება.

გაძვირებული ნავთობის წყალობით დაგროვილი დოლარების უდიდესი ნაწილი კი რუსეთში, ე.წ. სტაბილიზაციის ფონდში ინახება და, ჯერჯერობით, გამოყენებას ვერ ჰპოვებს. მიუხედავად პრეზიდენტ პუტინის არაერთი განცხადებისა, რომ რუსეთის ეკონომიკა გაზსა და ნავთობს უნდა გასცდეს და უნდა იქცეს "ცოდნასა და მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებულ ეკონომიკად," ჯერჯერობით საამისო ნიშნები არანაირად არ ჩანს და ვერც გამოჩნდება ცენტრალიზებული მმართველობის, კაპიტალის დაუცველობისა და საყოველთაო კორუფციის პირობებში. ნავთობიდან და გაზიდან მიღებული მილიარდები, ჯერჯერობით, ყველაზე დიდი წარმატებით საფეხბურთო კლუბ "ჩელსიში" იქნა დაბანდებული და ლონდონელი ფანების გულს უფრო ახარებს, ვიდრე რუსი ეკონომისტებისა.

თუკი ნავთობი ერთბაშად გაძვირდება, წამყვანი ეკონომიკური ქვეყნებისათვის ეს შოკი იქნება, მაგრამ არა ისეთი შოკი, საიდანაც ისინი ვერ გამოვლენ. "ჩელსი" კი ისევ იბრძოლებს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისათვის; ეს არის მაქსიმუმი, რასაც შეიძლება, რუსულმა ნავთობკაპიტალმა მიაღწიოს.

### უგოს გეოპოლიტიკა

დღეს გეოპოლიტიკა, როგორც ასეთი, დასავლურ სასწავლებლებში, ერთობ ნიველირებული დისციპლინაა. თავის დროზე იგი მეტად პოპულარული გახლდათ ფაშისტურ გერმანიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით კარლ ჰაუსჰოფერი გამოირჩეოდა, რომელმაც ბერლინ-მოსკოვ-ტოკიოს ღერძის კონცეფცია შექმნა. ჰაუსჰოფერის აზრით, ამ სამი ძალის გაერთიანება საკმარისი გახდებოდა ანგლო-საქსური (აშშ-ბრიტანეთის) ჰეგემონიის დასამხობად. მაგრამ, როგორც ცნობილია, ღერძი არ შედგა - ბერლინი მოსკოვთან ომში ჩაება. მოგვიანებით კი ბერლინიცა და ტოკიოც "ანგლო-საქსურ ბანაკში" აღმოჩნდნენ.

ვენესუელას პრეზიდენტი უგო ჩავესი, ჰაუსჰოფერისგან განსხვავებით, სწავლულობით ვერ დაიკვეხნის. იგი სამხედროა. მაგრამ გერმანელი გეოპოლიტიკოსის დარად მასაც გააჩნია ანგლო-საქსური ჰეგემონიის დამხობის კონცეფცია. ეს კონცეფცია ახალი ღერძის შექმნაში მდგომარეობს, ღერძი ასე გამოიყურება: კარაკასი-ჰავანა-მინსკი-მოსკოვი-თეირანი.

კარაკასი-ჰავანა რომ უკვე შემდგარი ღერძია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ჩავესი ის მოვლენაა, რომელმაც ფიდელ კასტროს რეჟიმს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. 90-იანი წლების დასაწყისი და საბჭოთა კავშირის დაშლა არნახულ შოკად იქცა კუბის ხელისუფლებისათვის, რომელმაც თავის დროზე კრემლისგან 100 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო. წითელ დოლარებს მიჩვეული კასტროს რეჟიმი სრული კრახის წინაშე აღმოჩნდა და "თავისუფლების კუნძულის" დიქტატორი იძულებული გახდა მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. კერძოდ, დაშვებულ იქნა ფულადი გადმორიცხვები კუბელი ემიგრანტებისაგან, დაშვებულ იქნა დოლარის თავისუფალი მოძრაობა და ე.წ. ერთობლივი ინვესტიციები. მოკლედ, თავისი ხელისუფლების გადასარჩენად კასტრო უარს ამბობდა კომუნისტურ დოგმებსა და ორთოდოქსულ ანტიამერიკანიზმზე. რეჟიმმაც ცოტათი ამოისუნთქა, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს მას მოულოდნელად მოკავშირეც მოევლინა ჩავესის სახით. ვენესუელამ კუბასთან საქმიანი ურთიერთობები დაამყარა: "თავისუფლების კუნძული" იღებდა ნავთობს, სამშენებლო მასალასა და საკვებს, თავად კი გასცემდა სამედიცინო მომსახურებას (რაც კასტროს რეჟიმის ხელში ერთობ მაღალ დონეზეა) - კუბელი ექიმები ვენესუელას ღარიბ უბნებში მუშაობდნენ და პოპულისტი ჩავესის რეიტინგსაც მაღლა სწევდნენ. ეს დაახლოება შემთხვევითი არ ყოფილა: ჩავესი ოდითგანვე ექსტრემისტული იდეოლოგიების მომხრე გახლდათ და აღტაცებული იყო ისეთი ლიდერებით, როგორებიც იყვნენ კასტრო თუ ლიბიის პრეზიდენტი კადაფი. გარდა ამისა, კუბა, როგორც ამერიკისადმი დაუმორჩილებლობის სიმბოლო, ჩავესს თავის უპირველეს მოკავშირედ ესახებოდა ვაშინგტონთან ბრძოლაში, რომელთანაც ვენესუელის ლიდერი მაშინ ასე აშკარად არ იყო დაკავშირებული, მაგრამ რომელსაც იგი მაინც თავის დაუძინებელ მტრად მიიჩნევდა.

2002 წლის აპრილში ჩავესის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა განხორციელდა. წარუმატებლობაში დიდი როლი კასტრომაც ითამაშა, რომელმაც არნახული ძალისხმევის ფასად ტყვედ ჩავარდნილი ჩავესი ხელისუფლებაში დააბრუნა. ამ მოვლენამ ჩავესი მიახვედრა, რომ მას კუბელებისგან სამედიცინო მომსახურებაზე გაცილებით მეტის მიღება შეეძლო. მას შეეძლო მიეღო სპეცსამსახურების დახმარება, მიეღო რჩევები საკუთარი ძლიერი სპეცსამსახურებისა და მძლავრი პროპაგანდისტული მანქანის შექმნისათვის, რაც მის შერყეულ ძალაუფლებას გაამყარებდა. კუბელებმა თავის დროზე ბევრი ისწავლეს საბჭოური სპეცსამსახურებისგან და ამ ცოდნას, როგორც იქნა, მუშტარი გამოუჩნდა. მოყოლებული აქედან, ჩავესმა ღია ბრძოლა გამოუცხადა აშშ-ს და საკუთარი თავის სახით ლათინურ ამერიკას ახალი ჩე გევარა შესთავაზა. მან და კასტრომ კვლავ აალორძინეს რეგიონში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეა, რომელსაც "რუსების ღალატის" შემდეგ, თითქოსდა, მომავალი აღარ ეწერა. მარქსისტულ-ანტიდასავლურმა ფრონტმა მალე პირველი გამარჯვებაც იზეიმა, როცა ბოლივიის ხელისუფლებაში მორალესი მოვიდა. თუმცა, ამ ეტაპზე ფრონტი მხოლოდ ამას დასჯერდა, რადგან მიმდინარე წლის ზაფხულში პერუსა და მექსიკაში არჩევნებზე მემარჯვენეებმა გაიმარჯვეს. ჩავესი და მორალესი უკვე შეუდგნენ ენერგოსექტორის ნაციონალიზაციასა და უცხოური კომპანიების გაძევებას. კასტრო კი, ცივი ომიდან მოყოლებული, დღემდე რჩება "თავისუფლების კუნძულის" ლიდერად და ხინჯად მონროს დოქტრინაში.

გასულ კვირას ჩავესმა თავისი ღერძის სახელმწიფოების მონახულება გადაწყვიტა. კუბა, ბელორუსი, რუსეთი, ირანი... ამ ქვეყნების ლიდერებთან კაუდილიო თავს მშვენივრად გრძნობს. კასტროსთან ურთიერთობაზე უკვე ვისაუბრეთ, ლუკაშენკო ჩავესმა "რევოლუციის ძირშივე მოხრჩობისათვის" აქო-ადიდა. სხვა განსაკუთრებული არაფერი; ბელორუსს არაფერი გააჩნია ისეთი, რითაც შეიძლება ნავთობის ჩე გევარა დაინტერესდეს. უბრალოდ, მან დასავლეთს ჯიბრზე ლუკაშენკოს აგრძნობინა, რომ მარტო არ არის და რომ ბელორუს დიქტატორს თავისი მეგობრების ჩამოსათვლელად უკვე არა ერთი თითი (პუტინი), არამედ ორი თითი ესაჭიროება.

აი, მოსკოვს კი შეუძლია, კაუდილიოს ბევრი რამ შესთავაზოს. აქ ჩავესმა დიდძალი შეიარაღება შეისყიდა (მათ შორის, გამანადგურებელი თვითმფრინავები და კალაშნიკოვების დიდძალი პარტია) და ვენესუელის ენერგოსექტორში "გაზპრომის" დაშვებაზეც ისაუბრა. კაუდილიოს სურს, "გაზპრომმა" მილსადენი ააგოს, რომლის მეშვეობითაც ვენესუელას გაზს, პრაქტიკულად, მთელი ლათინური ამერიკა მიიღებს. ამ პროექტით ჩავესი კიდევ უფრო სერიოზულ ბზარს გააჩენს მონროს დოქტრინაში, თუმცა რუსულ კომპანიას, ალბათ, დაფიქრება მართებს, სანამ ასეთ რისკიან ინვესტიციას განახორციელებს - ვენესუელან უკვე არაერთი დასავლური კომპანია გააძევა თავისი ენერგოსექტორიდან და რატომ უნდა იყოს გამორიცხული იგივე ნაბიჯები რუსული კომპანიების მისამართითაც. არავინ იცის, ვენესუელაში რა მოხდება.

დღეს კი გაძვირებულმა ნავთობმა ჩვენი ეპოქის ჩე გევარები შვა - ღარიბი ხალხის ლიდერი, რომელიც სიღარიბის მიზეზად ისევ მდიდარ დასავლეთსა და გარე მტრებს ასახელებს. საკუთარი პრობლემებისადმი ასეთი მიდგომა კი ჩავესის არც ერთი ზემოთჩამოთვლილი მეგობრისთვის არ არის უცხო. არც ირანისათვის, რომელთან ურთიერთობაც ენერგოსფეროს ფარგლებს მნიშვნელოვნად გასცდა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობასაც მოიცავს. ვენესუელა, ცხადია, მხარს უჭერს ირანის ბირთვულ პროგრამას და ირანელ სპეციალისტებს ვენესუელის ურანის წყაროებთანაც უშვებს. მაგრამ რას მოიტანს ახლანდელი ვიზიტი თეირანში? ოფიციალური განცხადებებისას ჩავესმა აქცენტი ისევ ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობაზე გააკეთა და ირანული კომპანიები ვენესუელაში მიიწვია. მაგრამ რაზე მოილაპარაკეს მან და აჰმადინეჯადმა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის თაობაზე? იქნებ კაუდილიოსაც სურს ბირთვულ იარაღზე მუშაობის დაწყება და თავის ირანელ კოლეგებს ამ მხრივ დახმარება სთხოვოს? გამორიცხული არაფერია, თუმცა ასეთ შემთხვევაში ვაშინგტონს, რომელიც აქამდე მშვიდად უყურებს ჩავესის გამოხდომებს, უკვე ნამდვილად ამოეწურება მოთმინების ფიალა და ჩავესის ჩე გევარიზმიც ძალიან მალე დასრულდება. საეჭვოა, რომ ასეთ შემთხვევაში მას ან კასტროს სპეცსამსახურებმა ან კალაშნიკოვებმა უშველოს.

### "იმპერიალისტური ბრენდები"

სანამ ჩავესი თავის ღერძს აგებს, "იმპერიალისტური" საქმიანი სამყარო ცდილობს გაარკვიოს, რომელი ბრენდები სარგებლობს მსოფლიოში ყველაზე მეტი პოპულარობით. ცხადია, მოწინავე ბრენდებში არ ფიგურირებს არც ვენესუელური, არც ირანული და რუსული ბრენდიც კი, ყველაზე მეტი პოპულარული ბრენდი ამერიკაზე მოდის, ასევე ამერიკულია №1 ბრენდიც - "კოკა-კოლა," რომელიც ზედიზედ, მეხუთე წელია, ლიდერობს.

ბრენდების პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

კოკა-კოლა (აშშ)
მაიკროსოფტი (აშშ)
აიბიემი (აშშ)
ჯენერალ ელექტრიკი (აშშ)
ინტელი (აშშ)
ნოკია (ფინეთი)
ტოიოტა (იაპონია)
დისნეი (აშშ)
მაკდონალდსი (აშშ)
მერსედესი (გერმანია)

ათეულს გარეთ დარჩენილებიდან აღსანიშნავია "გუგლის" (აშშ) წარმატება, რომელიც 24-ე ადგილზე იმყოფება. მე-20 ადგილზე აინაცვლა კორეულმა "სამსუნგმა," ხოლო მისი "თანამემამულე" "ელჯი" 94-ე ადგილზეა.

## ზრდა აშშ-ს ბირჟაზე










პარასკევს ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის კლებამ და დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა. კერძოდ, ზრდის ლიდერები გახდნენ Citigroup Inc-ი, Wells Fargo & Co და Bank of America.

ამასთან, როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, ამერიკის ეკონომიკის ზრდის ბოლოდროინდელი შეფერხება ფედერალურ სარეზერვო ფონდს ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემდგომ გაზრდაზე უარს ათქმევინებს. ამ ინფორმაციამ საბირჟო მოედნებზე გვარიანი გამოცოცხლება გამოიწვია. საუბარია მიმდინარე წლის მეორე კვარტალში აშშ-ს შიდა პროდუქტის მოცულობის 2,5-პროცენტიან

ზრდაზე, რაც ექსპერტთა მიერ ადრე ნავარაუდევ 3 პროცენტზე ნაკლებია. საერთოდ, მეორე კვარტალში ამერიკის ეკონომიკის ზრდამ 5,6 პროცენტი შეადგინა, ექსპერტები კი 7 პროცენტს ვარაუდობდნენ.

საბოლოოდ, Dow Jones Index 1,07 პროცენტით, 11.219,7 პუნქტამდე გაიზარდა. 1,93 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.094,14 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 1,22 პროცენტით, 1.278,55 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიკლო

გასული კვირის ბოლოს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,39 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 73,24 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი წინა დღეების განმავლობაში ნავთობის გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია გახლდათ. ამასთან, გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის უახლოეს მომავალში მოგვარების იმედმა და, მიუხედავად, აშშ-ში ბენზინის მზარდი მოთხოვნილებისა, მისი ფასის კლებამ.

## ძვირფასი ლითონები გაძვირდა

გასული კვირის ბოლოს ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 1,7 პროცენტით 632 დოლარამდე გაძვირდა, რაც კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ვერცხლის ფასმა 2,8 პროცენტით, 11,39 დოლარი/უნციამდე მოიმატა, პლატინა 0,6 პროცენტით, 1242 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 1,1 პროცენტით, 320 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

მიუხედავად ნავთობის ფასის კლებისა, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირება მსოფლიოში კვლავ არსებულმა მძიმე გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და წამყვან ვალუტებთან მიმართებაში დოლარის კურსის ვარდნამ განაპირობა, რისი მიზეზიც აშშ-ს ეკონომიკის ზრდის ტემპის შენელების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახლდათ. გარდა ამისა, დამატებითი გავლენა ფერად ლითონებზე ფასის ზრდამ მოახდინა.

## Fiat 500-მა ყველაზე სექსუალური ავტომობილის ტიტული მოიპოვა

პლანეტის ყველაზე სექსუალური ავტომობილების რეიტინგში, სექსუალური ავტომობილის სტატუსი გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოშვებულმა მცირელიტრაჟიანმა Fiat 500-მა მოიპოვა. გამიკითხვა Top Gearმა ცაატარა და რეიტინგის შედგენაში მონაწილეობა მისმა მკითხველებმა მიიღეს. რესპოდენტების აზრით, აღნიშნული ავტომობილის საჭესთან, ნებისმიერ მძღოლი, ქალი იქნება ის თუ მამაკაცი განსაკუთრებული სექსუალურობით გამოირჩევა.

რეიტინგში მეორე ადგილზე ჯეიმს ბონდის კლასიკური ავტომობილი Aston Martin DBS-ი გადის. შეგახსენებთ, რომ მისი მეორე თაობა "სუპერ-აგენტის" სახელით ეკრანებზე გამოსასვლელად უკვე ემზადება.

Top Gear-ის პლანეტის სექსუალური ავტომობილების რიცხვში ისეთი საავტომობილო მარკებიც მოხვდნენ, როგორიცაა Maserati, Chevrolet camaro, Citroen C6, Lincoln Continental, Bemtley Continental S1 Fastback, BMW M1 და Rolls-Royce Phantom. რეიტინგის პირველ ათეულში მულტიპლიკაციური პერსონაჟი, Porsche 911- მოხვდა. მას მსახიობი ბონი ჰანტი ახმოვანებდა.



## "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია" "თეცის" მფლობელი გახდა

"თბოელექტროცენტრალის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 8,4%-ის მფლობელი "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია" გახდა.

"თეცის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 8,4% აუქციონის წესით "საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიამ" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გამართული აუქციონზე 1 020 000 აშშ დოლარად შეიძინა. "თეცის" საწესდებო კაპიტალი 1 595 244 აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "თეცის" პრივატიზაციის მიზნით აუქციონი 25 ივნისს გამოაცხადა. **ინტერპრესნიუსი**

## "სელფორდ საქართველო"-სა და "მეტრომედია ჯგუფის" აქტივები ერთიანდება

"სელფორდ საქართველოს" და "მეტრომედია ჯგუფის" სატელეკომუნიკაციო აქტივები საქართველოში ერთიანდება. ახალი კომპანია "ტელენეტის", "იბერიატელის" და "საქართველოს ტელეკომის" აქტივებს გააერთიანებს. სატელეკომუნიკაციო სექტორში "ტელენეტი" მონაცემთა მომსახურების ლიდერს წარმოადგენს. "იბერიატელი" მოიცავს 450 მჰც სიხშირეზე სატელეფონო მომსახურების ლიცენზიას და ამ სიხშირეზე მესამე თაობის უკაბელო ქსელის ინფრასტრუქტურას CDMA 450 სტანდარტში; "საქართველოს ტელეკომი" კი საქართველოში უმსხვილესი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო ოპერატორია. გაერთიანებული კომპანია გეგმავს სათანადო ინვესტიციების განხორციელებას და ძლიერ მოთამაშედ დამკვიდრებას ფიქსირებული (ტრადიციული) სატელეფონო და მონაცემთა მომსახურების სფეროში. შერწყმის შედეგად ახალი კომპანიის აქციების 49%-ს "ტელენეტის" აქციონერები მიიღებენ, ხოლო 51%-ს - "მეტრომედია" და მისი პარტნიორები. **ინტერპრესნიუსი**

## ქართული ღვინო ამერიკულ ბაზარზე გავა

ღვინისა და ვაზის დეპარტამენტ "სამტრესტის" ინიციატივით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინო გაიგზავნება. ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ახალი ბაზრების მოძიების მიზნით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული ღვინის გაგზავნა დაიგეგმა. სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე ქართული ღვინის მწარმოებელმა ათმა კომპანიამ მათ მიერ წარმოებული სხვადასხვა სახეობის 1 500 ბოთლი ღვინო შესთავაზა ადგილობრივ სადისტრიბუციო კომპანიებს, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებში ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მოხდეს ქართული ღვინის შეფასება და შემდგომში მისი რეალიზაცია. ღვინისა და ვაზის დეპარტამენტის ამ ინიციატივაში ჩართულები არიან თბილისის ბიზნესსერვისცენტრი და Hima Beverage Brokerage (HBB). Hima Beverage Brokerage 4-6 კვირის განმავლობაში გეგმავს გაცნობითი ხასიათის შეხვედრების ჩატარებას ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 20-ზე მეტ დისტრიბუტორთან, რაც ხელს შეუწყობს, განისაზღვროს ქართული ღვინის შესაფერისობა ამერიკულ ბაზართან. **ინტერპრესნიუსი**

## სასურსათო საქონელზე ფასები შემცირდა, არასასურსათო საქონელზე კი გაიზარდა

გასულ კვირასთან შედარებით, სასურსათო საქონელზე ფასები შემცირდა, არასასურსათო საქონელზე კი გაიზარდა. გასულ კვირასთან შედარებით სასურსათო საქონელზე ფასები 0,43 პროცენტით შემცირდა, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები 0,04 პროცენტით გაიზარდა. მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ კვირასთან შედარებით, ფასები შემცირდა კიტრზე 14,5 პროცენტით, ხახვზე - 9,1 პროცენტით, კარტოფილზე - 4,4 პროცენტით, ჭარხალზე - 4,3 პროცენტით, ქათმის ბარკლებზე - 1,0 პროცენტით, სტაფილოზე - 0,9 პროცენტით და ყველზე - 0,7 პროცენტით; ამასთან, ფასები გაიზარდა ფოთლოვან კომბოსტოზე - 17,6 პროცენტით და ვაშლზე - 1,6 პროცენტით. წინა კვირასთან შედარებით ფასი გაიზარდა ბენზინ რეგულარზე - 0,7 პროცენტით, ხოლო ფასი შემცირდა დიზელის საწვავზე - 2 პროცენტით. **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 31/07 | 1/08 | 2/08 |
|---|---|---|---|
| კიევი | 26 | 27 | 27 |
| რიგა | 27 | 26 | 25 |
| ვილნიუსი | 25 | 24 | 25 |
| მოსკოვი | 21 | 22 | 22 |
| მინსკი | 27 | 25 | 27 |
| პარიზი | 24 | 23 | 23 |
| რომი | 35 | 33 | 33 |
| ლონდონი | 26 | 21 | 21 |
| მადრიდი | 33 | 33 | 33 |
| ბონი | 26 | 22 | 23 |
| ვარშავა | 34 | 28 | 25 |
| ათენა | 35 | 35 | 37 |
| ბერნი | 23 | 28 | 26 |
| ამსტერდამი | 21 | 18 | 18 |
| ოსლო | 22 | 22 | 21 |
| ანკარა | 35 | 33 | 35 |
| ვარნა | 36 | 35 | 37 |
| დელი | 51 | 48 | 44 |
| ტოკიო | 30 | 27 | 31 |
| კოპენჰაგენი | 22 | 21 | 20 |
| ბაქო | 31 | 31 | 32 |
| ერევანი | 35 | 37 | 37 |
| ასტანა | 21 | 21 | 23 |
| ჰელსინკი | 21 | 20 | 20 |
| დუბლინი | 22 | 17 | 17 |
| ლისაბონი | 31 | 26 | 27 |
| პრაღა | 30 | 24 | 23 |
| სოფია | 25 | 30 | 33 |
| ბუდაპეშტი | 36 | 36 | 28 |
| ბუხარესტი | 37 | 39 | 42 |

# აჭარაში დასასვენებლად ფრანგები და გერმანელებიც ჩავიდნენ



წელს აჭარის ზღვისპირა კურორტებზე, სომხების გარდა, თურქები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები და, მცირე რაოდენობით, ფრანგებიც იმყოფებიან, - უთხრა "მედიანიუსს" აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა თემურ დიასამიძემ. მისივე ინფორმაციით, აჭარას იანვრიდან დღემდე მარტო თურქეთიდან 4000-ზე მეტი ტურისტი ეწვია. ასევე დიდი რაოდენობით არიან ტურისტები რუსეთიდან და უკრაინიდან. უცხოელი ტურისტებისთვის აჭარის ზღვისპირა ქალაქებში გახსნილია საინფორმაციო მომსახურების ცენტრები. ასეთი სულ ექვსი საინფორმაციო ცენტრი მუშაობს: სარფის საზღვარზე, ჩოლოქში, მახინჯაურში, ორი - ბათუმში და ერთიც - ქობულეთში. საინფორმაციო ცენტრებში უცხოელ ტურისტებს შეუძლიათ, სხვადასხვა ინფორმაცია მიიღონ. მაგალითად, ინფორმაცია გასაქირავებელი ფართების შესახებ, სასტუმროების, რესტორნების, სხვადასხვა დაწესებულების ადგილმდებარეობის შესახებ და ა.შ. **მედიანიუსი**

# "ჭიათურმანგანუმს" ვალის დაფარვა გადაუვადდა

პირველი გვერდიდან

**მიუხედავად იმისა, რომ საწარმო მუშაობს და შემოსავალიც აქვს, მხოლოდ მიმდინარე დავალიანების გასტუმრება შეუძლია. ამიტომაც მთავრობას მივმართეთ, დავალიანების გასტუმრების ვადა გაეგრძელებინა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს "ჭიათურმანგანუმის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის ბოლო სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება ვალის კიდევ 6 თვით გადავადების შესახებ. თუმცა ჯერ უცნობია, საწარმოს ხელმძღვანელობა ამ თანხას ერთბაშად გადაიხდის თუ ეტაპობრივად.

### რა ხდება "ჭიათურმანგანუმში"?

როგორც ამბობენ, ევროპის მასშტაბით, საქართველოს გააჩნია მანგანუმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარაგი. წლების განმავლობაში მანგანუმის ძირითადი ნაწილის მოპოვება ჭიათურაში ხდებოდა.

ცალკეული ექსპერტების შეფასებით, საქართველო, სავარაუდოდ, 215 მილიონ ტონა მანგანუმის მარაგი აქვს. "ჭიათურმანგანუმს", რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია, 6 მოქმედი საბადო გააჩნია. კომპანია 1920 წელს დაარსდა და ფოლადის საწარმოებს ამარაგებდა მთელი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მანგანუმის მნიშვნელოვანი მარაგი არსებობს, უკანასკნელ წლებში ჭიათურმანგანუმის წარმოება საგრძნობლად შემცირდა. შარშან მხოლოდ 195 ათასი ტონა, 2004 წელს კი 219 ათასი ტონა მანგანუმი აწარმოეს, რაც სამჯერ ნაკლებია წინა წლების წარმოების მოცულობასთან შედარებით. მიმდინარე წლის ხუთ თვეში "ჭიათურმანგანუმში" 95 ათას ტონამდე მადანია გადამუშავებული. მისი წლიური საშუალო წარმადობა 200 ათასი ტონას აღწევს.

სახელმწიფოს წილი "ჭიათურმანგანუმში" 85 პროცენტია, 11 პროცენტი ამერიკული კომპანია "ინდუსტრია კაპიტალის" საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი 4 პროცენტი საწარმოს კოლექტივის საკუთრებაა. უკანასკნელი მონაცემებით, საწარმოში 4500-მდე თანამშრომელი მუშაობს.

"ჭიათურმანგანუმი" 2003 წლის შემდეგ, ფაქტობრივად, ექსპორტს აღარ აწარმოებს, რადგან, როგორც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იანდი შეყილაძემ "24 საათს" განუცხადა, "ჭიათურმანგანუმი" ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ძლივს ახერხებს. საწარმოს პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი ზესტაფონის ფეროა.

### ვინ იყიდის ერთხელ უკვე გაყიდულ საწარმოს?

1993 წლიდან მოყოლებული, ქარხნის პრივატიზაციის ყველა მცდელობა წარუმატებელი იყო. ბოლოს, გასული წლის გაზაფხულზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "ჭიათურმანგანუმი", "ვარციხეჰესთან" ერთად, კონკურსში გამარჯვებულ რუსულ კომპანიას, რუსეთის ყველაზე დიდი მასშტაბის ფოლადის მწარმოებელს "ევრაზია ჰოლდინგს" გადასცა. რუსებს ბიუჯეტში 132 მილიონი ლარი უნდა ჩაერიცხათ, თუმცა მოგვიანებით რუსულმა კომპანიამ გადაწყვეტილება იმ საბაბით შეცვალა, რომ თითქოს მსოფლიოში მანგანუმის ფასი დაეცა და ახალი შენაძენი "ჭიათურმანგანუმის" ქარხნის აღდგენისთვის საჭირო დანახარჯებს აღარ გაამართლებდა.

პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე, 2004 წელს ჭიათურმანგანუმის დირექციამ სასამართლოში საწარმოს გაკოტრებასთან დაკავშირებით განაცხადი შეიტანა. სახელმწიფოს საშუალება მიეცა, გაეყიდა აქტივები და მიღებული თანხით კრედიტორული დავალიანება დაეფარა: ეს მოიცავდა როგორც სახელფასო, ისე სახელმწიფოს წინაშე არსებულ დავალიანებას. დღესათვის საწარმოს დავალიანება 72 მილიონ ლარამდეა ასული, საიდანაც 42 მილიონი ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი დავალიანებაა. დანარჩენი - სხვადასხვა კერძო კრედიტორების მიმართ დაგროვილი ვალი გახლავთ, რომლის გასტუმრებას საწარმო, ბოლო რამდენიმე წელია, ვერ ახერხებს. "ჭიათურმანგანუმს" 3 მილიონ ლარამდე დებიტორული დავალიანებაც გააჩნდა, თუმცა, როგორც დირექციაში ამბობენ, ეს ვალი უიმედო იყო და ცოტა ხნის წინ ჩამოწერეს კიდეც.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო "ჭიათურმანგანუმს" მორიგი პრივატიზაციისთვის ამზადებს. კონკურსის ზუსტი თარიღი და საწარმოს სავარაუდო ფასი ჯერჯერობით უცნობია.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამჟამად საწარმოთი დაინტერესებული არიან რუსული, ბრიტანული, ყაზახური და ავსტრალიურ კომპანიები. მათ შორის მოიაზრება რუსული Промышленные инвесторы-ის შვილობილი კომპანია Stanton Equities Corporation-ი, რომელიც საქართველოში უკვე ფლობს სს "მადნეულის" თითქმის 100-პროცენტიან წილს და ქართულ-ბრიტანული "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი". ამ უკანასკნელის მფლობელობაშია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ერთი ნაწილი. შეგახსენებთ, რომ "ენერგია და ინდუსტრი კომპლექსი" გასული წლის ბოლოს Stanton Equities Corporation-თან ერთად "მადნეულისთვის" იბრძოდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ორი კომპანია ერთმანეთს კიდევ ერთხელ, ამჯერად "ჭიათურმანგანუმის" გამო დაუპირისპირდეს.

# მანქანა-დანადგარების იმპორტის მოცულობა საქართველოში

პირველი გვერდიდან

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საქართველო თანდათანობით შეიძლება სერიოზულ სიძნელეებს წააწყდეს, რაც წარმოების მდგრადი ზრდის გაგრძელების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეამცირებს.

აგროსამრეწველო ეკონომიკის პირველი სუსტი მხარე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებული სხვაობაა. კერძოდ, 1998 წელთან შედარებით, ინდუსტრიის წარმოების ინდექსი 167-ია, ხოლო სოფლის მეურნეობისა - 105.

რადგან საქართველოს სოფლის მეურნეობა ძალზე დანაწევრებულია, მას ძალიან გაუჭირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების მოთხოვნების დაკმაყოფილება, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საშუალო ფერმერთა ახალი ფენის ჩამოყალიბებას.

თუ სახელმწიფო სერიოზულ აგრარულ პოლიტიკას არ გაატარებს, ეს პროცესი სწრაფად არ მოხდება. სოფლის მეურნეობის ამჟამინდელ სტაგნაციას სპეციალისტები, ძირითადად, 1990-იან წლებში არასწორად დაწყებულ მიწის პრივატიზაციას აბრალებენ. მდგომარეობიდან გამოსვლას პროაქტიური პოლიტიკის განხორციელება სჭირდება, რომელშიც წამყვანი როლი კრედიტებმა უნდა შეასრულოს.

მეორე მნიშვნელოვანი სისუსტე ინფრასტრუქტურის ხარისხია. მაშინ, როდესაც თბილისისა და სხვა დიდი ქალაქების ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ შორსაა საერთაშორისო სტანდარტებისაგან, სოფლებში ამ მხრივ უმძიმესი მდგომარეობაა. ბევრ სოფელს, მათ შორის - მდიდარ რეგიონებში, არ აქვს მაგისტრალებთან დამაკავშირებელი გზები, სასმელი წყალი და ა.შ.

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, არ უნდა ვიოცნებოთ იმაზე, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებაში წამყვანი როლი კერძო ინვესტიციაა. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს მიერ სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების მასშტაბური საინვესტიციო პროგრამის განხორციელება, რომელსაც დახმარებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გაუწევენ.

მესამე მნიშვნელოვანი სისუსტე, რაზეც სპეციალისტები მიანიშნებენ, მუშახელის ხარისხია.

**"საქართველოს დღეს ძალიან ცოტა კვალიფიციური და ძალზე ბევრი არაკვალიფიციური მუშახელი ჰყავს. ეს არა მხოლოდ საშუალო ასაკის შრომისუნარიანი მოსახლეობის შემთხვევაშია ასე, არამედ, სამწუხაროდ, ახალი თაობებისაც. ქვეყანა ჯერ კიდევ მცირე ინვესტიციას აბანდებს ადამიანურ კაპიტალში. მაშინ, როდესაც იცის, რომ ეს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც, მაგალითად, ინვესტიციები თავდაცვაში,"** - აცხადებენ ექსპერტები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მშპ-ს 6 პროცენტია

### ექსპერტები მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციაზე საუბრობენ

საქართველო უცხოეთიდან, ფულადი გზავნილების სახით, მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს. ფულს სამშობლოში, დაახლოებით, 200-300 ათასი ემიგრანტი აგზავნის. თანხის მოცულობა წელიწადში 300 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. თუმცა ეს არის მხოლოდ ოფიციალური სტატისტიკა, რასაც საქართველოს ეროვნული ბანკი აფიქსირებს, ის კი მხოლოდ ქვეყანაში საბანკო არხებით შემოსულ თანხას ითვლის. სხვადასხვა არაოფიციალური დათვლებით, საქართველოში დაახლოებით 1 მილიარდამდე დოლარი შემოდის.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტს შეადგენს. ეს კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიდან მიღებულ შემოსავლებზე თითქმის ექვსჯერ მეტია.

დონორების დახმარება და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანხები ბიუჯეტის შემოსავლების ტოლია. როგორც საფინანსო ბაზრის ანალიტიკოსები ირწმუნებიან, ყველაფერი ეს საქართველოს, წარმოებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ნაცვლად, შემოსავლებზე ორიენტირებულ ეკონომიკად აქცევს. მათივე ინფორმაციით, ამავე მოცულობისაა ყოველწლიური საერთაშორისო დახმარება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კრედიტები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებას ხმარდება, ასევე მშპ-ს 6-12 პროცენტს შეადგენს.

უცხოეთიდან ფულადი გზავნილების ზრდამ და დონორთა დახმარების მოზიდვამ, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, შესაძლოა, მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია და ქვეყნის განვითარების პროცესზე საკუთარი უფლების დაკარგვა გამოიწვიოს.

მათი თქმით, შემოსავლების ასეთი ფორმა აქცევს სწორედ ქვეყნის ეკონომიკას შემოსავლებზე ორიენტირებულ ეკონომიკად. ექსპერტები ორ ყველაზე დიდ საფრთხეზე საუბრობენ:

**პირველი** - ეს არის მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია. შემოსავალზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის დამახასიათებელია ტიპიური მავნე მიდრეკილება. პროცესი უარესდება, როდესაც მოთხოვნა მსოფლიო სტანდარტის შესაბამის საქონელზეა ორიენტირებული. სტრუქტურული დეფიციტი წარმოშობს ინფლაციას და, შეიძლება, ეკონომიკა ვალის სპირალში ჩაითრიოს. ეს არ მოხდება, თუ არსებობს რაიმე კომბინირებული სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ვალუტის ნომინალური გაძვირების თავიდან აცილებას.

**მეორე** საფრთხეა გარეშე დახმარებაზე დამოკიდებული სპირალი და ქვეყნის განვითარების პროცესზე საკუთარი უფლების დაკარგვა. ექსპერტების განცხადებით, ამ რისკების მართვის უნარი ხელისუფლების შესაძლებლობების მაჩვენებელია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აუქციონი გაიმართა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით, აუქციონი გაიმართა. აუქციონი გამოცხადდა ზემო სვანეთის, ადიგენის, მარტვილის, ქუთაისის, საჩხერის, კასპის, თიანეთის, დუშეთის, ახმეტის, ოზურგეთი-ლანჩხუთის სატყეო მეურნეობის ტყეკაფებზე. აუქციონში მონაწილეობას იღებდა 52 მეწარმე, გამარჯვებულად გამოცხადდა 33 მეწარმე. აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 622 297 ლარი შეადგინა. აუქციონი გაიმართა, ასევე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით 19 ობიექტზე - ბოლნისის, წყალტუბოს, ჩოხატაურის, დუშეთის, ხარაგაულის, მცხეთის, თერჯოლის, გარდაბნის, წალენჯიხის, თელავის და ოზურგეთის რაიონებში. აუქციონში მონაწილეობდა 19 მეწარმე, აქედან გამარჯვებულად გამოცხადდა 18 მეწარმე. აუქციონის შედეგად შემოსულმა თანხამ 159 024 ლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სოფლის მეურნეობის სამინისტრო მსოფლიო ბანკის ახალ პროექტს განახორციელებს

აგვისტოდან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ახალი პროექტის - "ფრინველის გრიპის პანდემიისთვის ბრძოლის გლობალური პროგრამა" - განხორციელებას დაიწყებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ვეტერინარებისთვის და ფრინველის გრიპთან ბრძოლის შტატებში მომსახურე პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება, ასევე ფრინველის გრიპის პრევენციის მიზნით, სადეზინფექციო ხსნარების, სპეცტანსაცმლის, დანადგარების, რაიონული ვეტერინარული შტატებისთვის 40 ავტომანქანის (ნივა პიკაპი) შეძენა. ასევე რეკონსტრუქცია ჩაუტარდება რეგიონულ შტატებში არსებულ პათანატომიურ განყოფილებებს. პროექტის ფარგლებშივე მოხდება რეგიონული შტატების კომპიუტერებით და კომპიუტერული ქსელით უზრუნველყოფა. 1 500 000 აშშ დოლარი საკომპენსაციო ფონდის შექმნას მოხმარდება. საჭიროების შემთხვევაში, ფონდის სახსრებით სამინისტრო ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინებს შეიძენს. შინაური ფრინველის განადგურების შემთხვევაში, დაზარალებული მოსახლეობა მატერიალურ კომპენსაციას ამავე ფონდიდან მიიღებს. ამ ეტაპზე, ფონდისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვის მიზნით, ევროკავშირთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში 11 ობიექტში არსებული ბეკერის ორმო განახლდება. პროექტი 3-წლიანია და მისი ბიუჯეტი 6,5 მლნ დოლარს შეადგენს. პროექტის მთავარი კომპონენტებია - ცხოველთა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფრინველის გრიპის გავრცელების შემთხვევაში, ქათამის დახოცვისთვის, ერთ ფრთაზე 4-5 ლარი გაიცემა

სოფლის მეურნეობის საქართველოში ფრინველის გრიპის პრევენციული ზომების გასატარებლად სამინისტრო მსოფლიო ბანკის სამწლიანი პროექტის განხორციელებას აგვისტოდან დაიწყებს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველმა ლევან რამიშვილმა განაცხადა, ახალი პროექტის დასაწყებად მსოფლიო ბანკის მიერ 6,5 მილიონი აშშ დოლარი გამოიყო, სადაც 1,5 მილიონი აშშ დოლარი საკომპენსაციო ფონდში გადაირიცხება. საკომპენსაციო ფონდი, საქართველოში ფრინველის გრიპის გავრცელების შემთხვევაში, მოსახლეობას ცოცხალი ფრთა ქათმის დახოცვისთვის, კომპენსაციის სახით, 4-5 ლარის ოდენობით თანხის გაცემას უზრუნველყოფს. ახალი პროექტის ფარგლებში რაიონული შტაბების ვეტერინარებისთვის ჩატარდება ტრენინგები, შეძენილი იქნება დამატებით სადეზინფექციო ხსნარები, ერთჯერადი სპეცტანსაცმელი და რაიონული ვეტ სამსახურებისთვის შეძენილი იქნება დამატებით ნივის მარკის 40 ავტომანქანა, ასევე მოხდება საოფისე აღჭურვილობის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. მისი თქმით, 11 ობიექტზე პათანატომიის განყოფილებების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩატარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

რობერტო კარლოსი პენსიაზე გაუშვეს



C2

ტოტალური ფრენკი



C3

CHAMPION IS BACK!



C4

## იდუმალებით მოცული სიკვდილი

მთელი ბრიტანული საზოგადოება ააფორიაქა 19 წლის მოჭადრაკის ჯესი გილბერტის იდუმალებით მოცულმა სიკვდილმა. ტრაგედია დატრიალდა ჩეხეთის ქალაქ პარდუბიცეში, სადაც ჭადრაკში საერთაშორისო ტურნირი იმართებოდა.

ღამის სამ საათზე გილბერტი სასტუმროს მერვე სართულიდან გადმოვარდა. მისი ცხედარი მხოლოდ დილით აღმოაჩინეს.

ჩეხეთის პოლიცა, რომელიც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად იძიებს ამ საქმეს, ძალადობის ფაქტს გამორიცხავს. ჩეხ სამართალდამცავებს მიაჩნიათ, რომ მოჭადრაკე თავად გადმოხტა სასტუმროს ნომრიდან.

თვითმკვლელობის ვერსიამ მეტი დამაჯერებლობა შეიძინა მას შემდეგ, რაც ჯესის მეგობარმა პოლიციელებს უთხრა, რომ გოგონა მთვარეული იყო. ამ ვერსიაზე მუშაობისას გაირკვა, რომ ჯესი ძლიერ ანტიდეპრესანტებს იღებდა. შესაძლოა თვითმკვლელობის მიზეზიც ეს იყოს.

## "რომა" ფეხბურთელებს არ ყიდის

იტალიური "რომას" აღმასრულებელმა დირექტორმა დანიელე პროდიმ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები, რომ გუნდი კრისტიან კივუს, დანიელე დე როსისა და ანტონიო მანსინის მადრიდის "რეალში" გაშვებას აპირებს.

"სამივე ეს ფეხბურთელი კლუბისთვის საჭირო მოთამაშეა და მათ გასხვისებას რომელიმე გუნდში, მით უმეტეს, მადრიდის "რეალში" არ ვაპირებთ", - განაცხადა პროდიმ.

## ლედლი კინგი დაშავდა

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" მცველი ლედლი კინგი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის სასტარტო მატჩებს გამოტოვებს.

25 წლის მცველმა გუნდის ვარჯიშზე მუხლი იტკინა, რის გამოც დაახლოებით ორი თვით ჩამოსცილდება ფეხბურთს. კინგი 2 სექტემბერს ანდორასთან, 6 სექტემბერს კი მაკედონიასთან ვერ ითამაშებს.

ფეხის მოტეხილობის გამო ლედლი კინგი ვერც მსოფლიო ჩემპიონატზე დაეხმარა ნაკრებს.

## "მანჩესტერი" ნახევარმცველებით ძლიერდება

ბრიტანული პრესის ცნობით, ინგლისური "მანჩესტერ იუნაიტედი" ესპანური "ვილიარეალის" ნახევარმცველით მარკოს სიენათი დაინტერესდა. 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ მანკუნიანელები ესპანელებს 3 მილიონ ფუნტ სტერლინგს სთავაზობენ.

ბრაზილიელი სიენა "ვილიარეალში" 2002 წელს "სან კაეტანოდან" გადავიდა. გასულ წელს ფეხბურთელმა ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და გერმანიაში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ესპანეთის ნაკრების ღირსებას იცავდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ "მანჩესტერ იუნაიტედმა" კიდევ ერთი - ინგლისის ნაკრებისა და "ტოტენჰემის" ნახევარმცველი მაიკლ კერიკი დაიმატა.

## რეიესს "არსენალში" აღარ უნდა

ესპანეთის ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელის ხოსე ანტონიო რეიესის თქმით, ინგლისში თამაში მობეზრდა და სამშობლოში დაბრუნება, კერძოდ, მადრიდის "რეალში" გადასვლა უნდა.

ბრიტანული გამოცემა "გარდიანის" ცნობით, რეიესი პირადად ესაუბრა "არსენალის" ფრანგ თავკაცს არსენ ვენგერს.

თავის მხრივ, ესპანელი ნახევარმცველით მადრიდის "რეალიც" დაინტერესებულია. "სამეფო გუნდის" ახალი პრეზიდენტის რამონ კალდერონის წინასაარჩევნო დანაპირები "სანტიაგო ბერნაბეუზე" "არსენალის" ესპანური დუეტის - რეიესისა და სესკ ფაბრეგასის მოყვანა იყო.

## მარსელინიომ "ჰერტა" დატოვა

ბერლინის "ჰერტას" ბრაზილიელი ნახევარმცველი მარსელინიო მომავალი სეზონიდან თურქეთის "ტრაბზონსფორის" ღირსებას დაიცავს.

31 წლის ფეხბურთელმა, რომელიც "ჰერტაში" 2001 წელს ფრანგული "მარსელიდან" გადავიდა, თურქულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბერლინის "ჰერტა" თბილისის "ამერის" მეტოქე იქნება. საქართველოს თასის მფლობელი ბერლინელებთან პირველ მატჩს 10 აგვისტოს სტუმრად გამართავს, ხოლო 24 აგვიტოს "ჰერტას" შინ უმასპინძლებს.

## პარეირა აფრიკელებს გაწვრთნის

"როიტერის" ინფორმაციით, ბრაზილიელი სპეციალისტი კარლოს ალბერტო პარეირა ოფიციალურად დაინიშნა სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცად.

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან პარეირამ ოთხწლიანი კონტრაქტი რიო დე ჟანეიროში გააფორმა.

სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოლეფი ოლიფანტის თქმით, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის ზუსტი თარიღი, როდის შეუდგება პარეირა ნაკრებთან ერთად მუშაობას. სავარაუდოდ, ბრაზილიელი სპეციალისტი აფრიკაში მომავალი წლის დასაწყისში ჩავა. მანამდე "ბაფანა ბაფანას" პიტსო მოსიმანე უხელმძღვანელებს.

# ნაკლული ჩემპიონატის რევანშისტული სტარტი



მიხეილ აბაიშვილი

29 ივლისს სტარტი აიღო საქართველოს მე-18 ჩემპიონატმა ფეხბურთში, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ჩვიდმეტ წინამორბედთან შედარებით, ყველაზე გამორჩეული იქნება საინტერესო მოვლენებით და სკანდალური ფაქტებით. სამწუხაროდ, ეს მოვლენები და ფაქტები დაკავშირებული არ იქნება ჩემპიონატის წმინდა სპორტულ, საფეხბურთო მხარესთან. უფრო ხშირად გავხდებით უხელფასობით აღშფოთებულ ფეხბურთელთა გაფიცვების, საკლუბო ფინანსური კრიზისების მომსწრენი. გამორიცხული არ არის, რომ მსგავსი პრობლემების გამო რომელიმე კლუბმა ჩემპიონატი ვერც ჩაამთავროს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის გარემოება, რომ დაგეგმილი 16-გუნდიანი ტურნირის ნაცვლად სწორედ ფინანსური კრიზისის გამო მხოლოდ თოთხმეტმა გუნდმა დაიწყო ჩემპიონატი. უფულობის გამო უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩა ქალაქი, სადაც დაირწა ქართული ფეხბურთის აკვანი. დიახ, ფოთის "კოლხეთი" და მასთან ერთად "ცხინვალი", რომლებმაც საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას ვერ წარუდგინეს ფინანსური გარანტიები, უძლიერესთა კომპანიას გამოეთიშნენ. იგივე საფრთხის წინაშე იყო გორის "დილაც", მაგრამ მათ სულზე მიუსწრო სპონსორმა.

ლიცენზირებაგავლილი თოთხმეტი გუნდის დიდ ნაწილს არამყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს. რისკის ზონაში არიან ბათუმის "დინამო", გორის "დილა", "ბორჯომი", თელავის "კახეთი", ქუთაისის "ტორპედო" და თბილისის "ლოკომოტივი". იქნებ ამ კლუბების ხელმძღვანელებმა ჩემპიონატის მსვლელობაში შეძლონ ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა, თუმცა, ეს ძალზე რთული იქნება.

ჩემპიონატის პირველი ტურის პირველმა დღემ სენსაციების გარეშე ჩაიარა. ყველაზე დიდ ინტერესს თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონზე დაგეგმილი მატჩი იწვევდა თბილისის "დინამოსა" და "ბორჯომს" შორის. გასულ სეზონში უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა "ბორჯომმა" არაერთი სენსაცია მოახდინა, მათ შორის თბილისის "დინამოსთანაც": "ბორჯომმა" "დინამოს" ორივე წრეში მარცხი აგემა, რითაც ექვსი ქულა დააკარგვინა. ცნობისთვის: დედაქალაქური კლუბი საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის "სიონს" საბოლოოდ სწორედ ექვსი ქულით ჩამორჩა.

მე-18 ჩემპიონატის სტარტზე "ბორჯომი" სათანადო ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე დარჩა, რის გამოც გუნდი დატოვა წამყვანი ფეხბურთელების დიდმა ნაწილმა. პირველი ტურის მატჩში ამ გუნდმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია მიმდინარე გათამაშების ფავორიტს და "დინამოს" რევანშის საშუალება მისცა.

**"დინამო" - "ბორჯომი"**
**3:0 (1:0)**

დინამო: ლორია, ამბროზიო, კაშია, თომაშვილი, ნავალოვსკი, გრიგალაშვილი, ნერგაძე, ხუციშვილი (მერებაშვილი, 67`), კობახაიძე (ხმალაძე, 74`), ახალაია (ბობოხიძე, 72`), იაშვილი.

ბორჯომი: ჭურაძე, საჯაია, დარუჩავა, ბაქრაძე, კობახიძე (დონდოლაძე, 63`), ავალიანი, ნაკანი (თედიაშვილი, 80`), ჯიქია, ქარქოზაშვილი, თურთუხია, დათვაძე (სუხიაშვილი, 86`).

გოლები: 1:0 ხუციშვილი 41`,2:0 კაშია 67` (პენ.), 3:0 მერებაშვილი 86`.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "იუვეს" ფეხბურთელები აჯანყდნენ

სერია ბ-ში დაქვეითებული ტურინის "იუვენტუსის" ფეხბურთელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და მაურო კამორანეზიმ სახალხოდ განაცხადეს, რომ გუნდში დარჩენა აღარ უნდათ.

შვედი ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, იბრაჰიმოვიჩი სერია ბ-ში არ ითამაშებს: "იუვენტუსმა" უნდა გაითვალისწინოს, რომ ზლატანის დონის ფეხბურთელი სერია ბ-ში არ დარჩება. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რათა შექმნილ მდგომარეობას დავაღწიოთ თავი". "ფეხბურთელებს დიდი მსხვერპლის გაღება მოგვიწევს, თუ სერია ბ-ში დაქვეითებას დავთანხმდებით. დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ მინდა ისეთი კლუბების წინააღმდეგ თამაში, როგორიც, მაგალითად, "ალბინოლეფეა". მით უმეტეს, მათ 20-ათასკაციან სტადიონზე თამაში. ჩემი მიზანია იმ კლუბში თამაში, რომელიც ჩემპიონთა ლიგის თასისთვის იბრძოლებს. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ქვეყანაში ვითამაშებ", - განაცხადა მაურო კამორანეზიმ ერთ-ერთ ინტერვიუში.

## კემპბელი "კაჭკაჭებში"

ბრიტანული "ტაიმსის" ცნობით, ლონდონის "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების მცველი სოლ კემპბელი, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან "ნიუკასლ იუნაიტედის" ფეხბურთელი გახდეს. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, "კაჭკაჭების" მთავარ მწვრთნელთან გლენ როდერთან წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ინგლისელი მცველით მანამდე ფრანგული "მარსელი" და იტალიური "ფიორენტინა" ინტერესდებოდნენ.

## ვალერონის ტაიმ-აუტი

ლა კორუნიას "დეპორტივოს" ნახევარმცველი ხუან კარლოს ვალერონი მუხლის ოპერაციის გამო ოთხით თვით ვერ ითამაშებს. 31 წლის ფეხბურთელს "ბენფიკასთან" ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის შედეგად ჯვარედინი მყესები გაუწყდა.

## "კრუზ აზულიდან" "ბენფიკაში"

მექსიკის ნაკრების თავდამსხმელმა ფრანსისკო ფონსეკამ პორტუგალიის "ბენფიკასთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "შევეცდები "ბენფიკას" ყველა იმ ტურნირის მოგებაში დავეხმარო, რომელშიც ვიასპარეზებთ", - განაცხადა 26 წლის მექსიკელმა ბენფიკას "და ლუჟის" სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე.

ფრანსისკო ფონსეკამ 33 მატჩში დაიცვა თავისი ქვეყნის ნაკრების ღირსება და 20 გოლი გაიტანა. მექსიკელი თავდამსხმელის გარდა, პორტუგალიურმა კლუბმა ამ სეზონში "მილანიდან" რუი კოშტა, აეკ-დან კოსტას კაცურიანისი და "ბოავიშტადან" პაულუ ჟორჟე დაიმატა.

## "საუთჰემპტონმა" "ჰართსის" ნახევარმცველი შეიძინა

ინგლისის "საუთჰემპტონმა" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჰართსის" ჩეხ ნახევარმცველთან რუდი სკაჩელთან. 27 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ ინგლისურმა კლუბმა სამი მილიონი დოლარი გადაიხადა.

"რუდისთან ერთად "ჰართსში" მიმუშავია. ის ყოველთვის გამორჩეული მოთამაშე იყო, ბრწყინვალედ შეუძლია მეტოქის შეტევების ჩაშლა", - განაცხადა "საუთჰემპტონის" თავკაცმა ჯორჯ ბერლიმ. რუდი სკაჩელი შოტლანდიის "ჰართსში" ფრანგული "მარსელიდან" გასულ წელს გადავიდა.

## "ლივორნო" "იუვეს" ფეხბურთელებს ყიდულობს

იტალიური "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, "ლივორნო" ტურინის "იუვენტუსის" ორი მცველის - იგორ ტუდორისა და ნიკოლა ლეგროტალიელის შეძენას აპირებს.

"იუვეს" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები ჯერაც მიმდინარეობს და მათი დასრულების შემდეგ გადავწყვეტთ, რომელ ფეხბურთელს დავიმატებთ - ტუდორს თუ ლეგროტალიეს", - განაცხადა "ლივორნოს პრეზიდენტმა ალდო სპანიელიმ.

## გი რუ მაროკოში

ფრანგული საფეხბურთო კლუბ "ოსერის" ექსთავკაცს გი რუს მაროკოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწის პოსტს სთავაზობენ. საბოლოო პასუხი ფრანგ სპეციალისტს ჯერ არ უთქვამს, თუმცა პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, გი რუ ამ დღეებში ჩავა მაროკოში და, სავარაუდოდ, კონტრაქტსაც გააფორმებს.

ფრანგულ "ოსერს" გი რუ 44 წლის განმავლობაში თავკაცობდა.

## "მანჩესტერი" ფორჩუნზე უარს ამბობს

სამხრეთ აფრიკის ნაკრებისა და "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის კუინტონ ფორჩუნის განცხადებით, "ბოლტონ უონდერერსთან" შეთანხმებას თითქმის უკვე მიაღწია და ყველას დაუმტკიცებს, რომ "მანჩესტერ იუნაიტედმა" მისი გაშვებით შეცდომა დაუშვა.

"ტრავმა აღარ მაწუხებს და საუკეთესო ფორმის პიკში ვარ. ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ თამაშს გავაგრძელებდი. "მანჩესტერის" დატოვება ძალიან მიმძიმს, "ოლდ ტრეფორდზე" ხომ შვიდი შესანიშნავი წელიწადი გავატარე", - განაცხადა ფორჩუნმა.

## აიმარი "სარაგოსაში" ითამაშებს

ესპანური "სარაგოსა" "ვალენსიას" 26 წლის არგენტინელი ნახევარმცველით პაბლო აიმარით გაძლიერდა.

"აიმარი კლუბის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია", - განაცხადა "სარაგოსას" ხელმძღვანელობამ.

ესპანურმა კლუბმა არგენტინელ ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და "ვალენსიას" მის სანაცვლოდ 11 მილიონი ევრო გადაუხადა.

პაბლო აიმარი "ვალენსიაში" 2001 წელს არგენტინული "რივერ პლეიტიდან" გადავიდა. ვალენსიელებმა მაშინ მის სანაცვლოდ 20 მილიონი დოლარი გადაიხადეს. "ვალენსიასთან" ერთად აიმარმა 2002 და 2004 წლებში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, 2004 წელს კი უეფას თასი მოიგო.

## ერაყის მწვრთნელი ტერორისტებმა დააშინეს

ირანის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა აკრამ ახმედ სალმანმა ბოევიკთა მუქარის გამო თანამდებობა დატოვა.

"ჩვენ ვიცით თქვენი მისამართი, თქვენი ოჯახის წევრების ვინაობა და თუ ირანის ნაკრებიდან არ წახვალთ, გაგანადგურებთ", - ასეთი შინაარსის წერილი მიიღო რამდენიმე დღის წინ სალმანმა.

# ნაკლული ჩემპიონატის რევანშისტული სტარტი

პირველი გვერდიდან

მიხეილ მესხის სტადიონზე, რომელიც ეროვნულ სტადიონზე მიმდინარე რეკონსტრუქციის გამო პირველი წრეში "დინამოს" საშინაო არენად იქცევა, ჩემპიონატის პირველ მატჩზე სამასამდე გულშემატკივარი შეიკრიბა. თამაშის დაწყებამდე ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა: ფეხბურთიდან გააცილეს თბილისის "დინამოს" მეკარე და კაპიტანი ირაკლი ზოიძე, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში იცავდა საქართველოს საუკეთესო კლუბის კარს. გაცილების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო "დინამოს" დიდმა მეკარემ სერგო კოტრიკაძემ, ასევე ზოიძის ყოფილმა თანაგუნდელმა, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ. თბილისის "დინამოს" მმართველმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ ირაკლი ზოიძეს ფულადი პრემია და ოქრო-ვერცხლით შესრულებული კლუბის ემბლემა გადასცა.


"დინამომ" "ბორჯომს" წყალი არ დაალევინა.

თამაშის პირველი ტაიმი უინტერესო ბრძოლაში წარიმართა. სახიფათო მომენტი იშვიათად იქმნებოდა როგორც ერთ, ისე მეორე კართან. მხოლოდ საგოლე კომბინაციის გამორჩევა თუ შეიძლება: 41-ე წუთზე ლადო ახალაიამ ფლანგიდან ზუსტად ჩააწოდა ბორჯომელთა საჯარიმოში. "დინამოს" დებიუტანტმა, "სიონიდან" გადმოყვანილმა მიხეილ ხუციშვილმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარში მოედანზე მასპინძლები დომინირებდნენ. როგორც ჩანს, ბორჯომელებმა სათანადო წინასასეზონო მომზადება ვერ გაიარეს, რაც მათ ფიზიკურ მზადყოფნაზე აისახა. ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთ მომზადებულმა დინამოელებმა, რომლებმაც ორი საწვრთნელი შეკრება გაიარეს (იალტასა და ავსტრიაში), დაჯაბნეს მეტოქე. 67-ე წუთზე იაშვილის წაქცევისთვის დაინიშნა პენალტი, რომელიც "დინამოს" კაპიტანმა კაშიამ გოლად აქცია. მატჩის მიწურულს მარჯვენა ფლანგიდან ზუსტად ჩააწოდა გრიგალაშვილმა და მერებაშვილმა მესამედ დალაშქრა ბორჯომელთა კარი.

გამარჯვებით დაიწყო ჩემპიონატი "ზესტაფონმა". მათ თბილისის "ლოკომოტივს" უმასპინძლეს და ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა ბექა გოცირიძემ, ხოლო 56-ე წუთზე გოგი ფიფიამ მეორე გოლი გაიტანა.

წარმატებული გამოდგა უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული თბილისის "მერანის" დებიუტი. დედაქალაქელები თელავში ადგილობრივ "კახეთს" ხვდებოდნენ. მატჩის მიწურულს გაგუას ერთადერთმა გოლმა "მერანს" მოუტანა გამარჯვება.

გორში გამართული შეხვედრა "დილასა" და ბათუმის "დინამოს" შორის ნულოვანი ყაიმით დასრულდა.

ტურის დარჩენილი სამიდან მატჩიდან ორი დღეს გაიმართება. თბილისის "ამერი" საჩხერის "ჩიხურას" უმასპინძლებს, ხოლო ქუთაისში "ტორპედო" და "ვიტ ჯორჯია" შეხვდებიან ერთმანეთს. იმის გამო, რომ საქართველოს ჩემპიონ "სიონს" 2 აგვისტოს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი აქვს ჩასატარებელი, ამ ტურის მატჩი ბოლნისურ კლუბსა და რუსთავის "ოლიმპს" შორის 23 აგვისტოს გაიმართება.

# რობერტო კარლოსი პენსიაზე გაუშვეს

მადრიდის "რეალმა" მორიგი ვარსკვლავი დაითხოვა. რამონ კალდერონი ფლორენტინო პერესის გზას აგრძელებს და "სამეფო კლუბიდან" სუპერვარსკვლავებს ყოველგვარი პატივის გარეშე უშვებს. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ფერნანდო იერო ფაქტობრივად გააგდეს "რეალიდან", ისევე როგორც ვისენტე დელ ბოსკე, რომლის მწვრთნელობის პერიოდშიც "რეალმა" ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც საკლუბო დონეზე შეიძლება. "რეალმა" არც ფერნანდო მორიენტესი დაინდო. კლუბი ფიგუსაც ისე დაემშვიდობა, მადლობა არავის უთქვამს.

ახლა კი გუნდს რობერტო კარლოსი დატოვებს. ბრაზილიელს "რეალიდან" წასვლა არ სურდა, მაგრამ მას სხვა გზა არ დაუტოვეს. ბრაზილიელს კლუბთან კიდევ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდოდა, მაგრამ "რეალმა" ამაზე უარი თქვა და ფეხბურთელს კარისკენ მიუთითა.



რობერტო კარლოსი "რეალმა" დაიწუნა

იყო ვარაუდი, რომ რობერტო კარლოსი ლონდონის "ჩელსიში" გადავიდოდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ბრაზილიელ მცველს ლონდონელები მისთვის მისაღებ კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტში შეთანხმება არ შედგა და თუ ესპანურ გაზეთ "მარკას" დავუჯერებთ, რობერტო კარლოსი თურქეთში, კერძოდ, "ფენერბახჩეში" გააგრძელებს კარიერას, სადაც ახლახან მთავარ მწვრთნელად ზიკო დაინიშნა.

თურქულ კლუბში ბრაზილიელს სამწლიან კონტრქატს სთავაზობენ. ტრანსფერის ღირებულება 5 მილიონ ევროს შეადგენს.

ესპანური მედია ირწმუნება, რომ კონტრაქტი დღე-დღეზე უნდა გაფორმდეს. ამის თაობაზე რობერტო კარლოსს კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი სწორედ თურქულ კლუბში გატარებს კარიერის ბოლო წლებს.

ამავე დროს ცნობილი გახდა, რომ რობერტო კარლოსის შემცვლელად "რეალში" საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მარცხენა მცველს ერიკ აბიდალს ყიდულობენ. ჯერჯერობით არაფერია ნათქვამი თანახმაა თუ არა ფრანგული კლუბი აბიდალის ტრანსფერზე, თუმცა "რეალის" მესვეურებმა ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაიწყეს.

# ახალი ბრაზილიური ფილოსოფია - ჯერ შედეგი, შემდეგ სილამაზე

მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა კარლოს ალბერტო პარეირამ. პენტაკამპეონები მწვრთნელის გარეშე დიდხანს არ ყოფილან. დაახლოებით ერთი კვირაა, რაც ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი კარლოს დუნგა დაინიშნა.

ესპანურ გაზეთ "მარკას" ჟურნალისტი სელესაოს ახალ მწვრთნელს ესაუბრა. ამ ინტერვიუს ჩვენს მკითხველსაც ვთავაზობთ.

**- როგორ აპირებთ მსოფლიო ჩემპიონტზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ გუნდში მუშაობას?**

- მინდა ფეხბურთელებს შევხვდე, ვესაუბრო. შემდეგ თითოეულს ცალ-ცალკე დაველაპარაკები. მინდა გავარკვიო რეალურად რა მოხდა ამ ზაფხულს.

**- პირადად თქვენი აზრით, რა მოხდა, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ბრაზილიის ნაკრებზე?**

- არ მინდა ამ თემაზე საუბარი. ზოგიერთმა თქვა, ფეხბურთელებს მოტივაცია აკლდათ და თამაში არ უნდოდათო. ეს ბრაზილიის ნაკრებში დაუშვებელია.

**- მართალია თუ არა, რომ ნაკრებს ვეტერანებისგან გაწმენდთ?**

- რა თქმა უნდა, არა. თუმცა, ნაკრებში მხოლოდ სახელის გამო ვერავინ ითამაშებს. მე ჩემი ფილოსოფია მაქვს. ფეხბურთელი, რომელიც ჩემს იდეებს ვერ გაიზიარებს, ცხადია, ნაკრებში არ ითამაშებს. პირადად მე რასაც ფეხბურთში მივაღწიე, ყველაფერი დაუღალავი შრომის შედეგი იყო. ჩემი ფეხბურთელებისგანაც იგივეს მოვითხოვ.


კარლოს დუნგა და რიკარდო ტეიშერა.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დუნგას ხელში ბრაზილიის ნაკრები სანახაობრივ ფეხბურთს დაივიწყებს და მხოლოდ შედეგზე იქნება ორიენტირებული?**

- იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის. თუ ლამაზ თამაშს შედეგი მოაქვს, ამას რა სჯობს, მაგრამ შედეგის გარეშე მხოლოდ ლამაზ თამაშს რა აზრი აქვს! მთავარია ნაკრებში სრული დისციპლინა იყოს და ყველამ იცოდეს რა უნდა აკეთოს მინდორზე.

**- თქვენ სამწვრთნელო გამოცდილება არ გაქვთ. პირდაპირ ნაკრები ჩაიბარეთ. ნუთუ არ გეშინიათ?**

- რა თქმა უნდა, ეს სარისკოა, მაგრამ ნუთუ მხოლოდ გამოცდილი მწვრთნელია ტიტულების გარანტია. შეხედეთ, რამდენს მიაღწია კლინსმანმა. ვფიქრობ, ის ყველა ახალბედა მწვრთნელისთვის მაგალითი უნდა იყოს. დიახ, მე არ მაქვს გამოცდილება, მაგრამ მაქვს საოცარი სურვილი და ცოდნა იმისთვის, რომ ნაკრებთან ერთად წარმატებებს მივაღწიო.

**- თქვენი მწვრთნელობის პერიოდში შესაძლებელია თუ არა, რომ მინდორზე ერთდროულად ვიხილოთ რონალდინიო, კაკა, ადრიანო და რონალდო?**

- არ მწამს სისტემის 4-2-4. მინდორზე ძალები თანაბრად უნდა იყოს გადანაწილებული. ყველა ფეხბურთელს უნდა შეეძლოს შეტევაც და დაცვაში თამაშიც. იმისთვის, რომ კარგად ითამაშო, მეტოქეს ბურთი უნდა აართვა. ეს ხომ ცხადია.

**- თქვენი საფეხბურთო ფილოსოფია ძალიან ჰგავს ფაბიო კაპელოს ფილოსოფიას. აპირებთ თუ არა მასთან საუბარს?**

- დიახ, ესპანეთში ჩასვლას აუცილებლად ვაპირებ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესპანეთში ბრაზილიის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები თამაშობენ და მათი ნახვა აუცილებელია. მადრიდის "რეალში" კი ექვსი ბრაზილიელია. მართალია, არ ვიცი, რატომ მადარებთ კაპელოს, მაგრამ ეს შედარება ჩემთვის სასიამოვნოა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ემერსონი დაგვიანებით გადავიდა მადრიდის "რეალში"?**

- არა. ემერსონი ფანტასტიკური ფეხბურთელია. მან უკვე ითამაშა იტალიასა და გერმანიაში. მიმაჩნია, რომ მისი შეძენით მადრიდის "რეალი" ბევრს მოიგებს.

**- ემერსონი თამაშის სტილით თქვენც გგავთ...**

- დიახ, მაგრამ გაცილებით უკეთესი ფეხბურთელია, ვიდრე კარლოს დუნგა.

**- რას იტყვით კაკაზე? როგორ გგონიათ, გადავა თუ არა მადრიდის "რეალში"?**

- არ ვიცი. ჩემი აზრით, ეს ტრანსფერი არ შედგება. კაკა იტალიაშიც არაჩვეულებრივად გრძნობს თავს და არა მგონია, გუნდი შეიცვალოს.

**- რა აზრის ხართ რონალდოს გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე?**

- მთავარია ამას თავად რონალდომ არ მიაქციოს ყურადღება. მე არ მაინტერესებს რა იყო წარსულში. ჩემთვის მთავარია, რომ რონალდო ნაკრებში სათამაშოდ იყოს მზად. ასეთ ფეხბურთელებზე უარის თქმა არ შეიძლება.

# ტოტალური ფრენკი

ბოლო წლებში ნისლიან ალბიონზე მეტად პოპულარული გახდა ფეხბურთელთა ავტობიოგრაფიული წიგნების გამოცემა. საფეხბურთო თუ პირადი ცხოვრების უცნობ დეტალებს ფეხბურთიდან წასული ლეგენდების დარად, მოქმედი მოთამაშეებიც ყვებიან საჯაროდ. ამ ზაფხულს ბრიტანეთში ერთბაშად ორი ფეხბურთელის - უეინ რუნის "ჩემი დღევანდელი ისტორია" და ფრენკ ლამპარდის "ტოტალური ფრენკი" გამოვა გასაყიდად.

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი ერთადერთი ფეხბურთელი გამოდგა, ვინც პირველმა გაამხილა სვენ გორან-ერიქსონის გუნდის სამუნდიალე ჩავარდნის რეალური მიზეზები.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელ ნახევარმცველს ყოფილი მწვრთნელის მიმართ დღესაც დიდი სიმპათიები აქვს, ამბობს, რომ გერმანიიდან ნაკრების შინ ნაადრევად დაბრუნება ერიქსონის არასწორმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია.



ფრენკ ლამპარდმა ინგლისელთა მარცხში სვენ-გორან ერიქსონს ადანაშაულებს.

ლამპარდის აზრით, პირველი დიდი შეცდომა ერიქსონმა მაშინ დაუშვა, როდესაც მუნდიალს მიღმა დატოვა "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" თავდამსხმელი ჯერმეინ დეფო. ნაკრებში კი გამოიძახა "არსენალის" გამოუცდელი თავდამსხმელი თეო უოლკოტი, რომელსაც მაიკლ ოუენის პოტენციურ შემცვლელად თვლიდა.

თავის დროზე ერიქსონის გადაწყვეტილებას (გერმანიაში ოთხი ფორვარდით ჩასვლას) ინგლისელი კრიტიკოსებიც აპროტესტებდნენ. ოთხიდან ორს - უეინ რუნისა და მაიკლ ოუენს ტრავმა ახლი მოშუშებული ჰქონდათ და შორს იყვნენ იდეალური ფორმისგან, რაც იმას ნიშნავდა, რომ გუნდს დიდ სარგებელს ვერ მოუტანდნენ. ძირითადი თავდამსხმელის პიტერ კრაუჩის დაშავების შემთხვევაში კი ინგლისი გამოუცდელი თეო უოლკოტის იმედად რჩებოდა.

კრიტიკოსთა ვარაუდი გამართლდა, როცა მაიკლ ოუენი შვედეთთან მიღებული ტრავმის შედეგად გათამაშებას გამოეთიშა. უეინ რუნიმ კი სულაც უგოლოდ დატოვა ჩემპიონატი.

"ერთთავად იმას გვეკითხებოდნენ, რატომ არ გვყავდა გუნდში ხუთი ფორვარდი, მაშინ როცა თავდამსხმელთაგან ორი ჩემპიონატის დროსაც კი არ იყო სრულ მზადყოფნაში. მუნდიალის დაწყების წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ დეფო ნაკრებში ითამაშებდა. ჯერმეინთან ერთად "ვესტ ჰემში" მითამაშია და ვიცი მისი შესაძლებლობები - თითქმის ყველა მატჩში გოლი გაჰქონდა".

გულახდილობასთან ერთად, ლამპარდი კორექტულობასაც იჩენს და ინგლისელთა ცუდ გამოსვლას მარტო მწვრთნელს არ აბრალებს. მისი აზრით, ბევრ სხვასთან შედარებით, შვედმა სპეციალისტმა კარგად გაართვა თავი სამუშაოს.

"ცუდის გარდა, ერიქსონის მუშაობაში ბევრი კარგიც იყო. მან იცის თავისი საქმე და ფეხბურთიც კარგად ესმის", - წერს ლამპარდი.

მიუხედავად ამისა, "ჩელსის" ნახევარმცველი ადანაშაულებს ყოფილ თავკაცს ვარჯიშებზე გამოჩენილ სრულიად არასაჭირო სიმკაცრეში. ინგლისელი ფეხბურთელი იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა ანტიგუაში გატარებული შვებულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

"ანტიგუაში დასასვენებლად ვიყავი, მაგრამ უბურთოდ მაინც ვვარჯიშობდი. ინგლისში რომ ჩამოვედი, ფეხები დამძიმებული მქონდა. ვარჯიშებზე კი დავრბოდით, მაგრამ მარტო სირბილი საკმარისი არ არის. ფეხბურთს სხვანაირი დატვირთვა სჭირდება. იყო დღეები, როცა ერიქსონზე საშინლად ვბრაზდებოდი, რადგან იმას არ მაძლევდა, რაც იდეალური ფორმისთვის იყო საჭირო. მეტიც, ზოგჯერ ისეთ დროს გვასვენებდა, როცა დასვენება კი არა, ვარჯიში მინდოდა".

"მახსოვს, ევროპის ჩემპიონატზე, პორტუგალიაში, ერთდღიანი დასვენება მოგვცა. არადა, ეს არავის უნდოდა. მე და რიო ფერდინანდმა ჩვენით ვივარჯიშეთ".

"მართალია, პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ ყველა იმას მეუბნებოდა, რომ გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ოპტიმალური ფორმისგან შორს ვიყავი", - წერს ლამპარდი.

ყველაზე ცუდად ფეხბურთელს შარშან მომხდარი ინციდენტი ახსენდება.

"სექტემბერში, ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, უელსთან მატჩის წინ სიცხიანი ვიყავი და ძლიერი სურდო მქონდა. გუნდის ექიმს ვუთხრი, რომ თავს კარგად ვგრძნობდი და ვთხოვე, მწვრთნელისთვის ეთქვა, ჩემთვის თამაშის ნება დაერთო. ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ პირადი ინტერესები გუნდურზე წინ არასოდეს დამიყენებია".

"შაბათს დილით თავს კარგად ვგრძნობდი, თუმცა ვარჯიშზე ოდნავ მოდუნებული ვიყავი. მაქსიმალურად ვცდილობდი, არ შემმჩნეოდა. ვარჯიშის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, ერიქსონმა თქვა, რომ "შენელებული სტარტი მქონდა".

"ყველაფერს ველოდი, მაგრამ ამას არა. საშინლად გავბრაზდი. როცა მწვრთნელი პრესის წინაშე ასე მოგიხსენიებს, ცხადია, გულდასაწყვეტია".

"უფრო იმაზე გავბრაზდი, რომ მცდარი მოსაზრება ჰქონდა და არ ვეთანხმებოდი. გული დამწყდა, სახალხოდ რომ გამაკრიტიკა. მერჩივნა, პირში ეთქვა, თუ რაიმე პრობლემას ვუქმნიდი. შეცდომას გამოვასწორებდი და საქმესაც ეშველებოდა. ის წყენა ჩავყლაპე, რადგან არ მინდოდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელს საჯაროდ დავპირისპირებოდი".

# შაბათი რაიკონენის იყო, კვირა - შუმახერის



"გერმანიის დიდ პრიზი"

"ჰოკენჰაიმი" 67 წრე. 4,574 კმ.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") | 1:27:51.693 |
| 2. ფელიპე მასა ("ფერარი") | +0.7 |
| 3. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") | +13.2 |
| 4. ჯენოსნ ბატონი ("ჰონდა") | +18.8 |
| 5. ფერნანდო ალონსო ("რენო") | +23.7 |
| 6. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") | +24.8 |
| 7. იარნო ტრული ("ტოიოტა") | +26.5 |
| 8. კრისტიან კლიენი ("რედ ბული") | +48.1 |

უსწრაფესი წრე: მიხაელ შუმახერი 1:16.357

მრბოლთა პირადი დავა

| | |
|---|---|
| 1. ფერნანდო ალონსო ("რენო") | 100 |
| 2. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") | 89 |
| 3. ფელიპე მასა ("ფერარი") | 50 |
| 4. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") | 49 |
| 4. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") | 49 |
| 6. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") | 26 |
| 7. ჯენსონ ბატონი ("ჰონდა") | 21 |
| 8. რუბენს ბარიკელო ("ჰონდა") | 16 |
| 9. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") | 13 |
| 9. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") | 13 |
| 11. დევიდ კულჰარდი ("რედ ბული") | 10 |
| 11. იარნო ტრული ("ტოიოტა") | 10 |
| 13. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერ-BMW") | 7 |
| 14. მარკ ვებერი ("უილიამსი") | 6 |
| 15. ნიკო როსბერგი ("უილიამსი") | 4 |
| 16. პედრეო დე ლა როსა ("მაკლარენი") | 2 |
| 16. კრისტიან კლინი ("რედ ბული") | 2 |
| 18. ვიტანტონიო ლუცი ("ტორო როსო") | 1 |

კონსტრუქტორთა ჩათვლა

| | |
|---|---|
| "რენო" | 149 |
| "ფერარი" | 139 |
| "მაკლარენ-მერსედესი" | 77 |
| "ჰონდა" | 37 |
| "ტოიოტა" | 23 |
| "ზაუბერ-BMW" | 20 |
| "რედ ბული" | 12 |
| "უილიამსი" | 10 |
| "ქოსვორტი" | 1 |

ბიბა ბურასაშვილი

*"გერმანიის დიდი პრიზის" შემდეგ სამეფო რბოლათა მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად ექვსი რბოლაღა დარჩა. ვითარება იძაბება. მსოფლიო ჩემპიონს, "რენოს" ესპანელი მრბოლს, რომელიც "ჰოკენჰაიმის" ტრასაზე მწვანე შუქის ანთებამდე მსოფლიო შვიდგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს მრბოლთა დავაში 17 ქულას უგებდა, საქმე გაურთულდა. ესპანელსა და გერმანელს შორის სხვაობა "გერმანიის დიდი პრიზის" შემდეგ 11 ქულამდე შემცირდა. წინ ექვსი რბოლაა დარჩენილი. რა მოხდება, კაცმა არ იცის. შუმახერს მეორე სუნთქვა გაეხსნა - ზედიზედ მეოთხე ეტაპია, იმარჯვებს. ამასობაში, როგორც იქნა, თავისი შედარებით მოკრძალებული სიტყვა თქვა "მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა მრბოლმა კიმი რაიკონენმა. შაბათის კვალიფიკაცია სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.*

"ჰოკეინჰაიმის" რინგზე, იმ ტრასაზე, რომელიც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერისთვის მშობლიურია, სამეფო რბოლა სკუდერიელთა დუბლით დასრულდა. "დიდი პრიზების" ლიდერმა ფერნანდო ალონსომ მეხუთე შედეგით გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანელმა მრბოლმა 100 ქულას მოუყარა თავი, მისი ჩამორჩენა უახლოეს მდევარ მიხაელ შუმახერთან 11 ქულამდე შემცირდა. კონსტრუქტორთა დავაში "რენოსა" და "ფერარის" შორის ჩამორჩენა 10 ქულაა.

მიუხედავად იმისა, რომ კვალიფიკაცია კიმი რაიკონენის გამარჯვებით დასრულდა, მიხაელ შუმახერი კმაყოფილებას ვერ მალავდა შაბათის კვალიფიკაციით, რომელზეც თვითონ მეორე შედეგი აჩვენა. საქმე ის არის, რომ გერმანელმა ხუთი ადგილით გაუსწრო მის უპირობო მოწინააღმდეგეს.

თავად რბოლა უილიამსელი ნიკო როსბერგის ავარიით დაიწყო, რამაც რაიკონენიის სტრატეგია თავდაყირა დააყენა. ფინელი მრბოლი ფარეხიდან თითქმის ცარიელი ავზით ეკვეთა ტრასას. ტაქტიკა ასეთი იყო: პირველივე წრეებზე უკან მოეტოვებინა "ფერარის" ბოლიდები, მაგრამ აშკარა იყო, რომ რაიკონენის სტრატეგია ბოლომდე ვერ შეისხამდა ფრთებს. მე-11 წრეზე ფინელს ბოქსებში გადახვევა მოუხდა. იქიდან გამოსული კი მეშვიდე საფეხურიდან ჩაერთო რბოლაში. ბოქსებისკენ საწვავის ასაღებად 28-ე წრეზეც გადაუხვია. აშკარა იყო, რომ "მაკლარენი" გამარჯვებას ვეღარ შეძლებდა, მით უმეტეს, რომ პირველივე წრეებზე რაიკონენის თანაგუნდელს პედრო დე ლა როსას ბოლიდი დაუმუნჯდა.

პიტ-სტოპების პირველივე სერიებიდან მიხაელ შუმახერი რბოლის ლიდერი გახდა. არადა, ბოქსებში ბრაზილიელ მეწყვილე ფელიპე მასაზე მეტი დრო დაჰყო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ცხადი იყო: თუ "ფერარის" ტექნიკური პრობლემები არ შეექმნებოდა, შუმახერი და მასა "დუბლს" შეასრულებდნენ. 33-ე წრეზე ფერარელები რენოელებს თითქმის ერთ წუთს უგებდნენ.

მეორმოცე წრის შემდეგ კვლავ დაიწყო მასობრივი პიტ-სტოპები. ამასთან, ორი მრბოლი იძულებული გახდა საკუთარი სურვილის წინააღმდეგ გადაეხვია ბოქსებისკენ. ტოიოტელი რალფ შუმახერი იმისთვის დაისაჯა, რომ პიტ-ლეინიდან გასვლისას დადგენილ სიჩქარეს გადააჭარბა, ხოლო მიდლენდელი ტიაგო მონტეირო იმისთვის, რომ "ლურჯი ალმებით" განსაზღვრულ წესებს არ დაემორჩილა (როდესაც ტრასაზე "ლურჯ ალმებს" გამოფენენ, ბოქსებიდან გამოსულმა მრბოლმა გზა უნდა დაუთმოს წინ მიმავალ მეტოქეს.-რედ.).

რბოლის დასრულებამდე ხუთი წრით ადრე მოხდა ის, რამაც შუმახერი ალბათ გააოცა კიდეც. უილიამსელმა მარკ უებერმა ტრასიდან გადაუხვია და მეხუთე ადგილი გადაულოცა ფერნანდო ალონსოს. ეს იმას ნიშნავდა, რომ მრბოლთა დავაში მოწინავეთა შორის სხვაობა ექვს ქულით შემცირდა. ეს მაშინ, როდესაც ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი რბოლაა დარჩენილი.

## რიბერიმ ვარჯიში გააცდინა

ფრანგული პრესის ინფორმაციით, "მარსელის" ნახევარმცველი ფრანკ რიბერი გუნდის ვარჯიშზე არ გამოცხადდა. რიბერიმ ისე გააცდინა ვარჯიში, რომ ამის თაობაზე არავინ გაუფრთხილებია. ბოლო დროს ფრანკ რიბერიმ პრესასთან საუბარში არაერთხელ განაცხადა, რომ "მარსელის" დატოვება და სხვა კლუბში თამაში უნდა. ამის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს.

## ტომაზი "ლევანტეში" გადაბარგდა

იტალიური "რომას" ნახევარმცველმა დამიანო ტომაზიმ ესპანურ "ლევანტესთან" გააფორმა კონტრაქტი. "გუშინ პირადად შევხვდი "ლევანტეს" ხელმძღვანელობას და ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ყველაფერს გავაკეთებ, რათა თავი დავიმკვიდრო ისეთ ძლიერ ჩემპიონატში, როგორიც პრიმერადივიზიონია. პირენეებზე გადასვლა ჩემთვის დიდი სტიმულია", - განაცხადა დამიანო ტომაზიმ.

## "ბაიერნი" იაპონიაშია

ბუნდესლიგის ჩემპიონი მიუნხენის "ბაიერნი" გუშინ იაპონიაში ჩავიდა, სადაც საკონტროლო მატჩს გამართავს ადგილობრივ "ურავა რედსთან". ამომავალი მზის ქვეყანას "ბავარიას" ყველა ძირითადი ფეხბურთელი ესტუმრა. "დასასვენებლად თითქმის სამი კვირა გვქონდა, შემდეგ კი ახალი სეზონისთვის დავიწყეთ მზადება. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საკონტროლო მატჩია, მაგრამ გამარჯვებისთვის მაინც ვიბრძოლებთ", - განაცხადა ლუკაშ პოდოლსკიმ, რომელიც "ბაიერნმა" ამ სეზონში დაიმატა.

## "მილანი" დიარაში 20 მილიონს იხდის

იტალიური "მილანი" მალის ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული "ლიონის" ნახევარმცველით მოჰამედუ დიარათი დაინტერესდა.

იტალიურ პრესაში ტრანსფერის სავარაუდო თანხაც სახელდება - 17-20 მილიონი ევრო.

"ლიონის" დატოვების სურვილს გამოთქვამს თავად დიარაც, რომელიც ოთხი სეზონის განმავლობაში იცავს ფრანგული კლუბის ღირსებას.

მანამდე მოჰამედუ დიარა "მანჩესტერ იუნაიტედსა" და მადრიდის "რეალს" სურდათ.

## დემემ დაბრუნება ორი გოლით აღნიშნა

როგორც იცით, საქართველოს ნაკრების ფორვარდი გიორგი დემეტრაძე ებრაული "მაქაბიდან" უკრაინაში დაბრუნდა და ახლა დონეცკის "მეტალურგის" ღირსებას იცავს. უკრაინის ჩემპიონატის მეორე ტურში "მეტალურგი" "სტალს" მასპინძლობდა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. მასპინძელთა ორივე გოლი ქართველი ფორვარდის ანგარიშზეა. დემეტრაძემ მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში. 78-ე წუთზე კი მისივე გოლის შემდეგ ფაქტობრივად გადაწყდა მატჩის ბედი. "მეტალურგმა" ორბურთიანი უპირატესობა მოიპოვა, სტუმრებმა კი მატჩის მიწურულს პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს.

## ვიერიმ ტელეშოუსთვის მოიცალა

როგორ ჩანს, კრისტიან ვიერიმ საფეხბურთო კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მართალია, მან ამ ზაფხულს გენუის "სამპდორიასთან" გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ ძველი ტრავმის რეციდივის გამო ბობო გუნდთან ერთად ვერ ვარჯიშობს და ალბათ არც ითამაშებს ამ გუნდში. სამაგიეროდ კრისტიანმა "რეალითი შოუსთვის" მოიცალა. 13 სექტემბერს იტალიური ტელევიზია იწყებს ახალ "რეალითი შოუს", რომლის ერთ-ერთი მონაწილე კრისტიან ვიერი უნდა იყოს. ბობოს გარდა ამ შოუში იტალიური შოუბიზნესის არაერთი ცნობილი სახე მიიღებს მონაწილეობას.

## რატომ წავიდა ვან ნისტელროი

შაბათს კიდევ ერთი ხმაურიანი ტრანსფერი შედგა - რუუდ ვან ნისტელროიმ დატოვა "მანჩესტერ იუნაიტედი" და მადრიდის "რეალში" გადავიდა. "მანჩესტერიდან" წასვლის მიზეზად ჰოლანდიელი ფეხბურთელი სერ ალექს ფერგიუსონს ასახელებს: "ჩემი ტრანსფერი არაფრით არ უკავშირდება არც კლუბს და არც გულშემატკივრებს. მე მწვრთნელის გამო დავტოვე გუნდი. ფერგიუსონმა ჩემთვის ბევრი გაკეთა და ძალიან მეწყინა, როდესაც ჩვენი ურთიერთობა გაცივდა".

## კრიშტიანუ რონალდუ - "ბარსელონაში"

რუუდ ვან ნისტელროის შემდეგ "მანჩესტერის" დატოვებას კრიშტიანუ რონალდუც აპირებს. პორტუგალიელი ფეხბურთელის განცხადებით, ინგლისში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ კრიშტიანუ რონალდუ გამუდმებით იმეორებს, რომ ინგლისში არ დაბრუნდება.

ბრიტანული მედიის ცნობით, პორტუგალიელი ფეხბურთელი აუცილებლად ესპანეთში გადავა, ოღონდ მადრიდის "რეალში" კი არ ითამაშებს, არამედ "ბარსელონაში". არადა, უკვე კარგა ხანია ამბობდნენ, რომ სწორედ "რეალი" შეიძენდა ამ ფეხბურთელს. შემდეგ "ვალენსიას" ვარიანტიც გამოჩნდა. ახლა კი უკვე "ბარსელონა" ამოტივტივდა. უცხოელი ჟურნალისტების აზრით, სწორედ კატალონიური კლუბი იყიდის ამ ნიჭიერ ფეხბურთელს.

## აბრამოვიჩის ფაქტორი

ანდრეი შევჩენკომ აღიარა: "ჩელსიში" გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო რომან აბრამოვიჩი, რომელმაც დაარწმუნა უკრაინელი, რომ კლუბი შეეცვალა.

"აბრამოვიჩი საოცრად ჯიუტი აღმოჩნდა. არაერთხელ შემომთავაზა "ჩელსიში" გადასვლა. ოჯახში შექმნილ მდგომარეობასთან ერთად ეს იყო ჩემი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი", - უთხრა უკრაინელმა გოლეადორმა ბი-ბი-სის კორესპონდენტს.

"როდესაც რომანმა პირველად მთხოვა ლონდონურ კლუბში გადასვლა, ვუთხარი, რომ "მილანში" თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა. ჯერ ერთი, აბრამოვიჩი არ მომეშვა. თანაც ბავშვი შემეძინა და ჩავთვალე, რომ ლონდონში გადასვლა უპრიანი იქნებოდა, - აცხადებს შევჩენკო. ამავე დროს უარყოფს, რომ აბრამოვიჩთან მეგობრობს და ამის გამო გუნდში პრივილეგირებული მდგომარეობა ექნება, - ჩემი და რომანის ურთიერთობა პროფესიულ ფარგლებს არ სცდება. არასდროს მივახშმია მასთან ერთად და არც ჩვენი მეუღლეები მეგობრობენ".

## "კიევო" ლიდერებს ინარჩუნებს

თუ ბოლნისის "სიონმა" ბულგარული "ლევსკის" დამარცხება შეძლო და ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში გავიდა, მისი მეტოქე ვერონული "კიევო" იქნება. ეს კლუბი ტურნირისთვის სერიოზულად ემზადება, რაზეც იტალიურ მედიაში გუშინ გავრცელებული ინფორმაციაც მეტყველებს. ვერონელთა მესვეურებს სოლიდური თანხა შესთავაზეს ამაურისა და ფრანკო სემიოლიში, თუმცა "კიევოს" ხელმძღვანელები ფულს არ დახარბდნენ და გუნდის ლიდერები შეინარჩუნეს.

## "მილანი" კაკასაც შეელევა?

ამ რამდენიმე დღის წინ "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ მადრიდის "რეალს" ომს უცხადებენ. მიზეზი გახლავთ ბრაზილიელი ნახევარმცველი რიკარდო კაკა, რომლის გადაბირებასაც სამეფო კლუბი ლამობს.

გუშინ ერთმანეთის მიყოლებით ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა. ჯერ იყო და იტალიური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა გალიანის სიტყვები: "რეალთან" შევრიგდით, მადრიდული კლუბის ხელმძღვანელებმა ფაქსი გამოგვიგზავნეს და ბოდიშიც მოიხადეს".

თუმცა ამის შემდეგ, ოდნავ მოგვიანებით, იმავე საიტზე სხვა ინფორმაციაც გაჩნდა. მადრიდის "რეალმა" კი მოიბოდიშა, მაგრამ კაკას გადაბირების სურვილი არ დაუკარგავს. ის კი არა, ბრაზილიელისთვის "რეალში" 17-ნომრიანი მაისურა უკვე მოამზადეს. მოკლედ, ან მილანელები გატყდნენ და კაკას ყიდიან, ან ორ გრანდს შორის ომი გაგრძელდება.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მილანელები აპირებენ ბრაზილიელის გაყიდვას. ხომ შეელია "მილანი" შევჩენკოს? რატომ უნდა დააკავონ კაკა, მით უმეტეს, რომ ბრაზილიელში დიდძალ ფულს იძლევიან?

თანაც ირკვევა, რომ იტალიური გრანდი რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს. საუბარია ფერნანდო ტორესის ყიდვაზე. ესპანელის შესაძენად "მილანს" მართლაც დიდი თანხა დასჭირდება. შესაძლოა კაკას გაყიდვით მიღებული ფული სწორედ ტორესში დაიხარჯოს. აგრეთვე ცნობილი ხდება, რომ "მილანი" მაჰამადუ დიარასაც ყიდულობს.

სამაგიეროდ "მილანის" ხელმძღვანელები არაფრით არ გაყიდიან ალესანდრო ნესტას და ანდრეა პირლოს. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელების ყიდვა "ჩელსის" უნდოდა, თუმცა გალიანის განცხადებით, მათ ტრანსფერზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

## ლენდისი დანებებას არ აპირებს

ტურ დე ფრანსის გამარჯვებული ფლოიდ ლენდისი აცხადებს, რომ ბრძოლას არ შეწყვეტს და დაამტკიცებს, რომ მისი სახელის დაკავშირება დოპინგთან შეცდომაა. შეგახსენებთ, რომ ლენდისმა დოპინგ-კონტროლი ჩააგდო. ველომრბოლს ტესტოსტერონის მიღებას აბრალებენ. თუ ეს ბრალდება დამტკიცდა, მას ტურის გამარჯვებულის ტიტულს ჩამოართმევენ და, სულ ცოტა, ორწლიან დისკვალიფიკაციას მისცემენ.

"ამას ახსნა ვერ მოვუძებნე. არ ვიცი, შესაძლოა ეს შეცდომაა ან შემთხვევითობა. დოპინგი არ მიმიღია და ჩემს სიმართლეს აუცილებლად დავამტკიცებ", - აცხადებს ლენდისი.

დღეს მეორადი ტესტის შედეგი უნდა გახდეს ცნობილი. თუ განმეორებითმა ტესტმაც დაადასტურა ლენდისის სისხლში დოპინგის შემცველობა, ველომრბოლი ნამდვილად ვეღარ დაიძვრენს თავს.

## ბენიტესი შეშინდა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე "ლივერპულის" მეტოქეა ისრაელის კლუბი "მაკაბი". მერსისაიდელთა ესპანელი მწვრთნელი რაფა ბენიტესი მიიჩნევს, რომ უეფამ ფეხბურთელებს საფრთხე არ უნდა შეუქმნას და ისრაელში მატჩები არ უნდა გამართოს. მოგეხსენებათ, ახლო აღმოსავლეთში ფაქტობრივად ომია გაჩაღებული და ბენიტესის მოთხოვნა სრულიად გასაგებია.

"რაც არ უნდა მოხდეს, ისრაელში თამაშს არ ვაპირებთ. მხოლოდ გიჟს შეუძლია ახლა ისრაელში ჩასვლა ფეხბურთის სათამაშოდ. არც კი ვფიქრობთ იქ მატჩის გამართვას. ამ რეგიონის მცხოვრებლებს გულით თანავუგრძნობ, მაგრამ ახლა ისრაელში ფეხბურთის თამაში წარმოუდგენელია", - ამბობს ბენიტესი.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბენიტესი ასეთ მდგომარეობაშია. თავის დროზე, როდესაც ბენიტესი "ვალენსიაში" მუშაობდა, ესპანური კლუბი უეფას თასზე "მაქაბის" უნდა შეხვედროდა. მაშინ უეფამ ბენიტესის მოთხოვნა დააკმაყოფილა. "იმ დროს ვითარება არც ისე სახიფათო იყო, ახლა კი ნამდვილი ომია", - ამბობს რაფა ბენიტესი.

## პედაგოგი ზიდანი

როგორც იცით, მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ინციდენტის გამო ფიფამ ზინედინ ზიდანს სამმატჩიანი დისკვალიფკაცია მისცა. მოგეხსენებათ, ზიდანმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა, ასე რომ, დისკვალიფიკაცია მისთვის სასჯელი ვერ იქნება. ამიტომ ფიფას დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, ზიდანი ფიფას ერთ-ერთ საქველმოქმედო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას და ბავშვებს საფეხბურთო გაკვეთილებს ჩაუტარებს. კაცმა რომ თქვას, სასჯელად ალბათ არც ეს ითვლება - თავის დროზე ზიზუს ნათქვამი აქვს, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ბავშვთა რომელიმე გუნდში სურს მწვრთნელად მუშაობა. ფიფას წყალობით ის პატარა პრაქტიკას გაივლის.

## სერბიული ტრაგედია

ბელგრადში ტრაგედია დატრიალდა. ბელგრადული დერბის შემდეგ "პარტიზანისა" და "ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივრებმა სტადიონს გარეთ დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. დაპირისპირება ნამდვილ ომში გადაიზარდა. დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს 17 წლის ახალგაზრდას, რომელიც მალევე გარდაიცვალა.

## ლე გენის მეთოდი

"გლაზგო რეინჯერსის" ახალ მთავარ მწვრთნელს პოლ ლე გენს მთელი ზაფხული ინგლისური ენის სწავლაში გაუტარებია. ფრანგმა სპეციალისტმა უკვე აითვისა ინგლისური და თავის ახალ შეგირდებს ამ ენაზე ელაპარაკება. ამავე დროს ლე გენმა აიძულა "რეინჯერსის" ყველა ფრანგი ფეხბურთელი იგივე გაეკეთებინა. თუმცა შოტლანდიურ კლუბში უკვე იმდენი ფრანგია, რომ ჯობდა დანარჩენებს ესწავლათ ფრანგული, ვიდრე ლე გენსა და მის თანამემამულეებს - ინგლისური.

"აუცილებელია, რომ მწვრთნელმა და გუნდის ლეგიონერებმა ისაუბრონ იმ ქვეყნის ენაზე, რომელი ქვეყნის გუნდსაც წარმოადგენენ. მე ფეხბურთელებთან მხოლოდ ინგლისურად ვისაუბრებ. ვფიქრობ, ეს აუცილებელია", - აცხადებს ლე გენი.

# CHAMPION IS BACK!

### როი ჯონსი ბრუნდება

*"იმიტომ ვჩხუბობ, რომ მიყვარს ის, რასაც ვაკეთებ. არავისთვის არაფრის დამტკიცება არ მჭირდება. ადამიანებისთვის ჩვეულია აღმასვლა და დაღმასვლა. რინგზე რამდენიმე ნოკაუტი, რამდენიმე მარცხი ვერ შემაჩერებს. თუ რამდენად სერიოზულია ჩემი განცხადება, ამაში დასარწმუნებლად ჯობს შაბათის ორთაბრძოლას მიადევნოთ თვალ-ყური. ჩემთვის რინგზე ყოფნა სიამოვნებაა. სწორედ ამისთვის დავბრუნდი. თუ დროის კარგად გატარება მინდა, ამის საშუალებაც უნდა მქონდეს. განა ასე არ არის?" მონოლოგი ნახევრად მძიმე წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონს როი ჯონს-უმცროსს ეკუთვნის.*

გიგა გურასაშვილი



როისთვის სხვათა ცემა-ტყეპა სიამოვნებაა.

ამერიკის პატარა ქალაქ ბოისში (აიდაჰოს შტატი) როი ჯონს-უმცროსისა და პრინს ბადი აჯამუს ორთაბრძოლის წინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე როი ჯონს-უმცროსმა მეტოქეს პატივი დასდო და განაცხადა, რომ მისი მადლობელია. მადლობელი არა იმიტომ, რომ დიდ მოკრივედ მიიჩნევს, არამედ იმიტომ, რომ მასთან ჩხუბს დათანხმდა. დათანხმდა კი იმიტომ, რომ როის აღმერთებს.

რევერანსები პრინს ბადი აჯამუს მხრიდან გაცილებით უფრო შთამბეჭდავი იყო, რაც ბუნებრივიცაა. ყველას არა აქვს პატივი შეხვდეს როი ჯონს-უმცროსს, რომელიც ერთხანს მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონად იწოდებოდა.

"ამისკენ დიდხანს მივისწრაფოდი. მასთან ჩხუბში დიდ გამოცდილებას მივიღებ. დარწმუნებული ვარ, ჩვენ, ორი ვაჟკაცი, ქარიზმატული და საკუთარ საქმეზე შეყვარებული ორი მოკრივე, კარგ სანახაობას მოვაწყობთ. კარგა ხანია, რაც მის კარიერას ვადევნებ თვალყურს და არასდროს მიფიქრია, რომ მასთან შეხვედრის პატივი მხვდებოდა წილად. მასთან ჩხუბი ჩემთვის დიდი პატივი და სიამოვნებაა", - აცხადებდა აჯამუ.

და რა მოხდა შაბათისა და კვირის გასაყარზე? ის, რომ მსოფლიოს ყოფილმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით აჯობა პრინს ბადი აჯამუს.

პირველივე რაუნდებიდან როი ჯონს-უმცროსმა ხელთ იგდო უპირატესობა. აქტიურად მოქმედებდა და მეტოქეზე გაცილებით ზუსტი იყო. აქცენტს კი ძირითადად კორპუსში დარტყმებზე აკეთებდა. აჯამუ ცდილობდა როი ბაგირებთან მიემწყვდია, მაგრამ მისი დარტყმები იშვიათად ხვდებოდა მიზანში.

ორთაბრძოლის მეორე ნახევარში ჯონსის უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, აჯამუს არაქათი გამოეცალა და წესების დარღვევაზე გადავიდა. ამას კი ის მოჰყვა, რომ რეფერიმ წელს ქვემოთ დარტყმებისთვის აჯამუს სამი ქულა ჩამოაჭრა და გააფრთხილა კიდეც.

გონგის უკანასკნელ ხმაზე ორთაბრძოლაში ცვლილება არ ყოფილა. როი ჯონს-უმცროსისა (50 გამარჯვება, აქედან 38 ნოკაუტით და 4 წაგება) და პრინს ბადუ აჯამუს (25 გამარჯვება, აქედან 14 ნოკაუტით, 3 წაგება და 1 ფრე) მატჩის შემდეგ სამივე მსაჯმა ერთნაირი შედეგი გამოამზეურა - 119-116, რა თქმა უნდა, როის სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონსი თავის საუკეთესო წლებში მთლიანად ბატონობდა რინგზე, სისწრაფეში აშკარად ეტყობოდა ჩამორჩენა. მან ვერც ერთხელ ვერ მიაყენა ძალისმიერი დარტყმა მეტოქეს, რომელიც დროდადრო უსუსურად გამოიყურებოდა. ორთაბრძოლის შემდეგ ჯონსმა საკუთარი გამოსვლა "სამიანზე" შეაფასა და მომავალში სასურველ მეტოქეთა შორის დაასახელა ჯო კალზაგე, გლენ ჯონსონი და ბერნარდ ჰოპკინსი. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ (აქედან ორი ნოკაუტით) როიმ ორთაბრძოლა ასეთი სიტყვებით დაასრულა: "ჩემპიონი დაბრუნდა!"

# "გაიცალიცა" თუ "გაუცალიცეს?"



გეტლინის კარიერას საფრთხე ემუქრება.

ჯერაც არ ჩამცხრალა დოპინგ-სკანდალი, რომელიც ტურ დე ფრანსის ამერიკელ გამარჯვებულს ფლოიდ ლენდისს უკავშირდება. და აი, ახალი დოპინგ-ნაღმიც აფეთქდა: სპორტის ამერიკელ გულშემატკივარს კიდევ ერთი კერპი ეცლება ხელიდან. ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 100 მეტრზე სირბილში ჯასტინ გეტლინი დოპინგის მიღებაში ამხილეს. გეტლინს ზუსტად იგივე პრეპარატის გამოყენებას აბრალებენ, რომელზეც ლენდისი ჩავარდა (საუბარია ტესტოსტერონზე).

გეტლინმა ამის თაობაზე თავად განაცხადა: "მითხრეს, რომ 22 აპრილს კანზას-სიტიში აღებულმა დოპინგ-სინჯმა დადებითი პასუხი აჩვენა ტესტოსტერონზე".

სპორტსმენი ამბობს, რომ ახლა მუდმივ კონსულტაციებს მართავს ამერიკის ანტიდოპინგურ კომიტეტთან. "იმედია, როდესაც ყველა ფაქტი გახდება ცნობილი, დამტკიცდება, რომ კანონი არ დამირღვევია", - განუცხადა გეტლინმა "როიტერის" კორესპონდენტს.

"ამ შედეგებს მხედველობაში ვერ მივიღებ, რადგან განზრახ არასოდეს გამომიყენებია აკრძალული პრეპარატები. ჩემი პროფესიული კარიერის განმავლობაში დოპინგ-ტესტი 100-ჯერ მაინც ჩამიტარეს და ყოველთვის სუფთა ვიყავი. თანაც ეს ტესტები ტარდებოდა კანზას-სიტის შეჯიბრამდე და მის შემდეგაც", - აგრძელებს საუბარს ჟურნალისტთან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

შეგახსენებთ, რომ მაისში ყატარში გამართულ შეჯიბრებაზე გეტლინმა 100-მეტრიანი დისტანცია 9,77 წამში დაფარა და იამაიკელი ასაფა პაუელის მსოფლიო რეკორდი გაიმეორა.

ამ დროს ჯასტინ გეტლინის სახელი უკვე ისმოდა ყველაზე ხმაურიან ამერიკულ დოპინგ-სკანდალში. საუბარია კალიფორნიულ ლაბორატორია BALCO-სთან დაკავშირებულ საქმეზე. ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ჯასტინ გეტლინს ავარჯიშებს ტრევორ გრეჰემი, რომლის ორი შეგირდი ტიმ მონტგომერი და მერიონ ჯონსი დოპინგის მიღებაში ამხილეს და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს.

ამჟამად ლაბორატორია BALCO-სთან დაკავშირებული საქმე ძირითადად ბეისბოლისტ ბარი ბონდსზე კონცენტრირდება. სავარაუდოდ, მისი პირადი მწვრთნელი სატუსაღოში აღმოჩნდება, რადგან მან უარი თქვა ბონდსის წინააღმდეგ ჩვენებების მიცემაზე.

რაც შეხება გეტლინს, მისმა მწვრთნელმა ტრევორ გრეჰემმა ერთ-ერთი ამერიკული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ გეტლინი უდანაშაულოა. მისი თქმით, ჯასტინი არც თავად მიიღებდა დოპინგს და, წესით, ვერც სხვას უნდა გაება მახეში, რადგან გეტლინი ამ საკითხში ფაქტობრივად არავის ენდობა. "ის საერთოდ არავის ენდობა, მწვრთნელსა და მშობლებსაც კი", - აცხადებს გრეჰემი.

მაგრამ ამ ინტერვიუს შემდეგ გრეჰემი იამაიკის ტელევიზიის ჟურნალისტთან საუბარში სხვაგვარად ალაპარაკდა: "ჩვენ ვიცით, თუ ვინ გააკეთა ეს. ზუსტად ვიცი, როგორ შემოიპარა ეს ადამიანი ჩვენს შტაბში. ახლა მისი ვინაობის დასახელება არ მინდა, რადგან უახლოეს დღეებში მისი თანამონაწილეებიც უნდა გამოვამჟღავნოთ. გეტლინს საქმე შეუთხზეს. ბევრს არ ასვენებს მისი წარმატებები და ასეთი ბინძური მეთოდებით გვებრძვიან".

შეგახსენებთ, რომ 2001 წელს, როდესაც გეტლინი უნივერსიტეტის გუნდის წევრი იყო, ის გამოიჭირეს დოპინგის მოხმარებაზე და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც მისცეს.

მართალია, გეტლინის მწვრთნელი თავს იმართლებს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს სერიოზული სასჯელი ელის. უკვე ცნობილია, რომ, ისევე როგორც პირველადმა ანალიზმა, მეორე შემოწმებამაც დადებითი პასუხი აჩვენა დოპინგის შემცველობაზე. შესაძლოა ამ ამბავმა გეტლინის კარიერას წერტილიც დაუსვას.

# გუბერნატორი ბარკლი



სერ ჩარლზი პოლიტიკაზე ალაპარაკდა.

NBA-ს ექსვარსკვლავ ჩარლზ ბარკლის ცხოვრებაში რადიკალური ცვლილება მოხდა. სერ ჩარლზმა პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა და ახლა რესპუბლიკელების ნაცვლად დემოკრატებს უჭერს მხარს. "დემოკრატებმა მთლად დაკარგეს თავი, მე რესპუბლიკელების ბანაკში გადავდივარ", - აცხადებს ბარკლი, რომელსაც პოლიტიკური კარიერის გაკეთებაც სურს და ალაბამის შტატის გუბერნატორობაზე აცხადებს პრეტენზიას.

"რაღაცისთვის მაინც ხომ მოვევლინე ამქვეყანას. დარწმუნებული ვარ, ჩემი დანიშნულება მხოლოდ კალათბურთის თამაში და ფულის შოვნა არ ყოფილა. მინდა, რომ ამერიკელთა ცხოვრება უკეთესი გახდეს. ამიტომ პოლიტიკაში მივდივარ", - აცხადებს ყოფილი კალათბურთელი.

თუმცა ბარკლი დიდ პოლიტიკაში წასვლას არ ჩქარობს. ალაბამის შტატის მცხოვრებლებს ბარკლისთვის ხმის მიცემა მხოლოდ 2010 წელს შეეძლებათ. "ახლა ჩემი უმთავრესი მიზანია ნორმალური განათლება მივცე ჩემს 17 წლის ქალიშვილს, შემდეგ კი პოლიტიკისთვის მოვიცლი", - ამბობს ბარკლი.

ბარკლის სურვილს ამერიკაში დიდი ირონიით შეხვდნენ. პოლიტოლოგმა პროფესორმა ჯიმ სეროკამ სერ ჩარლზის ახალ ახირებას ასეთი კომენტარი გაუკეთა: "სრული სისულელეა. იმისთვის, რომ საარჩევნო კამპანია დაიწყოს, ელემენტარული ცოდნა მაინც სჭირდება. ბარკლის შესაძლებლობებში კი ეჭვი მეპარება".

ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ არის შეუძლებელი ბარკლის პოლიტიკოსობა. თუ არნოლდ შვარცენეგერი გახდა გუბერნატორი, რატომ ვერ უნდა გააკეთოს იგივე ბარკლიმ. შვარცენეგერზე ნაკლები ფული არც მას აქვს, არც კინოვარსკვლავებზე ნაკლებად პოპულარულია. მეტიც: ბარკლის აფროამერიკელთა ხმებიც გარანტირებული აქვს. ჩარლზ ბარკლი ჯერ კიდევ კალათბურთელობისას ამბობდა, რომ პოლიტიკოსობა სურს. ერთხელ ისიც კი თქვა, რომ თუ NBA-ს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს, აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზეც იყრიდა კენჭს, მაგრამ მაშინ ბარკლის გაჩემპიონებას მაიკლ ჯორდანმა დაუსვა წერტილი და სერ ჩარლზმაც პრეზიდენტობა დაივიწყა. ახლა კი, როგორც ჩანს, ახალგაზრდობის ახირება გაიხსენა და პოლიტიკურ კარიერას გუბერნატორობით იწყებს.